ვიცი დამღუპავს
შენს გამო დარდი,
შენი ქუჩების უხილაობა,
როგორ ხატავენ
ნეტავ მგოსნები
ჩემი ქალაქის მომხიბლაობას.
ქალაქს დაირბენს
დილის ალქაჯი,
და წვიმას დაღვრის
ცრემლების ნაცვლად,



შემოეცლებათ ხეებს ფოთლები,
შევეგუები ცხოვრების ჯვარცმას.
ჩამინებული ბაღის სიო ქრის,
რიონის ტალღა ნელა გორდება,
მომენატრება მე ყველაფერი,
ის, რაც არასდროს განმეორდება.
ქუთაისში ქარი ჩადგა,
ჩაცხრა მველი ვნებებიც,
ამ ცხოვრების ანა-ბანას
წლებთან ერთად ვნებდები.

# მამული

აგვისტო, 2011, N65

ასავალ-დასავალის პარტნიორობით

ღვთისმშობლის მიძინების დღისადმი მიძღვნილი წირვა ჩატარდება კვირას, 28 აგვისტოს, სტეიტენ აილენდზე - წმიდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესიის ახალ სახლში.

წირვის დამთავრების შემდეგ, შუადღის 1 საათზე, უფასო ავტობუსებითა და საკუთარი ტრანსპორტით დავიძრებით პარკისაკენ, სადაც საპიკნიკედ გამართული იქნება მაგიდები და ქართული კერძები 500 კაცზე. ადგილზე შეიწვება მწვადი, მოიხარშება ხაშლამა, თათარა და ამოივლება ჩურჩხელები, კონცერტის შემდეგ კი შეგვეძლება პიკნიკი დავასრულოთ ბანაობით, იქვე 50 მეტრში სანაპიროზე ჩასვლით.

პარკს გააჩნია შეუზღუდავი უფასო სამანქანო ადგილები.

დასწრება უფასოა, შემოსაწირი კი - სურვილისამებრ.

მამა ალექსანდრეს სურვილია, რომ ეს ფესტივალი სახალხო გახდეს, ტრადიციული და ერთი ლამაზი დასტური ქართველი ემიგრაციის ერთად ყოფნისა.

მის: WOLFE'S POND PARK, 420 Cornelia Ave, Staten Island, NY 10312






# სიყვარული ვერტიკალურია და თან ბრუნვადი!



### I. „სიგრძე უდრის სიყვარულს... სიგანე - რწმენას... სიმაღლე - იმედს!!!“

მეოცე საუკუნემ ადამიანთა ყოფისათვის დიადი კომფორტი შექმნა. არც ერთ სხვა საუკუნეს ადამიანთა განებივრებისათვის იმდენი არა გაუკეთებია, რამდენიც მეოცემ.

სიგიჟეცა და თავდავიწყებაც აქ რომ იყო, სხვას არც კი დასიზმრებია,

იქამდე ადამიანთა სამსხვერპლოზე შეგდება მეოცე საუკუნემ რომ განახორციელა, ასეთი კაციჭამიობისა და კაცთა საღვთო ზვარაკად შეწირვის მთელს ერაში არ მომხდარა, პარადოქსია მეოცე საუკუნე თავისი არსით, და მიტომ. ამასთანავე, მან ბევრ რამეში გაგვანებივრა - ოცნების აქამომდე მიუღწეველ შრეებში შეგვახედა და არამარტო შეგვახედა, დაგვამკვიდრა კიდეც მათში.

სიყვარულითაც სხვანაირად გვიყვარს, ვიდრე გარდასულ საუკუნეებში უყვარდათ. ადრე თუ დოგმად ითვლებოდა „სჯობს სიყვარულსა უჩვენო საქმენი საგმირონიაო“, ახლა სიყვარულის დასამტკიცებლად ეს მეთოდი არ გაჭრის.

იოლი წარმოსადგენია,

სატრფოს პატივსაცემად შიშველი ხელებით რომ შევებრძოლოთ გაცოფებულ ხარს, ან მშიერ ლომს ჩავუყოთ ხახაში თავი...

სასურველ შედეგს ნამდვილად ვერ მივაღწევთ, იმას კი იტყვის გულის მურაზი, ერთი გიჟით ნაკლები დადის ქვეყნადო. არადა, მეოცე საუკუნემ სიგიჟეებს მიგვაჩვია და ისეთ სიგიჟეებს, კაცი რომ მართლაც გაოგნდება, ეს რამ მომაფიქრებინაო.

ორ მაგალითს მოვიყვან სიყვარულის დამტკიცებასთან დაკავშირებით, ერთმანეთის საპირისპიროს თავისი სულიერი არსით, მაგრამ სიყვარულის მიდგომისადმი ერთი და იგივე პოზიციიდან -

კამილო ხოსე სელას აქვს ერთი პატარა ნოველა სათაურით „ყვავილთა ენა“, სადაც დასაწყისი და დასასრული არის ადამიანის შინაგანი კონტრასტი, მაგრამ მაინც საკუთარი თავისა და ღირსების მსხვერპლად შეწირვა:

„ფრანჩესკო ძანებელი, ორმოცი წლის ზრდილი და მგრძნობიარე რომაელი, ყვავილთა ენის თავგამოდებული მიმდევარი გახლდათ. ფრანჩესკოს, როგორც ასეთი ბუნების ადამიანს შეეფერება, დიდი სინაზით უყვარდა თავისი საცოლე და სიტყვებით კი არ ესაუბრებოდა, არამედ ყვავილებით, რომელთაც, თუ საყვავილე მაღაზიების რეკლამას ვერწმუნებით, შესწევთ უნარი გამოხატონ ყოველივე, რასაც კი მოისურვებთ“.

ასე იწყება ეს ნოველა. ყველაფერი გასაგებია და რომც არ გავაგრძელოთ კითხვა, იგი თავის სატრფოს სხვადასხვა ყვავილებს უძღვნიდა სხვადასხვა ხასიათისდა შესაფერისს. მაგრამ ცხოვრებისეული ფორტუნა გამაოგნებელ ფიასკოდ ექცა. ერთ დროს ყველასათვის სანატრელი და ქალაქის მცხოვრებთა ხელით მისათითებელი სატრფო რჩება სულიერი სიცარიელის ამარა.

ერთ-ერთი პაემანის დროს სიახლეების მოლოდინში მყოფი სატრფო ელოდა ფრანჩესკოს და მართლაც მიიღო მისგან თავზარდამცემი სიახლე:

„ბენვენუტოს ტრატორიაში ფერმკრთალი, სახენაღვლიანი ბიჭი შევიდა. ხელში წერილი ეჭირა.

- სინიორინა, თქვენა ხართ ფრანჩესკო ძანებელის საცოლე?

ფრანჩესკოს საცოლემ ძლივს გასაგონი ხმით უპასუხა:

- ჰო, ბიჭუნა, მე ვარ. რა დაემართა ფრანჩესკოს?

- არაფერი, სინიორინა. ფრანჩესკომ დამაბარა გადმოგცეთ, ჯანმრთელად ვარო, ყველაფერი რიგზეაო, ფრანჩესკო ძანებელი - არ ვიცი უნდა გითხრათ თუ არა - ციხეშია.

- ციხეში?

- დიახ, სინიორინა, ციხეში. სასაფლაოზე ყვავილებს რომ იპარავდა, მაშინ დაიჭირეს“.

ამით მთავრდება ნოველა.

რამდენჯერაც არ უნდა წაიკითხო ეს ნაწარმოები, ყოველთვის კარგა ხანს დაგამუნჯებს თავისი მოულოდნელი სიურპრიზით.

არც იცი -
რა უნდა ჰქნა,
რა უნდა თქვა,
გაამართლო თუ გაამტყუნო.
თუ დააპირებ ერთს,
მეორე მოგეძალება,
ან პირიქით.

არადა, მორკინალთა შუაში ჩაგდებული მანდილივით იკვეთება აზრი და იდეა სიყვარულისა და ყველაფერი ისევ იწყება თავიდან.

ამ აზრთა ჭიდილში სრულიად მოულოდნელად ფიროსმანი ამოტივტივდება გონებაში, ვითომც არაფერი, ისე, სასხვათაშორისოდ, თავისი გაყიდული დუქნით და აქტრისა მარგარიტასთვის მირთმეული მილიონი ვარდით. ტანში ჟრუანტელი დაგივლის, უთქმელად მიხვდები ყველაფერს...

იმისათვის, რომ სატრფოსთვის თავი დაემახსოვრებინა ნიკალას, დუქანი გაყიდა - თავისი საარსებო წყარო და იმით უყიდა სატრფოს ვარდები. ამით, მართალია, თავი ჩააგდო გასაჭირში, მაგრამ სიყვარულისთვის მსხვერპლი გაიღო, არათუ სირცხვილეული, არამედ დიდბუნებოვანი.

მსხვერპლი ორთავემ გაიღო და ორთავემ საკუთარი თავის საზიანოდ, მაგრამ ერთის თვითზიანი კეთილშობილურია, მეორესი კი ზნედაცემული. რის ფასად იციან ფიროსმანმა და ფრანჩესკომ ყვავილთა ენა -

ერთმა საკუთარის სხვისთვის მიცემის ფასად,

მეორემ სხვისი საკუთრების მითვისების და შემდეგ გაცემის ფასად.

უნებურად ერთი კინოშედევრი მახსენდება, რათა სიყვარულის წონასწორობა აღდგეს ქვეყნად -

ქრისტეფორე მგალობლიშვილი გარიყულადან,

ნასტუდენტარი ფიზიკოსი და

ხუტა უფროსის სატუსაღოში დაბერებული მეცნიერი.

მასაც უყვარდა თავისი თამუნია ნამეტნავად („ვაი, რომ ნამეტნავადო“, - ამკვეთრებს სიყვარულის ფერწერას თვითონ ქრისტეფორე), მის სიყვარულსაც ჰქონდა სევდიანი წახნაგები. სიკვდილი მაინც თან სდევდა მეტრფეთ და მათ წრეში ტრიალებდა, როგორც ცელქი ბავშვი. ამიტომ თამუნიას ხსოვნის საპატივცემულოდ და სიკვდილის გამოსაჯავრებლად ქრისტეფორემ გადაწყვიტა ცათმფრენის აგება. კინოფილმში არა, მაგრამ ნაწარმოებში ასეა: „თურმე ნუ იტყვით, მოხუცი ხშირად ახერხებს აქედან გაპარვას სატრფოს საფლავის სანახავად და უბედურს ყოველთვის სასაფლაოზე იჭერენ. მიჰყავთ საპყრობილეში და მოსახდელ წლებს უმატებენ. ის კი ისევ გარბის, კაციშვილი მისი დამკავებელი არ არის თურმე“.

სიყვარულის მარადიულობისკენ მოძრაობის სურვილი და იდეა ფანტასტიური ნააზრევის განხორციელებაა, თუნდაც ეს საკუთარი თავისუფლებისა და სიცოცხლის ფასად მოხდეს. კინოფილმში ქრისტეფორე ასე ამბობს:

„მას აქეთ მოსვენებას არ მაძლევს იდეა გაფრენისა. მე ავაშენებ ცათმფრენს და გადავუფრენ სატრფოს საფლავსო“.

აი, იდეა, რისი გულისთვისაც ინტერესი ეძლევა თვით ციხეში ყოფნასაც. იდეა გათავისუფლებისა გაიგივებულია სატრფოსთან, რომელთან ერთადაც უნდა იფრინო და მთელს ქალაქს დაანახო შენი სიმართლე.

ესეც შემახილი:

„თუ ვინ არის ჩვენს შორის მართალი, იქ გაირკვევა, ზეცაში!“

ესეც ორაზროვნება, ესეც ქვეტექსტი, მაგრამ წინსწრაფვას წინ ვერაფერი დაუდგება.

ამ დროს ერთი სატრფო სასაფლაოებზე ყვავილებს იპარავს და სატრფოს უძღვნის, მეორე სატრფო სარჩოსაბადებელს ჰყიდის და სატრფოსთვის ყვავილებს ყიდულობს და მესამე სატრფო სასაფლაოზე განსვენებულ სატრფოს ოცნების ცათმფრენით გადაუფრენს დიდი სიყვარულის ნიშნად და იდეაც სიყვარულისა გამართლებული იქნება უთუოდ, რადგან სამივე შემთხვევაში „სიყვარული ვერტიკალურია და თან ბრუნვადი“.

მეოცე საუკუნეო, - ვახსენე და გონებაში ამოტივტივდა ფანტასტიურ სიყვარულთა მთელი წყება, სადაც ყველაფერი ჩანს მეოცე საუკუნის ცინიზმითა და ტრაგიზმით... და აქაც სიკვდილი, ოღონდ პანიკური შიში სიკვდილის და რაც მთავარია, სიკვდილის შემდგომი სიმარტოვის. უცნაურია, მაგრამ მაინც ლამაზი და სევდიანი.

ლიტერატურული პერსონაჟი და კინოგმირი იდენტურნი არიან ერთმანეთის. მსახიობი შეზრდილია თავის პერსონაჟში ისე, რომ სრულად მიიღო მისი სახე და ჩვენ, მაყურებლებს გვიტოვებს სიმძაფრეს ამ პატარა და დაუცველი ქალის, ხმა-მაღლობისა.

ფუფალა!

ეს პერსონაჟი სასაცილო კი აღარაა ფინალში, არამედ მისი სასიყვარულო წარმოსახვის სიდიადე გვთრგუნავს, რადგან მან, ფ-უფალ-ამ თავის დროზე მთელი სოფელი დაარწმუნა მარადი სატრფოს რეალურობაში და უფრორე მეტად, მისივე გამოგონებული პერსონაჟის არსებობისა თავადვე სჯერა -

რომ ყველაფერი მირაჟი კი არა, სინამდვილე იყო.

ამით ნიღბავს თავის წარუმატებელ სიყვარულს. ძნელია საკუთარ თავს გამოუტყდე უსუსურობაში, მაგრამ მას მარიტას სასჯელი ისეთ სტიმულს აძლევს, რომ პირქუში სოფლის გულქვაობა ათქმევინებს -

„არცა შიოლა ყოფილა, ყველაფერი მე გამოვიგონეო“.

ისმენ ფუფალას სიტყვებს და ჟრუანტელი გივლის, იმ ფუფალას უსმენ, მთელი სოფლის სასაცილო რომაა და რაღაც მომენტში ჩვენც გვეცინება მის ოინბაზობაზე.

წვიმასა და თავსხმაში წაქცეულა სოფლის ტალახში და დასტირის უსამართლობას სოფლისას და თუ სოფელი ასე-რიგად მოექცა მშვენიერ მარიტას, მას რაღას უზამენ. გზად მოჩქარე მეზობელი შეუჩერებია და შესტირის -

„ხომ ჩამოიხოკავ ჩემზე ლოყებსო“,

მას კი ეჩქარება სეირის საყურებლად, ფუფალასაგან თავის დახსნა სურს და ყასიდად ეთანხმება ყველაფერზე, რათა გაექცეს აბეზარს. ის კი შესტირის და იმისათვის, რომ მისკენ მიიქციოს ყურადღება, თავისი გულის ნადების საიდუმლობას უმხელს.

იმას კი მაინც ეჩქარება
და მიაგდებს ფუფალას ტალახში
და გარბის,
სად გარბის,
თვითონაც არ იცის,
ისე კი იცის,

რომ მარიტა უკუღმა შეუსვამთ ვირზე და სოფელ-სოფელ ატარებენ, როგორც სოფლის შემარცხვენელს.

და მაინც ფუფალა თავის საიდუმლოსთან მარტო რჩება.

რისიც ეშინოდა,
ის მიეწია.

კინო ისეთი ფენომენია, რომ საკუთარ თავში გვახედებს ისე, რომ ხშირ შემთხვევაში ბევრი ჩვენგანი თავადაც ვყოფილვართ ფუფალა, კონკრეტულად არა აქვს მნიშვნელობა ქალი თუ კაცი, მაგრამ ის სულიერი ტკივილი საკუთარი თავის მიმართ სიყვარულთან ჭიდილში ბევრს განგვიცდია და ამიტომ შეგვშინებია კიდეც ამის აღიარება და ათასგვარი ლეგენდა შეგვითხზავს. ზოგჯერ ლეგენდა სინამდვილეზე მეტი სინამდვილეა.

ესეც ასეა.

იქამდე სილამაზის კონტრასტსაც ვამჩნევთ და ზოგჯერ ირიბი შურიც დაიბუდებს ჩვენში და მხოლოდ მაშინ ვეძლევით შვებას,

როცა შევხედავთ,
აღვიქვამთ და
გავისიგრძეგანებთ იმას,

რომ სოფელი ჩვენზე მახინჯი ყოფილა, რომ მან არ იცის დაზოგვა მომხიბლაობის,

თვითონაც მახინჯია, და მიტომ,

თვითონაც შურს და სძულს სილამაზე, და მიტომ.

მაგრამ იმისი აღიარებისა კი შეგვეშინდება - რომ სოფელი ჩვენნაირი მახინჯი ადამიანებია, არც მეტი და არც ნაკლები,

ადამიანები, რომლებსაც ხელის აუკანკალებლად შეუძლიათ და ხელეწიფებათ მარიტას ბედის ჯერ განსაზღვრა და მერე მოსპობა, რადგან თვითონაა ეს ბედისწერა, და რომ ეს სოფელი ციციკორეებითა და ოხროხინეებით არის სავსე.

მართალია, ჩვენ არც ერთს არ გვქვია ციციკორე და ოხროხინე, მაგრამ ჩვენ თვითონა ვართ ციციკორე და ოხროხინე ჩვენდა სავალალოდ. ვუყურებთ კინოფილმ „ნატვრის ხეს“ და არასოდეს საკუთარ თავში არ ვიხედებით, სულ მარიტასა და გედიას სიყვარულის სილამაზეზე გვიჭირავს თვალი და ვოცნებობთ, ასეთივე სიყვარული ჩვენც გვეწვიოს, ოღონდ სხვანაირი დასასრულით.

მაგრამ ჩვენში დავანებული ციციკორე და ოხროხინე ჩვენი სულის ზედაპირზე მაშინ ამოდიან, როცა ფილმი დასრულდება და ცრემლსაც დავღვრით მარიტას ნაეზოვარზე ამოსული ბროწეულის ხილვისას. მწარედ დაგვაფიქრებს ავტორის სიტყვები -

„მაინც საიდან მოდის სიყვარული, ან სად მიდის, თუ დროებით მოეფარება, ვინ იცის“

და პასუხის გაცემაში დავფიქრდებით, ხოლო პასუხს ჩვენში დავანებული ციციკორე და ოხროხინე გასცემენ.

### II. ფანტაზიის კომფორტი

ძმები ლუმიერების აღმოჩენისთანავე კაცობრიობა შეუდგა ახალი ხელოვნების დარგის შექმნას. იგი არ დაკმაყოფილდა მარტოდენ კინოდოკუმენტალისტიკით, კინოინდუსტიის სისტემას ამით ვერ მოაცდენდნენ. დიდი ხარჯი იქნა გაღებული.

სამაგიეროდ გაამართლა ექსპერიმენტებმა. ექსპერიმენტებს კი წარმოადგენდა მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის ინსცენირება და კინოში მათი გადატანა. ამან იმითაც გაამართლა, რომ ლიტერატურული პირველწყარო იოლად აღქმადი გახდა,

ფანტაზიას მიეცა აქამდე არნახული გაქანება, მკითხველი ამავდროულად მაყურებელიც გახდა.

ხელოვნების რამდენიმე დარგი (ლიტერატურა, მუსიკა, თეატრი) ემსახურებოდა კინოხელოვნების ტრადიციების ჩამოყალიბებას. მსოფლიო კორიფეები ჩაებნენ ამ საქმეში. შედეგად აზროვნებაც და ნააზრევის აღქმაც გაიოლდა, უკეთ რომ ვთქვათ, ხალასი გახდა. მიმზიდველობაც მეტი იყო და მასები ჩაითრია, რა თქმა უნდა, კარგი და ფართო მნიშვნელობით

ანუ ზოგი თავიანთ ბედს კინოხელოვნებაში ცდიდა. ხშირად გაამართლა აქამდე გამოუმჟღავნებელმა ტალანტმა. ზოგი პოტენციური მაყურებელი გახდა და, კინოხელოვნებით ნასაზრდოებს, თავისი ცხოვრების ყოველდღიურობაში გადაჰქონდა ფილმში ნანახი ესა თუ ის სცენა თუ ჟესტიკულაცია (თეატრებში ხომ ყველას ხელთ არ ეწიფებოდა დასწრება, კინო კი საყოველთაო სანახაობად იქცა).

კინოხელოვნებამ მასიურად დახვეწა ხალხის ესთეტიკური გემოვნება.

უფრო და უფრო მისაბაძი ხდებიან მსახიობები, ყველას თავისი გამორჩეული საყვარელი მსახიობი ჰყავს, აგროვებენ მათ ფოტოებს, გაზეთები რაც შეიძლება მეტს წერენ მათ შესახებ. ასე არც ერთი ხელოვნების დარგი არ შესულა ადამიანთა ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში. სასიყვარულოდაც ანალოგიურ სიტუაციებს ეძებდნენ პირველი კინომოყვარულები, ისინი აყალიბებენ ერთგვარ ტრადიციას და ეს ტრადიცია დღემდე მოდის.

მაყურებლის ინტერესების მაქსიმალურად დასაკმაყოფილებლად ჟურნალისტები პაპარაცებად ხდებიან და აცხადებენ „ნადირობას“ მსახიობების პირადი ცხოვრების ინტიმურ და იდუმალ მხარეებზე. პრესა და მოგვიანებით ტელევიზია სიამოვნებით უკვეთავენ პაპარაცებს ამა თუ იმ სასურდალო მასალებს, თუნდაც გამოგონილსა და ყურით მოთრეულს, მაგრამ უკვეთავენ. შემდეგ რა მოხდება, ამას ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მთავარი კოზირი და ფსონები პირველ გამოქვეყნებაზეა ჩამოდებული.

არავინ უნდა დაასწროს,

ყველაფერი ექსკლუზიურობის ჩარჩოებში უნდა მოხდეს

და ხდება კიდეც დღემდე.

ადრე თუ ვერ იცავდნენ თავს პაპარაცებისგან „ნადირობის ობიექტები“, ახლა, შეიძლება ითქვას, თვითონაც ახდენენ ამა თუ იმ სკანდალის ინსპირირებას ისე, რომ პაპარაცები უმეტესწილად გამოყენების იარაღად ქცეულან, ხოლო თუ რაიმე საგანგებოდ დასამალი და მისაჩქმალი აქვთ, „ნადირობის ობიექტთა“ ტექნიკური საშუალებები ისე დაიხვეწა, რომ ვერავინ ვერაფერს გაიგებს მათი ნებართვის გარეშე. ზოგჯერ პირის შეკვრასაც აქვს ადგილი. მთავარია, მაყურებელთა ცხოველი ინტერესი არ მოდუნდეს კინოხელოვნების მესვეურთა მიმართ, და საერთოდ, კინოს მიმართ.

ეს ერთგვარი პიარია.

ზოგჯერ ამართლებს ეს მეთოდი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, თუ მაინცა და მაინც უგემოვნოდ შესრულებული იქნა ეს დადგმა, და მითუმეტეს თუ არაპროფესიონალურად მიეწოდა ესა თუ ის ინფორმაცია მკითხველსა თუ მაყურებელს, ყოველგვარი ინტერესი დაეკარგება პიარს, იქამდე მოსაბეზრებელიც გახდება ესა თუ ის ხელოვნური მითქმა-მოთქმანი.

ჩვენში კი მსახიობებსა და მათ პირად ცხოვრებას პატივს მიაგებენ. განა არ გვაინტერესებს მათი ცხოვრების ინტიმური მხარეები, მაგრამ საქართველო პატარა ქვეყანაა და ისედაც ყოველგვარი გამოქვეყნებების გარეშეც ვიცით ბევრი რამ, ამას კი აფიშირებას არ ვუკეთებთ. ჩვენთვის მთავარია შემოქმედება, დანარჩენს ჭორის დონეზე მაინც გავიგებთ და ზედმეტად გულს არ ვტკენთ ცნობისმოყვარეობით ჩვენს სასიქადულო მოღვაწეებს. ესეცაა, რომ ყველანი გამოვიზარდეთ ქართული ფილმის კეთილშობილებაზე.

მაგალითისთვის, ქართველი კაცისთვის მეორე პლანზე გადადის სოფიკო ჭიაურელის, ლია ელიავას, მედეა ჩახავას, ლეილა აბაშიძის, მედეა ჯაფარიძის და სხვათა ცხოვრებისა და სიყვარულის დრამატიული ნიუანსები და მხოლოდ მათი შემოქმედება არის ჩვენი ყურადღების მთავარი ობიექტი.

დღეს, და საერთოდაც,

ვერავის გააკვირვებ მრავალცოლიანობითა და მრავალქმრიანობით, ფარული ურთიერთობებით თუ ამ ურთიერთობათა შედეგად დაბადებული ბავშვებით.

უცხოეთში თუ ძირის ძირამდე მისდევენ მსახიობებს და ხელშეუხებელს არაფერს უტოვებენ მას, ჩვენში ყველაზე ვიგინდარა ჟურნალისტმაც იცის, რომ არ უნდა შევურაცხყოთ მაყურებელთა თაყვანისცემის ობიექტი, პირველყოვლისა კინოს მოყვარულთა პატივმოყვარეობას სცემენ ამით პატივს და მხოლოდ შემდეგ მსახიობისას, რადგან ყველამ იცის, რომ უხამსობას არავინ აპატიებს ვის მიმართაც არ უნდა იყოს მიმართული, საზოგადოება კიცხავს;

ჟურნალისტსაც,
გამომცემლობასაც და
ტელევიზიასაც
(ანუ დამკვეთსაც და შემსრულებელსაც)

მთელი კარიერისა და რეიტინგის ფასად შეიძლება დაუჯდეს ერთი ასეთი გამოხტომა. რა თქმა უნდა, ეს საყვარელ მსახიობთა სიყვარულითა და პატივისცემით არის განპირობებული, მაგრამ თვით მსახიობის პატივისცემა მოდის მის მიერ შესრულებული როლის აღქმის სიძლიერის შემდეგ. ჩვენ მსახიობებს მის გმირებთან ვაიგივებთ და მსახიობის შეურაცხყოფა, თუ სხვა მსგავსი რამ, იმ გმირების შეურაცხყოფად აღიქმება.

ჩვენ იმდენად გვიყვარს ლიკა ქავჟარაძე, რომ მისი აუგი მარიტას აუგად მიგვაჩნია და სასაყვედუროც რომ იყოს,

ამას პირველყოვლისა მარიტას არ ვაკადრებთ;

იმ სპეტაკ გოგოს არ ვაკადრებთ, მინდორში რომ ყვავილებს კრეფს და პეპლებს იჭერს, ამ დროს კი მისი მშვენიერებით მოხიბლული გზების მკეთებლები (გივი ბერიკაშვილის, კახი კავსაძისა და ბაადურ წულაძის გმირები) საქმეს მოცდენილები მის საამებლად პეპლებს იჭერენ, კურდღლებს დასდევენ და კუ მოჰყავთ საჩუქრად.

აი, ეს გვიდგას თვალწინ.

სოფიკო ჭიაურელზე როცა ვსაუბრობთ, მისი კეთილშობილი ბუნების მიღმა გვახსენდება „ჩვენი ეზო“ - ახტაჯანა გოგონა. ჩვენც ხომ გვყვარებია ასეთი გოგონები ბავშვობაში, ლეკურის მოცეკვავე სოფიკო გვახსენდება და ყველა მისი კინოროლი და სპექტაკლებში შესრულებული გმირები გვიდგება თვალწინ და წარმოდგენას ამით ვიქმნით, ვის შესახებაც ვსაუბრობთ და ენა არ მოგვიბრუნდება ყვედრებით ვთქვათ - ამას ამდენი და ამდენი ქმარი ჰყავდაო.

დაე, ასეცაა,
მაგრამ მე მიყვარს ფუფალა და
ამიტომ მიყვარს სოფიკოც.
აი, ჩვენი სიყვარულის ფორმულა ესაა და ამიტომ ყოველგვარ კომფორტს ვუქმნიდით ჩვენს მსახიობებს, რათა იღვაწონ თავისუფლად და არ იფიქრონ იმაზე, რომ ვაი თუ ამა თუ იმ აბეზარმა ჟურნალისტმა ჩემს შესახებ რაღაც ჭორი არ მოიგონოსო.

გადასაღებ მოედნებზე თავისუფლად არიან, მოსახლეობა თავს ევლება მთელ ჯგუფს, მასპინძლობენ და ყოველგვარ პირობას უქმნიან, რათა უხერხულად არ იგრძნონ თავი.

### III. შენ რაღა გახარებდა?

თავდაპირველად კინოხელოვნებისთვის სპეციალურად დაწერილი ნაწარმოებები არ არსებობდა, ამიტომ კინოს მესვეურებმა დახმარებისათვის კლასიკურ ლიტერატურას მიმართეს. კლასიკასთან ჭიდილში, რა თქმა უნდა, გამოიწრთო თვით ხელოვნების ეს დარგი და შეიქმნა მწერლებისთვისაც დიდი სტიმული, სპეციალურად კინოსთვის შეექმნათ სცენარები.

ერთი ესეცაა, მაგრამ მთავარი გარდატეხა მაინც მკითხველ საზოგადოებაში მოხდა, რომელიც ამავდროულად მაყურებელიც გახდა. ყოველ კლასიკურ ნაწარმოებს, რომელსაც კინოეკრანიზაციას უკეთებდნენ, უნდა აესახა მკითხველის ესთეტიკური გემოვნებაც ისე, რომ არ დაზიანებულიყო მათი ფანტაზია იმით, რომ რაც ჰქონდათ აღქმული წიგნის კითხვისას შესაბამისობაში ყოფილიყო ნანახთან. სხვა შემთხვევაში კინო კრახისთვის იქნებოდა განწირული. ამიტომ მკითხველთა წარმოსახვა წანაკითხით უნდა შევსებულიყო ცოცხალი სურათებით და მეტი მომხიბლავი ეფექტებით.

ყველა დროში სილამაზეს თავისებურად აღიქვამდა ადამიანი და თავისი კრიტერიუმებით საზღვრავდა მშვენიერებას თუნდაც კაცისას და თუნდაც ქალისას. ანგარიში ამისთვის უნდა გაეწიათ და კლასიკური ნაწარმოებების ტიპაჟებად ყოველთვის ისეთი მსახიობები უნდა გამოეყვანათ, რომელთა სილამაზეც (თუ სილამაზე სჭირდებოდა ლიტერატურულ გმირს) საყოველთაო იქნებოდა და მასები სიხარულით მიიღებდნენ მათ, იქამდე, ლიტერატურული პირველწყარო ფილმის გმირის მეშვეობით უნდა განესაზღვრათ.

ასე იყო „ანა კარენინას“,
„მადამ ბოვარის“,
„პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ სხვადასხვა დროის ინსცენირებებისას.

ადრეული ფილმები მოგვიანებით იწვევდნენ უკმარისობის გრძნობას და მათ ხელახლა იღებდნენ, იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნის კინოსტუდიები. ასე მოხდა „ომი და მშვიდობის“ კინოეკრანიზაციის შემთხვევაშიც. ყველა დროისა და ქვეყნის კინორეჟისორის მთავარი აქცენტი გადატანილი ნატაშა როსტოვას ტიპაჟზე, დანარჩენები ასე თუ ისე ყოველთვის მისაღები იყო, რადგან ის თვით ტოლსტოის ავანტიურა იყო.

ქართველებს არ გაგვაჩნდა ისეთი კომფორტი, რომ ერთი და იგივე ლიტერატურული ნაწარმოები სხვადასხვა დროს არაერთხელ გადაგვეღო. ამიტომ რასაც ვაკეთებდით, აუცილებლად საუკეთესოდ უნდა გაგვეკეთებინა, რათა ამ ფილმებზე მთელი თაობები აღზრდილიყვნენ და ლიტერატურული პირველწყაროს არაფერი ჩამორჩენოდა.

ჩვენი კლასიკური ლიტერატურის გმირები, რომლებიც კინოხელოვნებამ ცოცხალ-ხილვადი გახადა, სულით ხორცამდე პატრიოტები არიან, მათ განსაკუთრებულად უყვართ სამშობლო და თუ პატრიოტიზმი თუნდაც უკანა პლანზეა გადაწეული სიცოცხლის თემატიკის წინ წამოწევით, ან სხვა ფილოსოფიურ-ესთეტიკური საკითხების გამო, ან სხვა კუთხით არიან დანახული გმირები, ყველაფერი ის სიყვარულია, მეშველობა, რომელიც [illegible]

ჩვენც იქ ვართ, მათთან ერთად,
მათ სიხარულს ვიზიარებთ,
ვგრძნობთ და
ისინი ფანტასტიკურად გვიყვარდება,

რადგან ისინი მართლაც ჩვენ ვიცით არიან. არამარტო ფიზიკური სილამაზით გვიხიბლავენ, არამედ მათში სულიერი სიმდიდრეა უპირველესი, ნაწარმოებისეული სიმდიდრე და ამ სულიერ ენერგიას სრულად უუწყებიან აქტიორები. მათ მიიღეს ის სახე,

რაც ლიტერატურულ პირველწყაროშია, ისინი კონკრეტული

ან ლია ელიავა,
ან ოთარ კობერიძე,
ან დოდო აბაშიძე,
ან დოდო ჭიჭინაძე კი არ არიან,
არამედ მათი სახელებია
პირიმზისა და პირიმთვარისა,
ბაში-აჩუკი,
აბდულშაჰილი,
თავადის ასული...

მათ ბედად ხვდათ აკაკი წერეთლის უკვდავი ნაწარმოებები ისე გაეცოცხლებინათ, რომ სამომავლოდ, როგორადაც არ უნდა შეცვლილიყო კაცობრიობის გემოვნება, არასოდეს მობრუნებოდა ქართველი კაცი „ბაში-აჩუკს" გადასაღებად. მომავალი თაობები უნდა გაზრდილიყვნენ ამ ფილმზე და იზრდებიან კიდეც, ჩვენ ვსწავლობთ როგორ უნდა გვიყვარდეს სამშობლო და ერთმანეთი ყველაზე ძნელბედობის ჟამსაც კი. არა მგონია მომავალი თაობის რომელიმე მსახიობმა სურვილი გამოთქვას ხელთავიდან შეასრულოს მზისას და მთვარისას, ღარიბი ქვრივი მელანოს, აბდულშაჰილის და სხვათა როლები და ამით თავიანთი თავი უხერხულ მდომარეობაში ჩააყენონ, როგორი გენიალური მსახიობებიც არ უნდა იყვნენ. ჩვენ ერთხელ ვაკეთებთ ფილმებს და ამით ვამთავრებთ ყველაფერს.

მაგრამ იქ, სადაც ჩვენ ვამთავრებთ, ფილმი თავის გზას განაგრძობს მაყურებელთა გულებისაკენ და თანაც ისე, რომ მარადი დამღად რჩება გონებაში. ერთია ლიტერატურული მასალა და მისი პოპულარობა და მეორეა მისი გაცოცხლება და ისეთი გაცოცხლება, რომ გგონია ავტორმა ნაწარმოები ფურცელზე კი არა, კინოკადრებზე დაწერა და ახლა მას ვუყურებთო.

არა მგონია, ტყუპი დების ეკრანული სახე აკაკისეულ პირველწყაროზე რაიმეთი ნაკლები იყოს. პირიქით კი მგონია, აკაკი თვითონ დაემორჩილებოდა ლია ელიავას მომხიბლაობას და განსაკუთრებით მაშინ, შვლის ნუკრს რომ ეფერება მინდორში. ძნელი წარმოსადგენია რომელია ამათგან შვლის ნუკრი - ადამიანი თუ ცხოველი, ორთავე რომ ბავშვური ხიბლით არიან დაჯილდოვებულები, გაადამიანურებულები და ბუნებასთან შეზიარებულები.

კიდევ უფრო მძაფრად და სულში ჩამწვდომად აკიაფდა ქართული კინოს ცარგვალზე კონსტანტინე არსაკიძის, შორენა კოლონკელიძისა და გიორგი მეფის სასიყვარულო სამკუთხედი კონსტანტინე გამსახურდიას რომანიდან „დიდოსტატის მარჯვენა". მარტო ნაწარმოების დრამატიულობა ბევრს ვერაფერს შემატებდა ფილმს. რომანი რაცაა და როგორიცაა ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ რომ არა

თენგიზ არჩვაძის,
ოთარ მეღვინეთუხუცესისა და
ლალი ბადურაშვილის

უბადლოდ შესრულებული როლები, ნაწარმოები ჩაყლაპავდა კინოს და ტოლ-ფასი ვერ გამოვიდოდა ფილმი ლიტერატურული პირველწყაროსი.

ვუყურებთ ფილმს და დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეფე გიორგი არათუ მხოლოდ გამსახურდიასეული, არამედ აფხაზთა და ქართველთა მეფე ძე ბაგრატ დიდისა და მამა ბაგრატ IV-ისა (როგორც კონსტანტინე შენიშნავს ორ ბაგრატს შორის გარჩენილიო) გიორგი I, სწორედ და მხოლოდ ისეთი თუ იქნებოდა, როგორადაც წარმოაჩინა იგი ოთარ მეღვინეთუხუცესმა, თავისი ღირსებითა და ნაკლით, თავისი ტრაგიკული სიყვარულით შორენა კოლონკელიძის მიმართ.

უთუოდ ასე ექნებოდა წარმოდგენილი ავტორს არსაკიძის სიკვდილი, შესაბამისად კონსტანტინე გამსახურდია ჩვენც ისე გვაფიქრებინებს წიგნის კითხვისას, როგორც ეს მხოლოდ მას სურდა და სურდა ისე, როგორც ეს ფილმშია. ყველა ჩვენთაგანს თვალზე ცრემლი მოადგება, როდესაც უყურებს დიდი ხუროთმოძღვრის აღსასრულს და ტანჯვას სიყვარულით გამოწვეულს და მართლაც კედლიდან გადმოდის შორენა, თუმცაღა ეს ფილმში არ არის, მაგრამ კი ჩვენ მას უხილავად ვხედავთ, ვხედავთ იმ სინანულს არსაკიძის თვალებში, რომელმაც სული არ მისცა სატრფოს, რადგან სვეტიცხოვლისთვის შეეწირა იგი.

გამსახურდია მკითხველს არასოდეს დატოვებდა თავის თავთან, როგორც სურდა, ისე რომ ეფიქრა, - ფილმიც ამ პრინციპზეა აგებული, რადგან მას იღებდნენ ავტორის უშუალო მონაწილეობით და მთელი გადამღები ჯგუფი ანგარიშს უწევდა მწერლის ნებასურვილს.

რომანიცა და ფილმიც თავისი არსით გიზიდავს, სრულად გიპყრობს და ფილმის მსვლელობისას სავსებით განგაცდევინებს საკუთარ თავზე ამ სასიყვარულო სამკუთხედს. რაც უფრო მეტად შედიხარ ექსტაზში, მით მეტად გიყვარდება შორენა, რადგან შენ არსაკიძე ხარ, მით მეტად გიყვარდება უტა, რადგან შენ თვითონა ხარ შორენა და მით მეტად გიყვარდება გულბოროტი მეფე გიორგი, რადგან შენ ქართველი ხარ და რაღაც მომენტში სიყვარულში დამარცხებული მეფისადმი სინანული გიჩნდება, რადგან მან ყველაფერი გააკეთა შორენას სიყვარულისთვის, ოღონდ მეფობას ვერ გადააბიჯა, რადგან მეფობის უკან საქართველო იდგა, ეს კი მოვალეობა იყო მისი, რათა ყველა და ყველაფერი ენაცვალებინა თავისი სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

და კიდევ,
და მთავარი,
და ძირითადი სათქმელი:

ქართული კლასიკური ლიტერატურისა და კინოხელოვნების საუცხოო ტანდემის შესახებ -

ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებთა ინსცენირება.

ეს არის იდეალური თანხვედრა მწერლის შემოქმედებისა კინოსთან, როდესაც მკითხველი და მაყურებელი ყველაფერს აღიქვამს ზედმიწევნით ისე,

როგორც მწერალმა დახატა სურათები, პორტრეტები - თავისი კომიზმითა და შიგადაშიგ შერეული ტრაგიზმით, სადაც სიცილიცა და ცრემლიც თანაბარზომიერადაა ურთიერთშევსებული ლიტერატურული პირველწყაროდან კინონაწარმოებში და პირიქით.

„მე, ბებია, ილიკო და ილარიონშიც" გვხვდება სასიყვარულო სამკუთხედი და მასში, თითოეულ გმირში საკუთარ თავს ისე ვუყურებთ, როგორც სარკეში. ჩვენც გვიყვარდა და ღამით ლექსებიც მიგვიძღვნია სატრფოსთვის, თუნდაც უაზრო, მაგრამ მაინც გულის საიდუმლო მეტყველებით - ის სასაცილო ლექსები. ეცინებოდათ ილიკოს და ილარიონს, ჩვენ კი გვრცხვენოდა, მათ ხომ იცოდნენ, რა გვაწერინებდა ლექსებს, რა ძალა იყო ის ძალა, თუნდაც საზიზღარ გერმანიაზე რომ ვამბობდით პათეტიკურად ჩვენს შეთხზულ სტრიქონებს. რომელიღაც მოხუცთაგანმა კი შენიშნა -

„არაუშავს, ლექსს ხმადაბლა წაიკითხავს კაციო", -

ჩაიხითხითებდნენ და იცოდნენ,
ძალიან კარგად იცოდნენ,
რომ ჩვენს ცხოვრებაში მომწიფდა სიყვარულის ჟამი.

წიგნსაც რომ ვკითხულობთ და რომელიღაც ეპიზოდს ვერ აღმოვაჩენთ ფილმში, მაინც ისე გვეცინება და წარმოსახვაში ისე ვიყურებით, თითქოს მართლაც გადაღებულიყოს სიტყვასიტყვით ეს რომანი, ან თითქოს ამ ფილმის ახლადგადაღებულ გაგრძელებას ვუყურებდეთ.





რა საოცარია, ხატიაც ისევე ხედავს მზეს, როგორც ჩვენ საკუთარ წარმოსახვებში - დუმბაძისეულ გმირებს.

მისი სიტყვა,
ჰაეროვანი სიუჟეტი,
რომელიც თავისი მოულოდნელობებით და არც თუ ისეთი მოულოდნელობებით ვითარდება ჩვენს თვალწინ,
ან ჩვენს გონება-მეხსიერებაში,
გადატვირთულია ადამიანურობით,
კეთილშობილებით,
მოყვასის სიყვარულით.

მის ნაწარმოებებში ერთი სიტყვითაც არ არის რელიგიური აპოლოგია გასაგები მიზეზების გამო, მაგრამ დუმბაძის სამყაროში ყველა, უკლებლივ ყველა ქრისტიანულად ცხოვრობს, ვერ იტყვი რომ

ეს დადებითი პერსონაჟია,
ან ეს უარყოფითიო.
ყველას თავისი სიმართლე გაჩნია,
ყველას სჭირდება მიდგომა.

მერე რა, რომ ხატია ქვეყნიერებას ვერ ხედავს, სამაგიეროდ იგი სოსოიას და მზეს უყურებს, ამაზე უკეთესს რას შეხედავს ადამიანი.

მერე რა, რომ მურტალო ქურდია, მას სიყვარული გააჩნია და ეშინია კიდევ ამ გრძნობის გარეშე არ წავიდეს ამ ქვეყნიდან და როდესაც იგი აღწევს ინგას სიყვარულს, მისთვის იმ დღიდან სიკვდილი ბაირამობაა, როგორც ამას თვითონ ამბობს.

მერე რა, რომ კუკარაჩა მილიციელია და ბავშვებს ჯაშუშივით დასდევს და ქალბატონი ანიკოს სახლში ისე მიდის, თითქოს ოდესღაც მასაც იქ უცხოვრია და მერე იქედან გაუგდიათ ცუდი საქციელის გამო და მერე ისევ მობრუნებულა ცოდვამონანიებული, მაგრამ მან უკვე იცის, რომ სიყვარული ბოთლიდან ამოსული ჯინია და ეს სიყვარული მას თავს დაატყდა როგორც ულმობელი ბედისწერა.

მერე რა, რომ ინგა ლალიაშვილი ვერელი მეძავია, მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ ცხოვრობს უსიყვარულოდ. მას უყვარს, თუნდაც ჯერ მურტალო და მერე კუკარაჩა, მაგრამ ხომ უყვარს!.. ესე იგი ისიც ბედნიერია თავისი უკუღმართად წარმართული ცხოვრების მანძილზე.

მას ხომ არავის კარი შეუმტვრევია და არავისთვის არავინ წაურთმევია,

პირიქით,

მასთან მიდიოდნენ ყვავილებით ყოველ დღე და მასთან მოჰქონდათ ფულები,

მისი გულისთვის და
მისი სიყვარულისთვის და
მისი თხოვნით გაუშვა დაჭერილი მურტალო კუკარაჩამ.

ეს უდიდესი თავგანწირვაა სიყვარულისთვის და როდესაც ჩვენ ამ ფილმებს ვუყურებთ, გვინდა,

და მერე როგორ,
ასე გვიყვარდეს,
ასე ვუყვარდეთ,
ჩვენ ჩავიდინოთ უმაგალითო გმირობები და თავი სასიკვდილოდაც გავწიროთ სატრფოსთვის და ჩვენთვის ასევე იზრუნონ ჩვენმა გულის მურაზებმა და მათ ხელში თავი უსაფრთხოდ ვიგრძნოთ.

## IV. „გავგიჟდები, გავგიჟდები, ნამდვილად გავგიჟდები!"

მიუხედავად ლიტერატურისა და კინოს თანამშრომლობისა, კინოხელოვნებაში შემოვიდა სპეციფიური დარგი, რაღაცით განსხვავებული კლასიკური ლიტერატურისაგან - კინოდრამატურგია. თანდათან ხელოვნების ამ დარგმა თავისი ტრადიცია ჩამოაყალიბა და ვისაც კი სურდა კინოსთან თანამშრომლობა, თავისი კანონები დაუმკვიდრა, დაუწერელი, მაგრამ უტყუარი. პირველი ნაბიჯებიც საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა, მიუხედავად აქა-იქ მიამიტური სცენებისა, რომელიც აუცილებელ დახვეწას საჭიროებდა. მაყურებელთა მასა პრიფესიონალური თვალით არ უყურებდა ამ დამკვიდრებულ სიახლეებს, მათთვის მთავარი იყო მშვენიერების ხაზი არ გაწყვეტილიყო კინოხელოვნებაში. უმეტესწილად, რაც მეტი მიამიტური სცენებით იყო გაჯერებული ფილმი, მით მეტი წარმატებით სარგებლობდა იგი მაყურებელში.

ეს იმითაც აიხსნება, რომ ისედაც გართულებულ XX საუკუნეში განტვირთვა, სიამოვნება და სიმჩატე-სიმსუბუქე მეტად მომგებიანი და სარფიანი იყო.

ამან კლასიკური კინოხელოვნებისაგან გამოყო ე.წ. საკასო კინოპროდუქტი, მაგრამ ამით არაფერი დაშავებულა, პირიქით, სპეციალურად მსახიობებისთვის, რეჟისორებისთვის იქმნებოდა სცენარები და თანაც იმ გათვლით, თუ როგორი წარმატებით გაართმევდა თავს ამა თუ იმ მასალას, ეს კი წინასწარ იცოდნენ.



ამ მეთოდმა იმდენად გაამართლა, რომ თავის ჩვეულ ამპლუას მორგებული მსახიობი თუ რეჟისორი გასაოცრად აკეთებდა თავის საქმეს. ასე იყო მთელი წყება ფილმებისა.

არც ქართული კინო ჩამორჩენილა საყოველთაო მოთხოვნას. ქართულ კინოსაც ჰყავდა თავისი ვარსკვლავები (მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს).

იმის მიუხედავად, თუ რა იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა ამა თუ იმ ფილმს, მაინც ვფიქრობდით მარადიულ თემებზე. ასეთ ფილმთა რიგს განეკუთვნება „საბუდარელი ჭაბუკი", სადაც ყოველგვარი იდეოლოგიის მიღმა დგას მარადი გრძნობა - სიყვარული, რა დაბრკოლებების წინაშე არ ხვდებიან ფილმის მთავარი გმირები - გოგიტა და თებროლე. განზე რომ გადავდოთ სოციალისტური აღმშენებლობის ყბადაღებული იდეოლოგია, მხოლოდ სიყვარული იმარჯვებს ამ ფილმში, ხოლო დანარჩენი მხოლოდ ბუტაფორიაა ცხოვრებისეული, ან უკეთ რომ ვთქვათ, დრამატიული სინამდვილის პაროდია. სტალინის დროს თუ სოფლიდან ქალაქად მიგრაცია აკრძალული იყო, ხრუშჩოვის დროს ქალაქს მოაწყდა მიგრაციის პირველი ტალღა, რომელსაც ქალაქი საბჭოურ მეგაპოლისად უნდა ექცია, საბჭოურ ენაზე რომ ვთქვათ ინდუსტრიულ ქალაქად.

ქალაქად ქცევის თანდათანობით პროცესს ჩვენ თვალს ვადევნებთ კ/ფ „კეთილ ადამიანებშიც"... და აქაც დიდი სიყვარულის სახსოვარისა და მის ნამსხვრევებზე შექმნილი ოჯახის კონფლიქტია, რომელიც ისევ და ისევ ოჯახისა და წესიერების სასარგებლოდ გადაწყდა და ყველაფერი ნებაყოფილებით ისე, რომ კლასიკური სასიყვარულო სამკუთხედი არ შეკრულა, რადგან ერთმა მხარემ წინა პლანზე ოჯახის სიწმიდე წამოწია, მეორე მხარემ კი მეგობრობა გარდასული სიყვარულის სანაცვლოდ. ამით თითოეული მხარე ერთმანეთის წინაშე პირნათელნი არიან იმდენად, რომ ერთმანეთის თვალებში შეხედვის არ რცხვენიათ.

მუსიკა ყოველთვის იყო ქართული ფილმის მშვენება. ის თავისი ჰაეროვნებით, მღერადობით თანხვედრილია ფილმის საერთო განწყობასთან, ძირითად ფაბულასთან. ეს სიმღერები შემდეგ ხალხმა გაამარადიულა ფილმების მიღმა და ყოველთვის მღერიან. მათში, არც ერთში, არაა კომუნისტური პათეტიკა, მხოლოდ სიყვარულს უმღერიან კომპოზიტორები ფილმების პარალელურად და ფილმების მიღმაც.

უცნაურია, მაგრამ ქართულმა კინოხელოვნებამ საბჭოური დოქტრინის მიუხედავად შექმნა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქორწილი", რომელიც თავისი სტრუქტურით არ ჯდებოდა საბჭოური დირექტივების პარამეტრებში და მხოლოდ იმიტომ იქნა ნებადართული ოფიციოზის მიერ, რომ ის იყო ერთი უწყინარი სიყვარულის ისტორია, სადაც არავინ ლაპარაკობს, მხოლოდ მუსიკასა და მსახიობთა სახისმეტყველებას მიჰყავს ფილმი მაყურებელთა გულამდე და სრულ წარმატებამდე. თითქოსდა კომიკური სიტუაცია უცებ შემოტრიალდება პიროვნების ტრაგიზმით, როდესაც ყმაწვილი თავისი შეყვარებულის ქორწინების უნებლიე მომსწრეა და როგორ ილვენთება ყვავილები მის ხელში, როგორ იცვლება მხიარული სახე დაღვრემილით... მხოლოდ საუცხოო შესრულება თუ მოიტანდა ტრიუმფს. ლაპარაკით, ასე თუ ისე, ყველაფერს შესძლებ, მიახვედრებ მაყურებელს, რისი თქმა გსურს და მთავარ დედააზრს ჩააწვდენ თავისუფლად, ხოლო უხმოდ ყველაფრის სრულყოფილად შესრულებას მხოლოდ უხმო ფილმების ოსტატები თუ ახერხებდნენ. ამ შემთხვევაში კი, ისე უნაკლოდ შეასრულა გოგი ქავთარაძემ ყმაწვილი აფთიაქარის როლი, რომ დისკომფორტი მაყურებელს არ უგრძვნია, ალბათ ხმის დართვა გააფუჭებდა ფილმს.



თითქოს არაფერიო, მაგრამ კინოფილმში „მოიტაცეს თამარ ქალი" მთავარი ღერძი არა თუ შინაარსი, ან კომიკური სიტუაციებია, არამედ მთელი ფილმის ამოსავალი მუსიკაში დევს. გოგი ცაბაძემ ეს ფილმი სრულფასოვან მიუზიკლად აქცია, თუმცაღა ის მიუზიკლად არც ყოფილა ჩაფიქრებული. თითოეული მუსიკა შინაარსის ხასიათობრივი მაუწყებელია. სადაც სამხიარულო სიტუაციაა, იქ მელოდიაც მსუბუქი და სახასიათოა, ხოლო სადაც სევდაა სიყვარულის გამოთხოვებით გამოწვეული, იქ მეტი დრამატულია ჰანგის ჟღერადობა, მაგრამ არა მძიმე, რადგან გოგი ცაბაძეს არ სჩვეოდა მძიმე მუსიკის შექმნა.

ასევე მუსიკას ერთ-ერთი წამყვანი დანიშნულება აქვს კ/ფ „შეწყვეტილ სიმღერაში", ჩვენ ვხედავთ ჩეხი და ქართველი ხალხის მეგობრულ ურთიერთობას II მსოფლიო ომში, თუ როგორ ებრძვიან ფაშიზმს ჩეხი და ქართველი ხალხი მთელს ცივილიზებულ მსოფლიოსთან ერთად. მართალია, იანოში (ფილმის ერთ-ერთი გმირი) თავდაპირველად ნაცისტური გერმანიის დროშის ქვეშ ებრძოდა საბჭოთა კავშირს, მაგრამ ეს მხოლოდ იძულება იყო დამპყრობლისაგან. ტყვედ ჩავარდნისას უზომოდ შეუყვარდება ქართველი გოგონა, მალე მის ძმასთანაც დამეგობრდება და გვერდი-გვერდ შეებრძოლებიან მტერს. ქართველ ვაჟკაცს იანოშის თვალწინ კლავენ, მას კი მძიმედ დაჭრიან და სოხუმის ჰოსპიტალში ფეხის ამპუტაციას გაუკეთებენ. აქ მთელი დრამატიზმი ბეთჰოვენური სიმძაფრით გაორკესტრებულ ქართულ ხალხურ სიმღერაში („ჩიტი-გვრიტი მოფრინავდა") ისმის, ტანში რომ ჟრუანტელს დაგივლის, ისე. იანოში სატრფოს უმალავს თავის ხეიბრობის ამბავს, მაგრამ სიყვარულმა ყოველგვარი კომპლექსი დააძლევინა.

ჩვენ მოგვეპოვება არაერთი კომედია, სადაც ქართულმა მუსიკამ თავისი მძლავრი სიტყვა თქვა - იყოს ეს თუნდაც

„თოჯინები იცინიან",
„ჭრიჭინა", „აბეზარა",
„შეხვედრა მთაში"
თუ სხვა მრავალი.

თითოეულ მათგანში დიდი სიყვარულია ჩადებული, რომელიც შეფუთულია კომიკურ საბურველში და მით უფრო სახალისოა საყურებლად ეს ფილმები. თავისთავად ყველა მათგანში არის მიამიტური ლაფსუსები და იდეოლოგიური ჩანართები, მაგრამ ეს ფილმები ამათ გარეშეც დიდი ფილმებია თავისი საშემსრულებლო ოსტატობითა და სარეჟისორო გადაწყვეტით. იქნებ კლასიკურ ლიტერატურასთან ურთიერთობაში აღმოფხვრილიყო წუნი, მაგრამ ესეც ისეა დაჩრდილული, რომ ამაზე ფიქრის საშუალებას არ გვაძლევს არც მსახიობი, არც რეჟისორი, არც ოპერატორი... და მით უფრო არც კომპოზიტორი.

განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსია ამ მხრივ კ/ფ „რაც გინახავს ველარ ნახავ". ეს ფილმი თუ უნდა გადაღებულიყო, უნდა გადაღებულიყო მხოლოდ იმისათვის, რომ სოფიკოსა და გიორგი შენგელიას თავიანთი სიყვარული ჩაექსოვათ ფილმში. სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ქალის დანიშვნის სცენა რად ღირს, სადაც ქალწულური კდემამოსილება გადაჯაჭვულია ყმაწვილურ სიმორცხვესთან, საბოლოოდ რომ ორთავემ უნდა დაძლიოს საკუთარ თავში არსებული კომპლექსი, რათა გაიმარჯვოს სიყვარულმა.

სხვა ეპიზოდები თუ საზოგადოების რაღაც ნაწილის შეურაცხყოფაა (მაგალითად, თავად-აზნაურობისა და სამღვდელოების), შიგა და შიგ გამართულია ტფილისური იუმორით სიუჟეტის კომიკური მხარე. მიხეილ ჭიაურელი არ მალავდა „წითელ ლორდობას", მისგან ეს გასაკვირი არ არის. ფილმში კი მიგნებულია ისეთივე უნიკალური შეყვარებულთა ფსიქოლოგიური მომენტები, რომელიც ამ წითელ ფილმსაც კი აკეთილშობილებს.

ამ დეტალებმა დაჩრდილეს თვით ისეთი მკრეხელური ეპიზოდები, სადაც კნეინა მღვდელზე ამბობს: „შენა გგვანან ეს მაჯლაჯუნებიო". ძნელია ამისი მოსმენა, დღეს მაინც, მაგრამ ყველა ეს ლაქა ფერმკრთალდება სიყვარულის წინაშე.

და ასეა ყველგან!
და ასეა ყოველთვის!

**მანუჩარ კაკაჩიძე**

## რედაქტორის წინასიტყვაობა

[illegible]

...დიული თემა - უკმაყოფილო მამა მიუთითებს შვილს, რა არ მოსწონს და რა მოსწონს, მაგრამ ეს მოსაწყენი დიდაქტიკით არ არის გაჯერებული. მოთხრობაში მაგალითებითაა დასაბუთებული მამის უკმაყოფილება შვილის მიმართ. ავტორი მამათა თაობას უნდა განეკუთვნებოდეს. მისი ასაკი ნაწარმოების დაწე-

[illegible]

...რევოლუციონერთა ადგილსამყოფელი ირბეოდა, ეგზეკუციები დგებოდა სოფლებში, რევოლუცია ანადგურებდა ეკონომიკას, უპირველეს ყოვლისა კი გამოუცდელი ბავშვების შეგნებას - შვილს მამის წინააღმდეგ ამხედრებდა. მართალია, იხანად უკვე რევოლუციური გამოსვლები მთელს იმპერიაში ჩააჩშვეს, მაგრამ

[illegible]

...დერთია და ის დედნის მოვალეობას ასრულებს, სანამ არ გამოჩნდება მისი ორიგინალი.
მწერლისა და ნაწარმოების ბედ-იღბალი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული მანამ, სანამ ნაწარმოები მხოლოდ მწერლის საკუთრებაა და მას თავისი სინათლე არ უხილავს, ხოლო შემდეგ მათი გზები იყოფა და იყოფა სამუდა-

[illegible]

...ამიტომაც გავკადნიერდი და გთავაზობთ ამ ნაწარმოებს.
ის ბევრ ფიქრს აღძრავს, მაგალითად ასეთსაც - როგორი იყო მასწავლებელი გასული საუკუნის დასაწყისში და შევადაროთ იგი დღევანდელ პედაგოგებს. ეს საკითხიც დაფიქრებად ღირს.

# მამა-შვილის საუბარი

[illegible]

...ლობდა, უნდოდა ეყიდნა არშინი ორმანეთიანი, მაგრამ შენ არშინი ექვსმანეთიანი დიაგონალი ამოირჩიე და თანაც დედაშენს ძალას ატანდი და ეუბნებოდი: თუ ამას მიყიდი ხომ კარგი, და თუ არა და - სულ არ მინდაო. წარსულ ხანში შენთვის ფეხსაცმელებს ვყიდულობდი, მინდოდა მეყიდნა მკვიდრი და იაფ ფასიანი, მაგრამ შენ დაიწუნე ხუთმანეთიანი და აირჩიე ახალმოდური ფეხსაცმელი, რომელშიაც მიმაცემინე რვა მანეთი. მეუბნები, მოქალაქე ვარ, ბაღანა აღარა ვარ, იყავი შვილო, მე არ გიშლი, მე მხოლოდ ამასა გთხოვ: შენის მოქალაქეობით, შენის ვაჟკაცობით მე ნუ შემაწუხებ, შედი ჩემს მდგომარეობაში, ის შემოსავალი, რომლითაც მე მთელი ოჯახი უნდა შევინახო და ვასაზრდოვო, თითქმის შენ გინდა შთანთქა, გინდა რომ მე მხოლოდ შენი პირადი მოთხოვნილება დავაკმაყოფილო და ამისთანა საქციელი განა პატიოსნურია?! გარდა ამისა, ხშირად გითქვამს: ნასწავლი, განათლებული მოქალაქე ვარ. მე ძლიერ მიკვირს შენი მსჯელობა და ამას გიპასუხებ: თუ ნასწავლი ხარ, რატომ არ შეიგნე და მიხვდი, რომ ადამიანს ძვირფასი ტანისამოსით და „ზიზილ-პიპილოებით“ კი არ უნდა მოჰქონდეს თავი, და სხვას ამით კი არ უნდა აწონებდეს თავს, არამედ თავის კარგის კაცობით. მერწმუნე, რომელი ყმაწვილი კაციც ტანსაცმელით კოხტაობს და ამპარტავნობს, იგი ემსგავსება იმ ყალბ „ბარიშნებს“, რომელნიც ყოველ დღე ფერუმარილით იგლისებიან და ხშირად ახალმოდურ ტანსაცმელით იპრანჭებიან, მათი ქმრები და მამები კი გახუნებულ პალტოთი ან ჩოხით დაიარებიან, ეგებ ამით თავი მოვაწონოთ ვისმეს, ან თვალები დავუბრმაოთ ჩვენს კავალერებსაო.

იქნება გაჰკადნიერდე და ესაც მითხრა: შენ, მამაჩემო, რაკი გამაჩინე, მოვალე ხარ შემინახო და მასაზრდოვო, მაგრამ ესაც არ დაგავიწყდეს, რომ ყოველი ადამიანი ზნეობრიულად მოვალეა, ჰქონდეს მას ადამიანური გრძნობა, შეცოდება, შებრალება და სხვისადმი პატივისცემა. შენ კარგად იცი და ჰხედავ, რომ შენ ყოველმხრივ ჩემზედ უკეთესად სცხოვრობ: საჭმელი, სასმელი, ჩაცმა-დახურვა, თავისუფლად გავლა-გამოვლა და სხვა და სხვა ჩემზედ უკეთესი გაქვს. მერე აბა დაეკითხე შენს თავს - ვისი უნარით? - ჩემით. მაშ თუ მე შენზედ ვზრუნავ, მე ვიკლებ და შენ გაძლევ, განა შენ, როგორც ადამიანს, იმდენი გრძნობა არ უნდა გქონდეს, რომ პატივისცემით, ხათრით და თავაზიანობით მომეპყრა?

მამამ განაგრძო: ერთხელ მე, შენოდენა რომ ვიყავი, ზაფხულის დღეს სიცხეპაპანაქებაში მინდვრად მივდიოდი. უწყლო ადგილი იყო. წყალი საშინლად მომწყურდა, დავინახე, რომ მინდორში მომკელნი ყანას მკიდნენ. გავუხვიე იმათკენ და წყალი ვსთხოვე. ერთმა მუშათაგანმა წყლის მაგიერ მაწონი მომიტანა და მითხრა: ეხლა შენ გეტყობა, ძლიერ გეწყურება და ბევრი წყლის დალევა გაწყენს. აი, ეს მაწონი შეხვრიპე და სიმწყურვალე დაგიდგება. ეს თავაზიანობა და ჩემდამი გულკეთილობა იმდენად აღიბეჭდა ჩემს გულში, რომ დღესაც მე იმ კაცს სასოებით ვიგონებ და მზად ვარ ერთი ხუთად გადავუხადო მისი გულკეთილობა. თუ ერთმა ადამიანურმა გულკეთილობამ ჩემში ამისთანა გრძნობა გამოიწვია, მშობლებზე რაღა ითქმის შვილების მხრით? მაგრამ არა, შვილო, თქვენ იმ გიმნაზიაში ეს ადამიანური გრძნობაც დაჰკარგეთ! აი, ამისთვის მე მსურს გამოგიყვანო იმ წყეული გიმნაზიიდან, რომელშიაც მთლად წაგიხდინეს ადამიანური ბუნება, თუ რაღაცა ჯანდაბაა!

- რას ამბობ, მამაჩემო, შენ რეტგრადი ყოფილხარ, შენ სწავლა-განათლების წინააღმდეგი ჰყოფილხარ, შენ არა გწამს მეცნიერება, პროგრესი! აბა, დაუკვირდი, გიმნაზიიდან არ გამოდიან დოქტორები, ვექილები, მოხელენი, მასწავლებელნი, ინჟინერები და სხვა და სხვანი? ეს განათლებული ელემენტი რომ არ იყოს, რა ეშველებოდა ქვეყნიერებას? ქვეყანაზედ ხომ ისევ სიბნელე და ბარბაროსობა გამეფდებოდა!

- ეჰ, შვილო, მე ერთი გაუნათლებელი კაცი ვარ და საგანს ვსჯი ჩემის დაკვირვებით და პრაქტიკულის მხრით. კარგია, შვილო, ნასწავლი კაცები: ექიმი, ვექილი, მასწავლებელი, მოხელე და სხვა. მაგრამ რომ დავკვირვებივარ ცხოვრებას, შენმიერ ჩამოთვლილი ნასწავლი თავის „მე“-ს ემსახურებიან და მას უკმევენ გუნდრუკს. აბა, ყური დამიგდე, შვილო და ჩემი, უსწავლელი კაცის მსჯელობაც მოისმინე.

შენ ამბობ, გიმნაზიიდგან დოქტორები გამოდიანო. დოქტორები კი გამოდიან, მაგრამ ქვეყნის მძარცველებად და მგლებად თუკი იქცევიან, ის რაღა ნასწავლი დოქტორია! წარსულ წელში ქუთაისში ერთი შეძლებული კაცი გახდა ავად (შნეიდერი). ქუთათურმა ექიმმა ვერ იკისრა მისი წამლობა. შეძლებულმა კაცმა მოიკითხა რუსეთიდან ერთი ექიმი ქირურგი, იგი ჩამობრძანდა ქუთაისში ექვსი ათას მანეთად. კიევიდან ქუთაისში მისვლა-მოსვლაში ექვსი ათასი მან მიიღო-მეთქი. მერე, რა გააკეთა? მოკვდა. მისი ექვსი ათასი მანეთი მან ჯიბეში ჩაიდვა და გაუდგა გზასა. ეს კიდევ ვსთქვათ, არაფერი სამწუხარო არ არის, რომ როდესაც ერთი დღით ქუთაისში დარჩა, მასთან მივიდნენ საექიმოდ ავადმყოფნი, მაგრამ თვითეული ორთუმან ნაკლებად არ მიიღო. ვისაც ჰქონდა, მისცა, ვისაც არა და...

კიდევ გეტყვი, შვილო, უარესს. ვსთქვათ ეს ექიმი უცხო ქვეყნის შვილი იყო და ნაკლები გრძნობა ჰქონდა ჩვენდამი. სხვა მაგალითს გეტყვი და ბევრსაც გეტყოდი, მაგრამ ცოტაც კმარა. დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენში ჩამობრძანდა ერთი ექიმი. იგი მწერლობაშიც აღიარებდა, რომ ძარცვა-გლეჯვა და გაღლეტვა შეუნდობელი ცოდვააო. თავადებს, აზნაურებს, მღვდლებს და მოხელეებს მძარცველ მგლეჯველად ასახელებს. მერე თვითონ როგორიღაა? ცხოვრობს მდიდრულად, ფუფუნებაში და ნებივრობაში. მარტო სახლის ქირად იხდის ას თუმანს. მერე რა საშუალებით? ერთხელ ვაჟბატონი ერთ ოჯახში მიიწვიეს ავადმყოფის სანახავად. მოხდა ისე, რომ იმ ოჯახში სამი ავადმყოფი ინახულა. ერთი იმათგანი უნუგეშოდ დასტოვა, მოკლედ უთხრა: არაფერი გეშველებაო, მეორეს და მესამეს რეცეპტები ჩააბარა. „უნუგეშო“ დიდ ნუგეშს მოელოდა მისგან და წინადვე ხუთი მანეთი გამზადებული ჰქონდა. „უნუგეშომ“ ხუთი მანეთი მისცა, მეორემ და მესამემ სამ-სამი მანეთი. ეს თავისი „მოვალეობა“ შეასრულა ოც წუთში. ჩაიდვა ჯიბეში თერთმეტი მანეთი და გაუდგა ფაიტონით გზას. მესამე მაგალითსაც გეტყვი, ბევრსაც გეტყოდი, მაგრამ კმარა. ს. ქვემო ქვიტირში, რომელიც მდებარეობს ქუთაისიდან ექვსი ვერსის მანძილზე, ერთ ახალგაზრდა გლეხს ცოლი გაუხდა ავად. გლეხი მივიდა უკვე შეძლებულ და გამდიდრებულ ნამდვილ ბურჟუა-ესკულარ ექიმთან და სთხოვა ავადმყოფის ნახვა, ექიმმა მოსთხოვა თოთხმეტი მანეთი და ფაიტონი. გაჭირვებულმა გლეხმა შეაძლია შვიდი მანეთი და მუქთად ფაიტონი. ეხვეწა, ემუდარა და თანაც ეფიცებოდა, რომ მეტი არა მაქვსო, მაგრამ გულით-გრძნობით გაქვავებულმა ექიმმა არც შეისმინა, არც შეიცოდა და არც შეიბრალა. უნუგეშოდ გაისტუმრა ღარიბი გლეხი.

დავანებებ, შვილო, თავს ექიმებს და ახლა მოხელეებზედ გიამბობ, ერთ კითხვას მოგცემ და თუ შენ არა, მევე მოგცემ პასუხს, „ჩინოვნიკებმა“ რად იციან „ზავტრა“? პატარა ხანს შეჩერდა, შვილმა რომ ხმა არ გასცა, მამამ განაგრძო. იმათი „ზავტრა“ შენი ჯიბეა. თუ ჯიბეს დაასაქმებ, ასრულდება „ზავტრა“, თუ არა და - არა! მათ ხელში, საზოგადოდ, თავის დღეში თავის დროზე საქმე არ გაკეთებულა და არც გაკეთდება, თუ შენ შენს ჯიბეს ხელი არ მოუფათურე, მორჩა და გათავდა.

შენ მეუბნები, შვილო, რომ სასწავლებლები რომ არ იყოს, „ადვაკატები“ არ იქნებოდნენო. მე გიპასუხებ: ვექილი, ჩემო შვილო, საჭიროც არის და სასარგებლოც, თუ თავის მოვალეობას პირნათლად ემსახურება: მართალს ესარჩლება და მტყუანს ეწინააღმდეგება, კეთილს მხარს უჭერს და ბოროტს სდევნის. აბა მითხარი, ბევრია ჩვენს ქვეყანაში ამისთანა ვექილები? საზოგადოდ ჩვენს ვექილებზედ გაგიგია როდესმე ხეირიანი სიტყვა, რომ მათზე მე გითხრა სახეირო? შენც დაჯერებული ხარ ამაში, რომ ვექილები ფულს უფრო ემსახურებიან, ვიდრე სიმართლეს. მეტადრე შენს გიმნაზიიდგან „გამომცხვარი ვექილები“ სათოკემ რომ ფული მისცეს, იმასაც ვექილად დაუდგება და ყოველ საშუალებას იხმარს გაამტყუნოს ის კაცი, რომელიც თავითფეხებამდე ალალ-მართალია. რად მინდა, რისი მაქნისია იმისთანა ნასწავლი ვექილი, რომელიც ფულისთვის მართალს გაამტყუნებს და მტყუანს გაამართლებს? ეჰ, შვილო, შენ არ დაგიფიცავ და მე ჩემზედ ვიტყვი. ამდენი ღმერთმა მე მიშველოს, იმ შენს გიმნაზიიდგან გამოსულს ნასწავლს ვექილებს გაემართლებინოთ იმისთანა პირები, რომლებიც „მიწას ამძიმებენ და ჰაერს აფუჭებენ“. აქაც ერთ მაგალითს გეტყვი:

ჩემს სოფელში ერთმა მოხუცმა მღვდელმა ფული ასესხა თავის მეზობელს. ვადა გავიდა და მსესხებელმა ფული არ ჩააბარა მღვდელს, მღვდელი ადგა და უჩივლა სასამართლოში. სასამართლოში დაიბარეს მღვდელიც და მოვალეც. მღვდელი გამოცხადდა, მოვალე კი არა. საქმის გარჩევის დროს მოხუცი მღვდელი წარსდგა მსაჯულის წინ თავის შვინდის ჯოხით (უწინდელმა მღვდლებმა ხელში შვინდის ჯოხის ტარება იცოდნენ). მოვალე არსად სჩანდა. ამ დროს წამოდგა ვიღაც „ფრაკიანი“ კაცი და დაიწყო რუსულად „ჟღურტული“. მღვდელს რუსული არ ესმოდა და არც იცოდა, თუ რაზედ ლაპარაკობდა ეს „დაუპატიჟებელი სტუმარი“. რომ გაათავა ლაპარაკი, მსაჯული მიუბრუნდა მღვდელს და უთხრა თარჯიმანის პირით: ეს კაცი ამტკიცებს, რომ შენ დ-თვის არ გისესხებია ფულიო (თურმე „ვიღაც“ ვექილი ყოფილიყო). მღვდელმა აჰხედ-დაჰხედა ფრაკიანს, გაოცებით და გულუბრყვილოდ სთქვა: მე ამ კაცს ვერ ვიცნობ და არც მინახავს ჩემს სიცოცხლეშიო, ამან რა იცის, მივეცი დ-ს ფული თუ არა! ან სად იყო იმ დროს, როდესაც ჩემს მეზობელს ფულს ვუთვლიდი ჩემს ფურცლის ქვეშ (იმის ეზოში ფურცლის ხე იდგა)?

მსაჯულმა არ შეისმინა მოხუცის საუბარი და უარი გამოუცხადა ანაზღაურებაზედ. მოხუცი მეტად დაღონებული და თანაც გაბრაზებული გამოვიდა სასამართლო დარბაზიდან და გაოცებული გაჩერდა შენობის ტალანში, ამ დროს დაინახა ის ვექილი, რომელმაც ხელი დააბანინა ფულის ანაზღაურებაზედ. ვერ მოითმინა, გაისწორა შვინდის ჯოხი, სდრუზა „ადვოკატს“ და მიაძახა: უსამართლოდ რომ დამაკარგვინე იმდენი ფული, შენ ქრისტიანი ხარ?! გაბრაზებულ მღვდელს უნდოდა მეორედაც ეთეთქნა ვექილისათვის, მაგრამ იქ მყოფთ გააშველეს. რადგან ბევრნი იქ მყოფთაგანნი კარგად იცნობდნენ მღვდელს, როგორც პატრიარქარულს კაცს, არ უნდოდათ რომ საქმე სადავიდარაბოდ გამხდარიყო. ზედმეტი გროშები დაახარჯვინეს მღვდელს და შეარიგეს ვექილთან.

ამისთანა ჯურის ხალხია ექიმი, ვექილი და მოხელე. ამათ ჯურს ეკუთვნიან, ჩემის აზრით, ინჟინრები, ბობოლა „ვოენნები“ და სხვანი. მართალია, სასწავლებლებიდან გამოდიან ნასწავლი ექიმები, ვექილები და სხვანი, მართალია იმათ შორის მცირე ნაწილი პატიოსნათ და რიგიანად ასრულებს თავის მოვალეობას, მაგრამ უმეტესი ნაწილი მათგანი - და გაცილებით უმეტესი არის მძარცველი, მგლეჯველი და პირადი ინტერესების თაყვანისმცემელი და არა სინდისის, პატიოსნების და სიმართლის დამცველი.

ამნაირმა მამის მსჯელობამ შვილი პატარა ხანს შეაფიქრიანა, მერე კი ამოიღო ხმა და დაიწყო ლაპარაკი:

- მაშ, მამაჩემო, როგორც შენი ლაპარაკიდგან სჩანს, სწავლა მეტი ბარგი ყოფილა კაცობრიობისთვის და რაკი ეს ასეა, სასწავლებლებიც (რომელიც უნდა იყოს, სულ ერთია), საიდგანაც ნასწავლნი გამოდიან, მოსპობის ღირსნი არიან, რადგან იქიდან, როგორც შენ ამტკიცებ, უსარგებლო, მავნებელი და მძარცველ-მგლეჯველები გამოდიან. ამისთანა შენი მსჯელობა მეტად ახირებულია და არ შეეფერება ეხლამდელ დროს. კაცობრიობა წინ უნდა მიდიოდეს და კიდევაც მიდის. კაცობრიობას პროგრესი უნდა ეტყობოდეს და არა რეგრესი. აბა მითხარი, მამა ჩემო, რკინის გზები, ტელეგრაფები და სხვა ათას ნაირი მაშინები, რომლებიც ხალხს საქმის კეთებას უადვილებს, ათასნაირ ავადმყოფობის მოსპობის საშუალება და სხვანი და სხ. ვინ მოიგონა, თუ არა მსწავლულებმა? ამათ რომ ჯერ დაბალ სასწავლებლები და მერე უმაღლესი არ გაეთავებინათ, ხომ კაცობრიობის ცხოვრება ისევ ძველებურად აშმორებული და ამყაპებული იქნებოდა. სასწავლებლებში სწავლას აძლევენ მოსწავლეებს, თვალებს უხელენ მათ და უკეთეს ცხოვრების გზას უკვლევენ და როდესაც ცოდნით და სწავლით მწიფდებიან, მერე თვითონაც გამოდიან ცხოვრების ასპარეზზე, იკვლევენ ცხოვრების გზას და თავისი ნიჭით და ჭკვით ბევრს კარგს რამეს სძინებენ ხალხს. რაც კი ამ ცხოვრებაში საუკეთესო რამეს ვხედავთ, სულ ნასწავლი ხალხის ნაყოფია და არა უსწავლელისა. რამდენიმე ას ვერსს ერთ დღეში გაივლი, რამდენიმე ათას ვერსზე ერთ წუთში დაელაპარაკები, რამდენიმე ათას ფურცელ ქაღალდს ერთ საათში დაბეჭდავ. ახლა აიღე სამკურნეო და სამრეწველო ნაწილი, რამდენი რამ გააუმჯობესა სწავლამ. ამდენი სიკეთე მიუძღვის ნასწავლ ხალხს და მომავალში უფრო ბევრ სიკეთეს მოველით და შენ კი, მამაჩემო, იძახი და ამტკიცებ, - სასწავლებლები რა საჭიროა და ნასწავლნი ტყუილა მძარცველ-მგლეჯველნი არიანო, ეს მეტისმეტია, მამაჩემო, და შენისთანა კაცზე იტყვიან ხოლმე, ეს კაცი... ამ სიტყვაზე შეჩერდა შვილი და აღარაფერი სთქვა.

მამას ღიმილი მოუვიდა პირის სახეზედ, მიუბრუნდა შვილს და მშვიდობიანის კილოთი სთხოვა: პატარახანს მომისმინე, შვილო, სიტყვას მოკლედ გეტყვი და ჩემს საუბარსაც გავათავებ.

- მე, ჩემო შვილო, სასწავლებლების და, მაშასადამე, სწავლა განათლების წინააღმდეგი არ ვარ და ღმერთმა დამიფაროს, რომ გავხდე. მე თუ საწინააღმდეგოს ვამბობ, ეს იმიტომ, რომ მე შენ არ მომწონხარ, რადგან, თუ სულ არა, უმეტესი ნაწილი მათგანნი, შენსავით ქარაფშუტები არიან. აქიდამ დასკვნა გამომყავს, რომ ჩვენი სასწავლებლებიც არ მომწონან, რადგან იქ მოსწავლეები ისე არ იწურთვნებიან, რომ გამოვიდნენ იმისთანა პირები, როგორებიც შენ დაასურათე. ჩვენ სასწავლებლებიდგან ისეთები არც გამოსულან და არც გამოდიან, როგორებიც შენ ჩამოსთვალე ზევით. აბა, ერთი მითხარი, რაც კი რამ სასიკეთო გაკეთებულა ქვეყნიერებისთვის, ჩვენი სასწავლებლის შვილს გაუკეთებია რამე, თუ ყველაფერი შემოტანილია, გადმოღებულია, სხვა ქვეყნის შვილის მოგონილია.

წარსულ ხანში ჩვენს სამშობლოში ხოლერა გაჩნდა. იგი მოედო მთელს ჩვენს ქვეყანას. საკმაოდ ბევრი ხალხი იმსხვერპლა. აი, ამ დროს რამდენი ქართველი ექიმი ბრძანდებოდა და იმათში ერთმაც არ მოიწადინა და არ იზრუნა, რომ შეედგინა მოკლე დარიგება და მიეწვდინა უსწავლელი ხალხისთვის, რომ ხალხს გაეგო, თუ იმისთანა გაჭირვებაში როგორ მოეარნა ოჯახისათვის, ან რა საშუალებით აეცდინა კაცს თავისი თავი ამ ულმობელ სიკვდილისაგან. ეს უბრალო და ადვილი საქმე ვერ გააკეთეს და აბა სხვა რაღა მოვსთხოვო. საზოგადოდ, ჩემო შვილო, თქვენს გიმნაზიაში და სხვა სასწავლებლებში ბევრ რამეს გასწავლიან მაგრამ ამ „ბევრ რამეში“ ბევრი უსარგებლო და გამოუდეგარია. ბევრს იმისთანა რამეს გასწავლიან და დროს გაკარგვიებენ, რომ ბოლოს ცხოვრებისთვის მოუმზადებელი და სრულებით გამოუსადეგარი რჩებით. ამ შემთხვევაში თქვენ ემსგავსებით ბატს, რომელმაც ხეირიანად არც სიარული იცის, არც ცურვა და არც ფრენა. სწავლით იმდენად ნასწავლი ბრძანდებით, რომ მხოლოდ ჩემსავით უსწავლელ და უვიც კაცთან ტრაბახობა დაიწყოთ ხოლმე.

მე არ ვიცი, შვილო, მაგრამ გამიგია, რომ სხვა ქვეყნებში ძლიერ დიდი ნასწავლი და გაგებული ხალხიაო. ეს კიდევ არაფერი, საქმე იმაშია რომ ამ გონებითა განვითარებასთან ზნეობრიული განვითარებაცა აქვსო, თუ ეს ასეა, აი „ხალხიც იქ ყოფილა და ქუდიც იმათ ჰხურებია“! ამ ზაფხულს ერთი ქართული წიგნაკი წავიკითხე, რომელშიაც იაპონელების ცხოვრება იყო აწერილი. ერთ ადგილას ამოვიკითხე შემდეგი: იაპონიაში ასეთი წესიაო: სასადილო დარბაზში ან ბაღებში სადილს რომ გაათავებს კაცი, ფულს, რაც ერგება, მაგიდაზე დააწყობს და წავა. გათანებამდი რომ იქ ეწყოს, იმ ფულს ხელს არავინ ახლებს იმისმეტი, ვისაც ეს ფული ეკუთვნისო. ჩვენშიაც ასეა შვილო? ჩვენშიაც ნასწავლნი ცოტანი არ არიან, მაგრამ ესენი იმ ზნეობის მაღალ ხარისხამდე ვერ არიან ასულნი... მაგალითად აგიღებ შენ. დღეს შენ ნასწავლი „მოქალაქე“ ბრძანდები, მაგრამ... რა გითხარი წელან?... სამწუხარო ის არის, რომ ჩვენს „საპურმარილოდ“ ნასწავლ ხალხს, ზნეობრიული განვითარება და განსპეტაკება, თუ მთლად არა, ძლიერ ბევრი აკლია.

ერთხელ ჩვენმა სახელოვანმა, უკვე განსვენებულმა ეპოსკოპ. გაბრიელმა, ქადაგება სთქვა თქვენს გიმნაზიაში. სხვათა შორის აი რა გავიგონე და გულშიაც ჩამებეჭდა: მსწავლულთათვის სწავლა მჭრედი მახვილია, ზნეობა კი მაჩვენებელია, თუ როგორ მოიხმაროს მახვილი. თუ ნასწავლ კაცს მარტო გონებრიული განვითარება აქვს და ზნეობრიული კი აკლია, ის მახვილს მოიხმარს როგორც კეთილ საქმეზე, ისე ბოროტზედაც. და თუ კაცს სწავლასთან ზნეობრიული განვითარებაცა აქვს, იგი არასოდეს მახვილს არ მოიხმარს კეთილ საქმის დასათრგუნვად. თქვენ კი (მიუბრუნდა შვილს) შვილო, სწავლითაც დამახინჯებული ხართ და ზნეობრივადაც, არც სწავლა გაქვთ რიგიანი და არც ზნეობა! მაგალითად აგიღებ შენ.

ხშირად გამიგია შენგან „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“-ზე ლაპარაკი. იმ დღეს შენ ამხანაგებთან ბაასი გქონდა და იძახოდი: გაუმარჯოს ძმობას, ერთობას და თავისუფლებასო. მეც მაგას გეტყვი და გულით მეც მსურს, რომ განხორციელდეს კაცობრიობაში ძმობა, ერთობა და თავისუფლება, მაგრამ ამას კი გეტყვი, ჩემო შვილო, რომ შენი და შენი ჯურის გვამებისა არაფერი მწამს, შენ და შენი ჯურის ხალხს იქნება ჩემზედ უკეთესად გესმოდეთ, რა არსი ძმობა, ერთობა და თავისუფლება, მაგრამ თქვენ ყოველ ადამიანის ამ ზნეობრიულ მხრით დამამშვენებელ „სამებას“ სიტყვით ემსახურებით და არა საქმით. სიტყვით ბევრი ჰყვირით ამ „სამებაზე“, მაგრამ საქმით კი რა მოგახსენო! შენთვის, ჩემო შვილო, ერთობა მაშინ არის, როდესაც სხვისი ოფლით გაშლილ სუფრას მიუჯდები და „ვარხაოალოს“ იძახი, ან გიტარაზედ „შენ გეტრფი მარად“-ს იძახი.

შენთვის, ჩემო შვილო, ძმობა მაშინ არის, როდესაც უდარდელად და უზრუნველად შენს ძმა ბიჭებთან უთავბოლოდ და წარამარა სეირნობ და ერთმანეთს აროობთ ოხუნჯობით და უნაყოფო მასლაათით.

შენებურად რომ დავაფარო, თავისუფლება იმაში მდგომარეობს, როდესაც შენს ნებაზედ და შენს სურვილზედ მოიქცევი: გინდა ასდგები, გინდა დასხდები, გინდ წახვალ კლასში, გინდ არა, გინდა დაისწავლი გაკვეთილს, გინდა არა, სხვები ცუნდრუკობენ, ღრიანცელს ასტეხავთ და კორანტელს დააყენებთ, იქნება ამასაც თავისუფლებას ეძახი?! ან კი თავისუფალი არა ხარ, მა რა ეშმაკია! ხელს არაფერში ანძრევ და გონებას არაფერში ავარჯიშებ! აი, რაღაცა ეშმაკია, გავჯითილები თუ დაისწავლე და ჩააბარე შენს მასწავლებელს, მერე მშვიდობით!.. ხუთი თვის განმავლობაში რომ გაკვეთილი არ გქონდეს, თავისუფლად ბრძანდები და არაფერს აკეთებ. ჭამა-სმა, ძილი-მოსვენება, ვერცხლის ყოფნა, ქეიფი, სიმღერა, დროს ტარება, აი შენი ხელობა, ამაზედ მეტი თავისუფლება რა იქნება, და შენ, შვილო, თუ ასე ემსახურები თავისუფლებას, აბა მითხარი, ამისთანა ყოფაში შენ ვინ გაწუხებს, თუ შენ სხვას არ აწუხებ? და თუ შენ სხვას აწუხებ, მაშინ თავისუფლება მარტო შენთვის ყოფილა და არა სხვისთვის, მსხვერპლი შენი თავისუფლების ყოფილა სხვა.

შენის აზრით, ჩემო შვილო, ერთობას შენ იმას ეძახი, რომ ჩემი შენი იყოს, და შენი - ჩემი, მაგრამ როგორ მოვათავსოთ, როდესაც მე ჩემის ოფლით და ჩემი შრომით ვიძენ რამეს, შენ კი გუგულივით დაჰფრინავ და იძახი მხოლოდ „გუგუს“ ანკი კაცობრიობაში განა განხორციელდება ამისთანა ერთობა, ვიდრე ადამიანი ხორცშესხმული ქმნილებაა?! აბა, შვილო, ერთ სპარსულ ლეგენდას გეტყვი, შენ მომისმინე და ბოლოს მითხარი: განხორციელდება კაცობრიობაში ამისთანა ერთობა, როგორც შენი გაქვს დასახული თუ ვერა?

ღმერთმა გააჩინა კაცი, ვირი, აქლემი და მაიმუნი. ყველა მათგანს მან მიანიჭა ოც-ოცდაათი წლის სიცოცხლე.

ვირმა რომ გაიგო ესა, წარსდგა ღმერთთან და მოახსენა: უფალო, რადგან ჩემი სიცოცხლე სულ შრომაში და ტანჯვა-წვალებაში იქნება, გთხოვ მომანიჭო მხოლოდ ათი წლის სიცოცხლე. ღმერთმა აუსრულა ვირს თხოვნა.

ეს რომ გაიგო კაცმა, მივიდა ღმერთთან და შევედრა: უფალო, ის ოცი წლის სიცოცხლე, რომელიც ვირს დააკლი, გთხოვ მე მომანიჭო. ღმერთმა აუსრულა თხოვნა. ოცდაათი წლის მაგიერ, მიენიჭა ორმოცდაათი წლის სიცოცხლე.

არც აქლემი დარჩა კმაყოფილი თავის ხანგრძლივ სიცოცხლეზე და იმანაც სთხოვა ღმერთს, დაეკლო მისთვის ოცი წლის სიცოცხლე, ღმერთმა ესაც აასრულა. კაცი წარსდგა ღმერთთან და ეს ოცი წლის სიცოცხლეც სთხოვა. ღმერთმა აუსრულა, გაუზარდა კაცს სამოცდაათი წლის სიცოცხლე.

ბოლოს მაიმუნიც წარსდგა ღვთის წინაშე და იმანაც მოიწადინა მხოლოდ ათი წლის სიცოცხლე. მაიმუნის დანაკლისი ოცი წლის სიცოცხლეც თხოვნისამებრ ღმერთმა ხარბ კაცს მიანიჭა. კაცს გაუხდა ოთხმოცდაათი წლის სიცოცხლე. ამ ნაჩუქარი სიცოცხლით (ოც-ოცი წელიწადით) აი რა დაეტყო კაცს:

- ოცდაათი წლის განმავლობაში კაცი ცოცხლობს და ცხოვრობს როგორც კაცი, უზრუნველად და უდარდელად;
- ოცდაათი წლის შემდეგ ორმოცდაათ წლამდე კაცი მუშაობს, როგორც ვირი:
- ორმოცდაათი წლიდან სამოცდაათამდე კაცი ისე უფრთხილდება თავის მონაგარს, როგორც აქლემი თავის კუზების საკუჭნაოში შენახულ საჭმელს და:
- სამოცდაათი წლიდან კაცს აკლდება მუშაობის ძალ-ღონე და ენერგია, ცოცხლობს და ცხოვრობს ისე, როგორც მაიმუნი.

ამ ბრძნულ ლეგენდაში იხატება პირველად ისა, რომ კაცი ხარბია და გაუმაძღარი, მეორე - რომ კაცს სხვადასხვა ხნოვანებაში სხვადასხვა ბუნებრივი მოთხოვნილება აქვს: რაც ყმაწვილისთვის სანატრელია, ის ჭაბუკისთვის სასაცილოა, რაც ჭაბუკისთვის მოსაწონია, ის ხნიერისთვის დასაწუნია. ყმაწვილს სხვა ბუნება და მოთხოვნილება აქვს, ჭაბუკს სხვა, ხნიერს და მოხუცს კიდევ უფრო სხვა. ქვეყნიერებაზედ რამდენია ან ერთი, ან მეორე და ან მესამე. აბა, ახლა გავშინჯოთ, - ამათ შორის დამყარდება იმგვარი ერთობა, როგორც შენა და შენი ჯურის ხალხი გულისხმობენ?

ჩემო შვილო, მომისმინე, მე განვმარტავ, რა არის ერთობა, ძმობა და თავისუფლება, ეგებ ჩემი მსჯელობა მოგეწონოს.

„ერთობას“ მე ვეძახი, ჩემო შვილო, ურთიერთშორის კეთილ გამწყობილებას. ავიღოთ, მაგალითად, დიდი ოჯახი. იმისთანა ოჯახი, რომელშიაც არის დიდიც და პატარაც, ქალიც, კაციც, ნასწავლიც, უსწავლელიც, სუსტიც, ძლიერიც და ღონიერიც. ყველა ესენი თუ სცხოვრობენ თანხმობით, სიყვარულით და კეთილგანწყობილობით, თუ ერთი მეორეს არ სჩაგრავს, არამედ თანაუგრძნობს: დიდი - პატარას, პატარა - დიდს, უსწავლი - ნასწავლს, ნასწავლი - უსწავლს, ერთმანეთისადმი პატივისცემით არიან, აი ამას ვეძახი „ერთობას“ ანუ თანხმობას. ცხოვრება-კაცობრიობაშიც ასე უნდა იყოს. „ერთობა“ მაშინ იქნება, როდესაც ჩინიანი და უჩინო, მდიდარი და ღარიბი, ძლიერი და უძლური, ნასწავლი და უსწავლი

>>>> დასასრული მე-9 გვერდზე >>>>

**ეს წერილი შარშან მოიწერა ბატონმა ოტიამ. გულისყურით ადევნებდა თვალს გაზეთ „მამულს“ და მის მკითხველებთანაც მუდამ მზად იყო სასაუბროდ. გთავაზობთ ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუს ჩვენი გაზეთისადმი და გულისტკივილს გამოვთქვამთ, რომ მისი მართალი სიტყვა ძალიან დაგვაკლდება.**






*- ბატონო ოტია, რამდენიმე დღეში 80 წლის გახდებით. ბევრი წიგნი დაგიწერიათ. ახლაც წერთ?..*

- ატეხილია ამ იუბილეზე ერთი ამბავი... მე ვთქვი: რა იუბილე? ქვეყანა იქცევა და შენ იუბილეს იხდი? ზეიმი და იუბილე კარგია მაშინ, კარგ ხასიათზე რომ ხარ და აწყობილი რომ გაქვს ყველაფერი. და ახლა? რა ზნეობით?.. წერით ვწერ. და როცა ვწერ, ამ დროს საერთოდ ვიმალები, ვიკარგები. ვერსად მნახავ... ჩემთან ასეა. მე ჯერ უნდა ვიმუშაო ფიზიკურად და მერე უნდა ვწერო. დილას ადრე სამუშაოდ მშიერი გავდივარ. ამ დროს არც ვეწევი. ორი საათი მაინც შეუსვენებლად ვმუშაობ და მერე დაღლილზე მარტო ერთ ჭიქა ჩაის ვსვამ. საჭმელი არა! მშიერი მონები აშენებდნენ ქვეყანას. ერთ ჭიქა კარგ ჩაის ვსვამ თაფლით. შაქარი აქ ჩემთან არ შემოვა.. ჩაის ვსვამ და მერე უკვე ვიკარგები. 4 საათამდე ვწერ. ვწერ... დღევანდელ საქმეს ხვალ არ გადავდებ, იმიტომ რომ იმას უკვე ხვალის საქმე ხვდება და მერე ორივეს გააკეთებ?

ცხრატომეული გამოვიდა და ახლა მეათე ტომია გასაკეთებელი. ამის გარდა კიდევ ერთი ტომი შედგებოდა იმით, რაც დარჩენილია, ტომებში არ შესულა, მაგრამ ხალხშია... ვწერ, ვმუშაობ, მაგრამ ცოტა მეშინია. ამ ოპერაციის მერე. ეს ყველაფერი მოქმედებს გონებაზე და ვფიქრობ, არის კი ჩემი გონება სრულყოფილი? გონებას ერთი მეასედიც რომ დააკლდეს, უკვე საფრთხილოა. იქნებ სწორედ ისაა განსხვავებული..

*- მოთხრობაში „ჩემი ასავალ დასავალი“ წერთ, როგორ დაიწყო ყველაფერი..*

- თბილისში პირველად როცა ჩავედი და მოთხრობები ჩავიტანე, ტალახი მქონდა მუხლზე. ტალახს ახლაც არ ვიცილებ, მიყვარს ქართული მიწა... სკოლაში სამიანებს მიწერდნენ, ობოლი ვიყავი და იმიტომ. თორემ ისიც არ მეკუთვნოდა. უმაღლესში არ მისწავლია. იქ ვინ შემიშვებდა? და ამ დროს მიმაქვს მოთხრობები. რაშია საქმე? წიგნი მე არ მქონდა წაკითხული.. პირველი წიგნი ჩემი დაწერილი წავიკითხე. იქამდე არ მქონდა. წაიკითხეს მოთხრობები და გაოგნდნენ.. აბა ეს ვინ დაწერა? მე დავწერე, არადა, არავითარი პირობა არ გამაჩნდა იმისი, რომ ეს დამეწერა. დაიბნენ. კი, ეს დასაბეჭდია, მაგრამ დაიცა... იქნებ რაღაცას ეშმაკობს? საიდანმე ხომ არ ქაჩავს? იქნებ ენები იცის და არ გვიმხელს? ჟურნალ „დილის“ რედაქტორი ნონეშვილი იყო და მისი მოადგილე გახლდათ მაყვალა მრევლიშვილი. გამიშვეს მრევლიშვილთან. მაყვალა მეკითხება: „შვილო ოტია, შენ თუ ყურს არ უგდებ ამ ცხოვრების წარმავალობას, შენგან დიდი მწერალი დადგება“ და მისახელებს რაღაც ფრანგულ ჟურნალს, ხომ არ მიგიღიაო? მაშინ კი არა, ახლაც არ ვიცი, რა ჟურნალზე მეკითხებოდა... მოკლედ ვერაფერი გაარკვიეს. ჟურნალის ყველა ნომერს თვის ბოლოს კოლეგია არჩევდა. მეორე დღეს ეს კოლეგია იკრიბება. მათ შორის იყო აკაკი ბელიაშვილი და გამაგზავნეს მასთან. მივედი. ვინ ხარო? ესა და ესა-თქო. რა გინდაო? რა ვიცი, თქვენთან გამომაგზავნეს-თქო. ხომ არაფერს წეროო? კი ბატონო, მე ვუთხარი. მომეციო.. წაიკითხა. კიდევ ხომ არ გაქვსო? კი ბატონო. ყველა ჯიბეში მქონდა. იკითხა, იკითხა და წადი ახლა შენ. მე მკითხონ იმათმაო. ბელიაშვილმა არ ვიცი რა უთხრა, მაგრამ დაიწყეს ბეჭდვა და რასაკვირველია, მერე ეჭვი აღარავის შეპარვია.

*- პირველი წიგნის გამოსვლა როგორ მოხდა?*

- კომუნისტებს ეშმაკი მიუდგა, მთელი ცხოვრება მაგათ ვებრძოდი, მაგრამ რაღაც წესრიგი მაინც იყო. თავიდან ფრთხილად უნდა ყოფილიყავი. მართალია, დიდი გამოცემლობა იყო და გამომცემლობაში მწერლები ისხდნენ.. მაგრამ წიგნი რომ გამოსულიყო, ის სხვა, სამი ცნობილი მწერლისთვის უნდა მიგეცა, მათ უნდა წაეკითხათ და რეცენზიები დაეწერათ. ორი რეცენზია მაინც უნდა ყოფილიყო დადებითი, თორემ ის წიგნი არ გამოვიდოდა. რეცენზიების სანდოობაში ეჭვი არავის შეჰქონდა. ჭეშმარიტი მწერალი თუა, არც იკადრებს ხომ სხვანაირად... გარდა ამისა, ახალგაზრდა მწერლების წიგნები განსაკუთრებით იაფი ღირდა. მახსოვს, რეზო მიშველაძე ამბობდა, 18 კაპიკი ღირდა ჩემი წიგნი და 24 გვერდიანი რვეული 20 კაპიკიო. მაგრამ, სანაცვლოდ, ტირაჟი დიდი იყო და 1500 დან 4000-მდე ჰონორარი. ახლა აღარაფერი აღარ არსებობს და წიგნებიც იოლად, ხელწამოკვრით იბეჭდება. არადა, ასე არ შეიძლება. დააბრალებენ მწერლობას ვინმეს, იმასაც ჰგონია, რომ რადგან წიგნი გამოსცა, მწერალია და მერე მთელი ცხოვრება იხარჯება, წვალობს, იტანჯება. შეიძლება საბოლოოდ არაფერი გამოუვიდეს და ამ დროს მთელი ცხოვრება შეწიროს საქმეს, რომელიც მისი არ არის...

*- ფიქრობთ, რომ ნიჭიერი ადამიანი არც ერთ ეპოქაში არ დაიკარგება? თუ არც ასე იოლადაა საქმე?*

- ყოველ შემთხვევაში, თავიდან რომ მოდის ახალგაზრდა, უნდა დაინახო და აღმოაჩინო. თანაც, მარტო ნაკითხობაც არ შველის ამას ალბათ. ხელოვნება, ლიტერატურა მათემატიკა კი არ არის, რომ ჯამი მიიღო და თქვა, ყველაფერი რიგზეა. შორს რომ არ წავიდეთ და აგერ, ჩვენს წარსულში რომ გავიხედოთ და გავიხსენოთ: გრიგოლ ორბელიანი, ასეთი დიდი პოეტი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, მანანა ორბელიანის სალონი, ჭავჭავაძის ქალები, პლატონ იოსელიანი, ძალიან კარგი ფილოსოფოსი და მთელი მაშინდელი ინტელიგენცია. აქვე, მათ თვალწინ კითხულობდა ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ლექსებს და ამ დროს არც ერთმა არ იცოდა, ვინ იყო და რამხელა პოეტი იყო ბარათაშვილი. ჭავჭავაძის ქალს რომ არ შეენახა ის ლექსები და არ მიეტანა ილიასათვის, ბარათაშვილი და მისი პოეზია ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგული იყო...

*- რას ურჩევდა ოტია იოსელიანი ახალგაზრდა, დამწყებ მწერლებს?*

- ჯერ ერთი, წიგნის სათაურშივე უნდა ჩანდეს, რაზე გვიამბობს წიგნი, რა გინდა. „ანა კარენინა“, კი ბატონო, ესე იგი ქალზეა, „ომი და მშვიდობა“, ესე იგი, ომზე და მშვიდობაზეა. რომ ვიწყებ კითხვას, უკვე უნდა ვხვდებოდე, რა თვალსაზრისით ვიკითხო. ან მაგალითად ესეცაა, რომ რაღაც დაუსრულებელი აზრი გამოაქვთ სათაურად. მაგალითად, „და მე შევხვდი...“ ვის შეხვდი? პეტრეს?

სტილს რაც შეეხება, ჩემი აზრით, ყველაზე კარგია ზღაპრის სტილი. მაგალითად, „იყო ბაჩო და მანო. მაგრამ არსად არ იყო დაჩი. დაჩის გული მოუვიდა, რატომ მე არ ვარო და გაჩნდა“. ეს ზღაპარია და გასაგებია, რომ საბავშვო მოთხრობა სხვანაირად იწერება, ნოველა სხვაა და რომანი სხვა, მაგრამ თუნდაც ლევ ტოლსტოი რომ გავიხსენოთ, ის თარგმანში არ აგებს. არ იკარგება, ისე უბრალოდ წერს. მაგალითად: „კავკასიაში მსახურობდა ვინმე ჟილინი. ერთხელ მან დედისგან წერილი მიიღო. შვილო, მე დავბერდი, ჩამოდი, დამასაფლავე, შენთვის ქალი შევარჩიე, თუ გინდა შეირთე. მივიდა ჟილინი, აიღო შვებულება, შეჯდა ცხენზე და წავიდა“. რა უნდა დაკარგო აქ? ისეთი სადა და მარტივია, არც ენაა ნაწვალები. ეს საკითხავადაა იოლი, მაგრამ საწერად ძნელია... ახლა მაგალითად, რობაქიძე გერმანულად რას წერდა, არ ვიცი. გერმანელები ტყუილად არ იტყოდნენ, ახალი ენის ფუძემდებელიაო, მაგრამ „გველის პერანგი“ მე ვერაფრით წავიკითხე. ბრახა-ბრუხია, ალიაქოთია...

*- სტილის თვალსაზრისით მანერულია გამსახურდიაც...*

- მთელი ღამე უხმობდა მამალი ხოხობი დედალს... გათენდა... თქვა მერე კოწიამ, ამით ხიდი გავდეო ევროპულ პროზასა და აღმოსავლურ პოეზიას შორისო, მაგრამ რა ხიდი უნდოდა... ვის რაში ჭირდებოდა? საერთოდ, ლიტერატურა ეს სახეებით აზროვნებაა. ნაწარმოები არის სახე. ეს არ უნდა დაავიწყდეთ, ისე უნდა წერო, რომ არც არავის ჰგავდეს და თან სულ გახსოვდეს, ვინ არიან შენი გმირები. ის პიროვნებები, რომ ისინი ჩემთვის, მკითხველისთვისაც ახლობლები გახადო და მეც იმათი ბედით ვწუხდე... სათქმელიც შენებურად უნდა თქვა, შენი ფრაზით, შენი ენით, თორემ წავიკითხავ აგერ მსოფლიო ლიტერატურას. „ვეფხისტყაოსანიც“ ამ თვალსაზრისით უნდა იკითხო. აზრი ნათლად მოაქვს. ასე, ყველა ქვეყანაშია რუსთაველამდეც ნათქვამი, რომ გლახა სიცოცხლეს სიკვდილი ჯობია, მაგრამ რუსთაველი როგორ ამბობს? „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. ესაა მწერლის ოსტატობა.

*- თანამედროვე ქართულ ენაზე რას იტყვით. ძალიანაა დაბინძურებული?*

- ხალხია ენის პატრონი. ენა ჩვენი მდიდარია, მაგრამ საქმე ის არის, თუ იცი ენა. ახლა ისეთებს გაიგონებ... მაგალითად, „მიიღო ზომები“. რისი ზომები მიიღო? ჩოხა-ახალუხის? კაბის? ეს რუსულიდანაა. ქართულად არის „დასაჯა“. ან კიდევ „უბრალოდ“ რა ნიშნავს უბრალოდ? გელაპარაკებით ბრალიანად. უბრალო შეიძლება თქვა ამაზე, რომ ეს უბრალო, ფარატინა ქაღალდია. სულ ბწკარედებია. გადმოტანილია ასე უკითხავად და არაფრის მაქნისია... ძალიან დამახინჯებული ენაა და ვერც ვაცნობიერებთ ამ დროს. ამიტომ უნდა ვიკითხოთ ბევრი. რადგან კარგ მწერალთან ამას ვერ ნახავ... რუსულმა დაგვიმახინჯა ენა, მაგრამ ეს ისევ ჩვენი ბრალი იყო. ახლა მეორე უკიდურესობაში ვართ. წიკლაურმა თქვა ამასწინათ, პუშკინის ძეგლი დაანგრიეთო, რუსეთი ჩვენი მტერიაო. ასე, მუდამ ჩვენი მტერი იყო სპარსეთი, მაგრამ ფირდოუსი იყო ჩვენი მტერი? ხაიამი იყო მტერი, საადი თუ ჰაფეზი, ჯამი თუ რუმი? ამათ ადრეც ვთარგმნიდით და სულ ზეპირად ვიცოდით. ხაიამმა უკეთ უმღერა ღვინოს და ქალს. ასეა, მოვლენ პოლიტიკაში და ჩერჩეტობენ რაღაცას.

*- როგორ უნდა გახდე კარგი მკითხველი? ისევე, როგორც მწერლობამდე, ალბათ აქამდეც გზაა გასავლელი..*

- იტყვიან, წიგნი რომ არ წავიკითხო, ისე არ დამეძინებაო. წიგნი რა, ლუმინალი კი არ არის... თუ წიგნი ვარგა, რა გაძინებს და თუ არ ვარგა, რა გაკითხებს.

ნაკითხი თუ არ ხარ, ვერ გაიგებ ისე ლიტერატურას. მახსოვს, „ომი და მშვიდობა“ რომ გამოვიდა, 18 წლის ვიყავი. სულ მესმოდა ტოლსტოი, ტოლსტოი და დავიწყე კითხვა... ვერაფერი გავიგე, მეთქი რას ბჟუტურობს ეს კაცი-თქო, მაგრამ იმის ბრალი კი არ იყო, ჩემი ბრალი იყო ეს. დავანებე თავი... და მერე მოსკოვში ვარ, უმაღლეს კურსებზე. ასეთი კურსები არსებობდა მწერლებისთვის. მთელი საბჭოთა კავშირიდან ჩამოდიოდნენ. 38 კაცი იყო კურსზე. შოთა ნიშნიანიძე იყო მეორე კურსზე, მე ვიყავი პირველზე. და ასეთი ლექციები გვქონდა: პუშკინის, ფლობერის, ტოლსტოის ოსტატობა. რომელიც გინდოდა, იმას აირჩევდი. მე, როგორც პროზაიკოსი, მაინც ტოლსტოის მივეტენტრე. მატილიოვას ქალი იყო. ის მიკითხავდა. ზეპირად სხლავდა ტოლსტოის. მე არ ვიცოდი ენა, თორემ... ტოლსტოის 90 ტომია გამოსული.. მე უკვე 2 წიგნის ავტორი ვარ, კიდევ მაქვს დასაბეჭდი... ამას ვისმენ ახლა... და ვიცი უნდა ჩავაბარო, ისე ნიშანს ვინ დამიწერს. მეთქი, რაღაცას წავიკითხავ და გადავწყვიტე, „ანა კარენინა“ წამეკითხა. დავიწყე კითხვა. და ეს რა ყოფილა! სასწაულები იყო. ვტირი და ვტირი... შოთა მეექვსე სართულზე იყო, მე ვიყავი მეშვიდეზე. მე ჩემს თავზე ვერ ვგუობ საერთოდ ვერავის. ჩემს ათ მცნებაშიც მიწერია „ჯიხვმა თქვა, ჩემს რქებს ზევით მარტო ღმერთი უნდა იყოსო“. მოკლედ, სულ ზემოთ ვარ და არ ვიცი, ვის გავუზიარო. ვკითხულობ და ვყვირი კაცო. ისე გადის ადამიანში, როგორც რენტგენის სხივები. მოდი და ნუ იყვირებ. ლეკი პოეტი იყო ჩემს გვერდით და გამოვარდა, რა გაყვირებსო...

საერთოდ, მკითხველობა ბედნიერებაა. ჰემინგუეიმ, ნობელის პრემიის ლაურეატი რომ იყო და უზარმაზარი შემოსავლები ჰქონდა, მაშინ თქვა: მთელ ჩემს შემოსავალზე უარს ვიტყოდი, „ანა კარენინა“ და „ომი და მშვიდობა“ რომ წაუკითხავი მქონდესო.

*- ზუსტად ასე ამბობს?*

- არა, სხვათა შორის, შემოსავლის ნახევარსო, ასე ამბობს, მაგრამ მე მთლიანად ვურჩევდი.

*- კარენინაში განსაკუთრებით რამ მოგხიბლათ?*

- ტოლსტოიმ ქალი იცის ძალიან კარგად, რაც საერთოდ ძალიან იშვიათია. არადა ლიტერატურაში ქალი თუ არ არის, იქ აღარაფერია... თუნდაც, ქართული ლიტერატურა რომ გავიხსენოთ, გამსახურდიასთან როგორაა: შეიყვანა თამარი ემხვარმა გვირაბში... მეთქი, გაიხსნება ეს ქალი ძალაუნებურად ახლა-თქო, მაგრამ კივა ეს ქალი, კივა მატარებელი და გავიდა მეორე თავში, არაფერი... ვერ გახსნა კოწიამ ქალი. ნახეთ ახლა ამას ლევი როგორ აკეთებს. ანა მიდის სტივასთან. სტივა მის ცოლს, დოლის ეჩხუბება და ანა ამ უსიამოვნების მოსაგვარებლად მიდის. აი, შეხვდა ვრონსკის მატარებელში. ვრონსკის შეიძლება ადრეც იცნობდა და არაფერი განსაკუთრებული იმ ქალში არ მომხდარა. ჩავიდა, მოაწესრიგა რაღაცეები, უკან ბრუნდება და ისევ შეხვდა ვრონსკის. არ ჩანს, რომ ამ ქალს რამე განსაკუთრებული დაენახა ამ კაცში, მაგრამ ჩამოდის მატარებლიდან. ხვდება ქმარი, კარენინი, ამხელა შვილი ყავს სერიოჟა და აღმოაჩინა, რომ ამ ქმარს დიდი ყურები ჰქონია. ჯერ ანამაც არ იცის, რა ხდება მასში, ჯერ გაცნობიერებული არ აქვს, მაგრამ... მოდი და ნუ იყვირებ ახლა ამაზე... თუ არ იცი კითხვა, იტყვი: დიდი ყურები, დიდი ამბავი, რამდენი ყოფილა დიდყურა და მორჩა, მაგრამ ამას ხომ უზარმაზარი დატვირთვა აქვს... აი ამ დონეზე აქვს წაკითხული ტოლსტოის ადამიანი და განსაკუთრებით, ქალი.

*- ქართულ ლიტერატურაში, სამწუხაროდ, ქალზე და მის გრძნობებზე ნაკლებად წერდნენ.*

- ქალი დარჩა ქართულში, როგორც გმირი და მორჩა. ჩვენ გვინდოდა ქალი დროშად და მივახატეთ კიდევაც. გვჭირდებოდა ასეთი სახე: წადით შვილებო, იბრძოლეთ, ზურგში არ მოგხვდეთ ტყვია და დაიხოცეთ სამშობლოსათვის.. იყვნენ კიდევაც ასეთი ქალები. მაშინ კომისარიატები არ იყო და მეფე ქუდზე კაციო, რომ იძახდა, მიდიოდნენ. აბა, დედას რომ დაემალა კალთის ქვეშ, არც წავიდოდნენ. გმირი გვჭირდებოდა, კი ბატონო, მაგრამ თვითონ ქალი? გმირები დაემსგავსნენ ერთმანეთს, მაგრამ ქალი ხომ ინდივიდია...

*- მიხეილ ჯავახიშვილმა სცადა ამ სიცარიელის ამოვსება...*

- ჯავახიშვილმა სცადა „ჯაყოს ხიზნებში“, მაგრამ არ დააცადეს. მას შეეძლო ქალი დაენახა. ჯავახიშვილი კითხულობს ქალს, მაგრამ მისი მიზანი ამ რომანში არ იყო ქალის გახსნა. ის უფრო სოციალურ თემებს ეხება. თუმცა „ჯაყოს ხიზნებში“ ძალიან კარგად ჩანს ქალის ხასიათი და ბუნება. იგივე ფრანგული რომანები რომ გავიხსენოთ. თუნდაც „მადამ ბოვარი“, „წითელი და შავი“, „პარმის სავანე“ - რა ქალებია იქ... ჩვენ კი საბოლოო ჯამში, დაგვრჩა ქალი ასე წაუკითხავი, არადა, არც ერთი დიდი ნაწარმოები არ შექმნილა, სადაც ქალი არ არის გადამწყვეტი გმირი.

*- თქვენს შემოქმედებაში წამყვანია ქალის სახე. „იყო ერთი ქალი“, „ქვრივის ცრემლები“, „ქალი გამოვიდა ქმრის საღალატოდ“...*

- „ქვრივის ცრემლები“ დიდხანს არ დაიბეჭდა, ვითომ პორნოგრაფიააო და ამ მიზეზით. არადა, რა არის იქ პორნოგრაფია?! და ასე გადადიოდა ხელნაწერებით „ქვრივის ცრემლები“ ხელიდან ხელში. მახსოვს, მიშა ქვლივიძე შემხვდა მოსკოვში და იქ მიყვება ქვრივის ცრემლებს. საიდან იცი, არსად არ დაბეჭდილა-თქო? და ვიღაც მომიყვა ვარშავაშიო. მერე „ქვრივის ცრემლები“ წიგნში დაბეჭდილ ნაწარმოებებს შორის შევაპარე. იმათ აღარ გადახედეს, დაბეჭდილებია უკვეო, ჩვენ ხომ ზერელეები ვართ და ასე წავიდა და დაიბეჭდა.

*- ამბობდნენ, რომ თითქოს ქვრივს პროტოტიპი ჰყავდა. საერთოდ, გყავთ პროტორიპები?*

- არა. ასე დამზადებული პროტოტიპები ცხოვრებაში არ არსებობს. ლიტერატურული სახე საერთოდ კრებითია. შენ რა სათქმელიც გაქვს, არ შეიძლება მას ერთი სახე ატარებდეს. შეიძლება გაუცნობიერებლად ხდებოდეს, მაგალითად, „ვარსკვლავთცვენაში“ მყავს ეზიკა და მერე მივხვდი, ეზიკა თურმე ბაბუაჩემი გრიგოლი ყოფილა. ეს თავისთავად გადმოდის შენში, შენს სამყაროში და მერე, როცა დაგჭირდება, ამოტივტივდება. ყველაფერი ცხოვრებიდანაა, რა თქმა უნდა, ციდან ხომ არ ჩამოდის...

ანგელოზი ფუცუი, მაგალითად. 7 შვილი ყავდა. ისეთი გაჭირვებულები იყვნენ... ერთი ნალიის ქვეშ 5 ბავშვს ერთ საბანქვეშ ეძინა. დომნას, მის ცოლს, ტყემალი ჩამოჰქონდა და ჰოსპიტალში დაჭრილებს პურში უცვლიდა. ეს ბავშვები იყვნენ მთელი დღეები მშივრები, უცდიდნენ როდის მოვიდოდა დედა. ის არ მოდიოდა და ერთი ადიოდა ხეზე, რომ დაენახა გზაზე მომავალი. დიაა, - ეძახდა საწყალი ხმით. ბოლოს და ბოლოს, მოვიდოდა დია და მოიტანდა პურის ნატეხებს. იმათ ჩვენ გადაგვარჩინეს. ფუცუი ჩვენი ანგელოზი იყო. რატომ იცით? ჩვენც გაჭირვებულები ვიყავით, მაგრამ იმას რომ ვხედავდით, ჩვენი გაჭირვება არაფრად მიგვაჩნდა. უარესიც არსებობსო, ეს გვაძლებინებდა. ასანთი რომ არ ჰქონდა, ფუცუი მუგუზალზე მოდიოდა ხოლმე. ერთხელ მოვიდა ახლადდათოვლილზე, ფეხშველი, მუგუზლისთვის და თოვლზე ნაკვალევი დაუტოვებია. მის მერე შემოვიდა ეზოში მეზობელი ჭიჭიკო და რაღაცას გაკვირვებული დაეძებს. რას ეძებ-თქო, ვკითხეთ და ნაკვალევზე გვეუბნება, აქ ანგელოზს გაუვლიაო. ანგელოზი კი არა, ფუცუი იყო ეგ თქო.

ფუცუი იყო ჩვენი ანგელოზი.

*- „ვარსკვლავთცვენაში“ ბევრია ასეთი გმირი. პირველი აღიარებაც ამ რომანმა მოგიტანათ.*

- იოანე პავლე მეორეს გამომცემლობაშიც კი დაიბეჭდა „ვარსკვლავთცვენა“... არადა, იქ მხოლოდ სასულიერო ლიტერატურა იბეჭდებოდა. სენტ ეკზიუპერს უთქვამს, ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართო. მე ჩემი ბავშვობიდან არ მოვდივარ, იმიტომ რომ ბავშვობა არ მქონდა..

*- და მაინც აქ დარჩით. არსად არ წახვედით.*

- ანგელოზის ნაკვალევს პარიზში ვერ დაინახავ. ის მარტო აქ არის...

*- წარმატებული დრამატურგი იყავით. როგორ ფიქრობთ, რატომ არ განვითარდა ქართული დრამატურგია?*

- მეცხრე ტომში 13 პიესაა. „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“ და „სანამ ურემი გადაბრუნდება“ 140-ზე მეტი ქვეყნის სცენაზე დაიდგა. მერე აირია ყველაფერი. არც დრამატურგია და არც კინო არ განვითარდა, თორემ რა უნდა ოთარ იოსელიანს საფრანგეთში?

*- ვიცი, რომ ოთარ იოსელიანთან დიდი მეგობრობა გაკავშირებთ. „გიორგობისთვე“ გვიმტიბშია გადაღებული?*

- „გიორგობისთვე“ ოთარმა გვიმტიბში გადაიღო. მისი ფილმი „იყო შაშვი მგალობელი“ რენე კლერს შემთხვევით უნახავს და უთქვამს, ვინ გადაიღო, მანახეთ ეს კაციო. უთხრეს, ვიღაც რუსეთის პროვინციიდანააო, საერთოდ გადარეულა, იქ როგორო? სასწრაფოდ დააფინანსა საკუთარი ფულით და საფრანგეთში მიიწვია... ასეა, თუ არ ჩადე, ცარიელი დაგრჩება და თუ ჩადე, შენია უკვე ის.

*- გამოდის, რომ რას უნდა მივხედოთ, არ ვიცით... მთავარი რა არის, ის არ ვიცით და გვესმის...*

- ჩვენ ხომ უვიცები ვართ. მაღაზიაში შევედი ამას წინათ. ვხედავ პორტრეტი არის ვიღაცის. ფერადი.. ისეთი, ვერ მოწყვიტავ თვალს. ბელადები ჩამოვყარეთ და ვინაა ეს-თქო? ბელადი არაა მაგი, ფეხბურთელიაო. მე ვუთხარი, ფეხბურთი ჩვენ არ გვაქვს და ფეხბურთელი საიდან-თქო? მაგი სხვაგანააო. რა, ჩემი შვილი სხვაგანაა და შენ აქ დაკიდე? საქონელივით გაყიდულა ეს და იმის ტვინი მაინც გქონდეს, რომ გაუკეთე წითელი ხაზი ასე. ამას კიდევ ბელადივით დაუკიდებია... რომ მიდიხარ და მოგწონს, კარგი ქვეყანააო. თუ არის კარგი, ის მისი აშენებულია, შენი კი არა.

წავლენ და მერე იქიდან იყურებიან, ჰე, რა ქენით, ააშენეთ ქვეყანაო? რომ ჩამოვიდე და პური ვჭამოთო? კი მაგრამ, მე ეგ შენიანად ვერ ვქენი და უშენოდ როგორ ვქნა?.. მაგრამ ტვინი არ გვაქვს, წიგნში არ ვიხედებით. შუბლზე აბრეშუმის ძაფის ტოლა ძარღვია ნაკითხობის და ეს ძარღვი 15-17 წლისას თუ არ გაქვს უკვე, დამთავრებულია შენი საქმე. იმიტომ, რომ ყველაფერი, რაც კაცობრიობას უაზროვნია, მოქცეულია წიგნში. წაიკითხავ და ყველაფერი ნათელი გახდება.

ლიტერატურას, ხელოვნებას უნდა მივხედოთ. ეგ არის მთავარი. ამით განსხვავდება ადამიანი ცხოველისგან. მარტო ხელოვნებას შეუძლია ადამიანის ადამიანად ქცევა.

ესაუბრა
**თეონა დოლენჯაშვილი**

# მე ჩემო ბატონო, მარხული გახლავართ!

ეს ამბავი მაინცდამაინც „ვნების კვირაში“ და მაინცდამაინც „წითელ პარასკევს“ მოხდა!..

ოტია და მე ჩემს მშობლიურ თერჯოლაში ვართ. დაგვირეკეს და გვითხრეს, რაიონის გამგებლის თაოსნობით, ახალგაზრდობის შეხვედრა დაუთქვამთ ოტია იოსელიანთანო. ვითომ, ორივე მწერალს გვიმართავდნენ შეხვედრას, სინამდვილეში კი, რა თქმა უნდა, თავიდათავი, ოტია გახლდათ!..

ამიტომ, როცა მისალმების შემდეგ, გამოსვლამ მეც მომიწია, ვთქვი: მართალია, მეგობრებო, მეც გამრიეს მარაქაში, მაგრამ ერთი რამ იცოდეთ, მწერლობა ჯარივითაა, უმეტესწილად, რიგითი ჯარისკაცები შედიან მასში, შესაბამისად, წვრილფეხა ოფიცრობაც, მაიორ-პოლკოვნიკებიც და, რასაკვირველია, გენერლებიც. მე, მაგალითად, რიგით ჯარისკაცად ვთვლი თავს, ოტია კი გენერალია-მეთქი.

გვარიანი ტაში დავიმსახურე, კაი თავმდაბალი კაცი დამდგარხარო!..

წამოიჭრა მკვირცხლად ოტია, ასავსავებს ხელებს: მაგი კაციშვილმა არ იცის წინასწარ - ვინ შერჩება მწერლობას და ვინ - არა! ბალზაკმა, მოგეხსენებათ, ოცი ტომი სისულელეები წერა, ამას თავადაც აღიარებდა, მაგრამ საბოლოოდ, „შაგრენის ტყავი“ დაუდო კაცობრიობასო!

ასე რომ, ნუ ვიქნებით ნამეტნავად სულსწრაფნი და ნუ ვეცდებით ცოცხალი მწერლების დახარისხებასო!

დაინგრა ტაშით დარბაზი - ეს რა ტაქტიანი კაცი ყოფილა, „ზემლიაკი“ არ დაგვიჩრდილაო!..

რასაკვირველია, ეგრეთ წოდებული „მეორე განყოფილებაც“ გაეთვალისწინებინათ და, შეხვედრის შემდეგ (ბევრი ვიუარეთ, მაგრამ ვინ გათხოვა ყური!), ციმციმ წაგვიყვანეს სანაქებო მომცრო ოდაში, თურმე, მხოლოდ სასტუმროდ რომ აეგოთ.

სუფრას, რომ იტყვიან, ჩიტის რძეც არ აკლდა: ეს პირში წითელბოლოკგაჩრილი შებრაწული გოჭი ვარო, ეს ცივად მოხარშული მწიფე-მწიფე ღედლებიო... ყაურმა, „ოსტრი“, ნაირ-ნაირი თევზეულობა, ღლავიდან დაწყებული და ღორჯოებით დამთავრებული... ხიზილალა, ხაჭაპურები.

დასაბმელი გახდა ოტია: ეს რა გიქნიათ, ხალხო, დღეს წითელი პარასკევია, უმძიმესი მარხვა! რა დროს ღრეობა და ღვინის სმაა! კუჭატნელმა თუ იცოდა ეს, თქვენ რა ღმერთი გაგწყრომიათო!..

ლობიო რომ ლობიოა, ისიც არ ჰქონდათ სამარხვოდ!

შეშფოთდა თამადა-გამგებელი, აფრინა ბიჭები რესტორან-სასაუზმეებში, მაგრამ, გაგიგონიათ? - არც ერთში არ აღმოჩენილა ლობიო!

მივემარჯვეთ ოტია და მე მჭადსა და მწვანილეულს, ვიღოღნებით და ვაყოლებთ მსხლის ლიმონათს, ფერით რომ მაინც ჰგავდა ღვინოს.

უჭირს თამადას, იხტიბარი აქვს გატეხილი, ბოდიშობს, გვაპატიეთო!

- არაფერი, არაფერი... მჭადია, რაც მთავარია, პურია, პრასიც ბლომადაა. საკმარისია! - გულწრფელობს ოტია, მაგრამ, ემჩნევა, ეკლებივით ესობა მისი სიტყვები გულზე თამადას.

- აგერ, პატივცემულო, კარტოფილი მიირთვით! - ეუბნება სახეშეჭარხლული ქალბატონი, - ეტყობოდა, შინაური გახლდათ, ადგილობრივი.

- კაი დაგემართოთ, მარა ზეთშია ხომ შემწვარი! გვიკრძალავს.

ჩვენს პირდაპირ ახალგაზრდები სხედან. მე მგონი, დაირცხვინეს და იმათაც უარი თქვეს სახსნილო კერძებზე, დაეძალნენ პრასსა და მჭადს, იჭყიპებიან ლიმონათით.

ოტიას ცა გაეხსნა - არ ყოფილა მთლად დაღუპული ქვეყანაო! მაგრამ კითხვით მაინც იკითხა:

- რავა, ბოვშებო, ხორცეულს არც თქვენ მიირთმევთ?!

პირველი: დიახ, ბატონო ოტია, მე მარხვას ვიჭერ.

ოტიამ წამიერად შეათვალიერა ახალგაზრდა, გაზარმაცებული თვალის კუთხიდან ჭინკამ გამოჰყო თავი:

- პოლიციელი ხარ?!

მალულად ვიღიმები, ავანსად. ვატყობ, სიცილი იფეთქებს.

პირველი: არა, ბატონო, ბროკერად ვმუშაობ ქუთაისში.

- რად ვმუშაობო?! - მომხედა თვალმოჭუტულმა და მუნდშტუკი მოიმარჯვა.

- მაკლერი ყოფილა.

- შენც კარგადა ხარ! - ჯიბეებს იჩხრეკს, სიგარეტს ეძებს, - ეგ რაღა დარდუბალაა?!

- ვთქვათ, მავანი და მავანი სასწრაფოდ ყიდის ბინას. მიადგება ამას და ეს მუშტარს მოუძებნის, რისთვისაც გასამრჯელოს მიიღებს.

ოტია: ქართულად თუ ვიტყვით, შუამავალი ნამყოფარა, ხომ?

- აგრეა, კი.

- აჰა, მარხვას ვიჭეროო, რატომ მითხარი?! - მიუბრუნდა ისევ იმ პირველს. უკვე თავის სტიქიაშია, - რა დაგიშავა, რომ იჭერ!

აქა-იქ ფხუკუნი გაისმა. შერცხვა ახალგაზრდას. თავი ჩაღუნა.

- შენ რატომ? - ახლა მეორეს ეკითხება.

მეორეს ეტყობოდა, კაი ხნის მომზადებული ჰქონდა პასუხი.

- მე, ბატონო, მარხვას ვიცავ!

ოტია ისევ მე მომმართავს: გადამრევს ეს ხალხი! ერთი იჭერს, მეორე - იცავს!

უკვე ყველას სიცილი წასკდა.

- შენ? - შედის ნელ-ნელა აზარტში, - ბოლოს მესამესაც მიაპყრო მზერა.

შეყოვნდა ოდნავ მესამე ახალგაზრდა. ეტყობოდა, პასუხს ირჩევდა გულში.

- მე, ოტია ბატონო, მარხვაზე ვარ, - ცოტა გაუბედავად წაიბუტბუტა.

- ხმამაღლა თქვი, გამაგონე, რას ამბობ!

- მე მარხვაზე ვარ, ბატონო!

- აჰა! შენ სულაც ზეიდან შეჯექი?!

საერთო ხარხარში ვერ გავარჩიე, რომელმა იკითხა: კი მარა, საინტერესოა, თვითონ ოტია იოსელიანი რატომ არ მიირთმევს ხორცს?!

- მე, ჩემო ბატონო, ვმარხულობ, მარხული გახლავართ!

არც აცივა, არც აცხელა და პირველი ახალგაზრდა მე მეკითხება: აკი იოსელიანიაო!

მივუხვდი, „ქურხულის“ მსგავსად „მარხულიც“ მთიური გვარი ეგონა და ლამის გადავფიჩინდი სიცილით.

- რა მოხდა, რა გულამომჯდარი ხითხითდებდი წეღან?! - მკითხა ოტიამ, როცა მის „ნივაში“ ჩავსხედით და გეზი დედაქალაქისაკენ ავიღეთ.

მეც სიტყვასიტყვით გავუმეორე, რაც იმ პირველმა ახალგაზრდამ წამიჩურჩულა.

- ეუჰ! ეგ სულ დაჩოჩებული ყოფილა, ეგ უბედური!

რა ეშველება ამ ხალხს! - ჩაილაპარაკა ყრუდ, უმატა გაზს და კარგა ხანს ხმა აღარ ამოუღია.

**გიზო ზარნაძე**

პორტრეტი

ქალის გაზეთი

# სიმართლე გოჩა აბაშიძის შესახებ



24 წლის იყო თავი რომ მოიკლა, მაგრამ დატოვა რვა, დღემდე ცოცხალი კინო-გმირი და სკანდალი, რომელიც დღემდე ახსოვთ;

სკანდალი, რომელიც მოჰყვა მის ტრაგიკულ გარდაცვალებას.

ხალასი ნიჭის და გარეგნობის წყალობით, სრულიად ახალგაზრდა გახდა კინოვარსკვლავი. მოიპოვა აღიარება,პოპულარობა. დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ერთი შეხედვით ბედისგან განებივრებული ბიჭის ცხოვრება სავსე იყო ტკივილებით, გაჭირვებით.

ბედნიერება და უბედურება ტყუპები არიან - თქვა ნიცშემ. ეს აისახა გოჩა აბაშიძის ბედისწერაშიც.



მსახიობობა ბავშვობიდანვე უნდოდა და ამიტომაც დადიოდა პიონერთა სასახლეში დრამწრეზე, მაგრამ ქართულ კინოში ერთი თვალის ჩაკვრის წყალობით მოხვდა:

ნიკოლოზ სანიშვილი იღებს ფილმს ,,ისინი ჩამოვიდნენ მთიდან''. სინჯებია - ვეფხიას როლის შემსრულებელს ეძებს. ოთახში რიგ-რიგობით შედიან როლის მაძიებელი ბიჭები. შედის 15 წლის გოჩა აბაშიძეც, მაგრამ რეჟისორი სთხოვს, რომ დატოვოს კაბინეტი - ვერაფერ საერთოს ვერ ხედავს ლამაზ ბიჭსა და ვეფხვიას შორის. უხერხულობის გასაფანტავად გოჩა კაბინეტში მყოფ გოგონას უკრავს თვალს, რაც შეუმჩნეველი არ რჩება რეჟისორს და იქვე აძლევს როლს, ოღონდ დათოს როლს.

გოჩა აბაშიძის თავბრუდამხვევი კინოკარიერა იწყება - ფილმს ,,ისინი ჩამოვიდნენ მთიდან'', მოსდევს ,,ცისკარა'', ,,აბეზარა'', ,,ჩრდილი გზაზე'', ,,ჩვენი ეზო''. გოჩა აბაშიძე ყველა ამ ფილმში უკვე გადაღებული იყო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე რომ ჩაირიცხა - ინსტიტუტის კარი პრაქტიკულად კინოვარსკვლავმა შეაღო.

19 წლის იყო ცოლად მომავალში ცნობილი კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია რომ შეირთო. ნუნუ გაბუნია მაშინ ჯერ 16 წლისაც არ იყო.

15 წლის ნუნუ გაბუნიას მაინცდამაინც არ უნდოდა მეგობრის მამიდაშვილის დაბადების დღეზე წასვლა, მაგრამ მაინც წავიდა და შინ აღტაცებული დაბრუნდა - მსახიობი ბიჭი გაიცნო, თან იმ ბიჭმა სახლამდე მიაცილა. მეტიც, მეორე დღეს შინაც მიაკითხა. გოგონას გაუკვირდა ახალგაცნობილის ასე გაშინაურება.

ნუნუ გაბუნია: ,,გოჩა მალე დაუმეგობრდა ყველა ჩემს მეზობელს, დედაჩემს, ჩემს ძმას, დღე არ გავიდოდა რომ არ მოსულიყო. მისგან დიდ ყურადღებას ვგრძნობდი, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი თუ შევუყვარდებოდი. თან მაშინ ჩემთვის, ჩუმად, თამაზ ტოგონიძე მიყვარდა, ,,ცისკარაში'' რომ ცისკარას როლს ასრულებს და ეს ამბავი გოჩას გავანდე, როგორც ახლო მეგობარს, შენი მეგობარი მიყვარს-მეთქი. არადა, თურმე მას ვუყვარვარ და ამიტომ მაკითხავს, მე კი ყოველდღე მოუთმენლად ველოდი მის მოსვლას, რომ თამაზზე მესაუბრა. ერთ დღეს გაკვრით მითხრა, შენთან ველარ მოვალ, ჩემთვის ძალიან მძიმეაო. ორი-სამი დღე მართლაც არ გამოჩენილა, მერე მოვიდა. მე გაბუტული დავხვდი, ვერ გამეგო რა იყო მძიმე მისთვის, სადღაც გულის კუნჭულში კი ვფიქრობდი, მაგრამ დაჯერება არ მინდოდა. გოჩა ადგა და დედაჩემთან, ჩემს ძმასთან, მეზობლის ქალთან მოხსნა გუდას პირი, თან ტირის, თან ყვება, რომ ასე ძალიან ვუყვარვარ, რომ მე ვერ ვუგებ, რომ მას უჩემოდ ცხოვრება არ შეუძლია. ბოლოს ყველა აატირა, მეზობლის ქალი ცრემლად დაიღვარა მისი საცოდაობით... წავიდა. სახლში აღარ ვუშვებდი. 2-3 დღის შემდეგ გოჩას მეგობარი მოვიდა და მითხრა, რომ გოჩამ კინაღამ თავი მოიკლა, რომ ჩემი გულისთვის მტკვარში ხტებოდა. გადავწყვიტე დავლაპარაკებოდი. მოვიდა და ტირილით მომიყვა თავის თავგადასავალს. მას საკმაოდ მძიმე ცხოვრება ჰქონდა. მამა გადაუსახლეს, შემდეგ გარდაეცვალა, დედამ ახალი ოჯახი შექმნა. ძალიან განიცდიდა. შემეცოდა, თან ჩემს თავსაც შევატყე რომ მიყვარდა. მთხოვდა, ჯერ მხოლოდ ხელი მოვაწეროთ და სრულწლოვანი რომ გახდები, მერე ვიცხოვროთ ერთად, მეცოდინება ჩემი ცოლი რომ ხარ და მშვიდად ვიქნებიო. ამ პირობით დავთანხდი. ყალბი პასპორტი გამიკეთა და დიდის ამბით, ჩუმად მოვაწერეთ ხელი 17 აპრილს, სადღაც ლესელიძის ქუჩაზე, ,,მმაჩის'' ბიუროს ბნელ, უღიმღამო ოთახში.''

გოჩამ საიდუმლო არ შეინახა - იმავე საღამოს ნუნუს დედას ახარა ნუნუს გათხოვების ამბავი, მეორე დღეს, გადასაღებ მოედანზე კი - ლია ელიავას - საჯაროდ.

ნუნუ და გოჩა ერთხანს ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ - სანამ ნუნუ სკოლას დაამთავრებდა. შემდეგ ერთად დაიწყეს ცხოვრება. შეეძინათ ქალიშვილი - მანანა აბაშიძე.

ნუნუ გაბუნია: ,,ძალიან უნდოდა რომ ბავშვისთვის ხათუნა დაგვერქმია, მე მინდოდა მანანა. კარგა ხანს ვდაობდით. კარგა ხანს ბავშვს მე მანანას ვეძახდი, ის ხათუნას. ბოლოს დათმო, კარგი მანანა იყოსო, მაგრამ აკვანს რომ არწევდა, ისევ ეძახდა ,,ხა-თუ-ნა, ხა-თუ-ნა''

ძალიან მხიარული ბიჭი იყო, იმ საზოგადოების სული და გული იყო, სადაც კი მოხვდებოდა. ეს იყო ფეიერვერკი. შესანიშნავი იუმორი ჰქონდა. ცეკვავდა, კითხულობდა ბარათაშვილს, გალაკტიონს, თვითონაც წერდა ლექსებს, სმენა არ ჰქონდა, მაგრამ მელოდიას თუ ისწავლიდა, ხმა ჰქონდა ძალიან ლამაზი და ისე იმღერებდა, ისე სუფთად, გეგონებოდა სმენაც აქვს, ხმაც... ძალიან პოპულარული იყო და ხშირად იწვევდნენ სტუმრად, მე ყოველთვის ვერ მივყვებოდი, ბავშვს ვერ ვტოვებდი და მწყინდა, უჩემოდ რომ მიდიოდა. ახლა ვხვდები, მეტ გაგებას და თანადგომას საჭიროებდა. ქუჩაში ხალხი წყებად დაგვდევდა გოჩასთვის რომ შეეხედათ, ის კი ჩემით ამაყობდა, ჩემი ცოლი კომპოზიტორი არისო. რომელი კომპოზიტორი მე ვიყავი, მერე დავამთავრე სასწავლებელი, კონსერვატორია, მაშინ უბრალოდ პატარ-პატარა ნაწარმოებები მქონდა ის კი თავიდანვე ტრაბახობდა. ძალიან გამხდარი ვიყავი და სულ მეხვეწებოდა, გრძელსახელოებიანი კაბა ჩაიცვი, თორემ ეგონებათ ქმარი საჭმელს არ აჭმევსო. ძალიან მოსწონდა, თავის თავს ქმარს რომ უწოდებდა. ძალზე ხელგაშლილი ბიჭი იყო, ორი კაპიკი ჰქონდა ხოლმე, მაგრამ ისე გულით ხარჯავდა, გეგონებოდა მილიონერი იყო.

ჩვენი მეგობრის, ვიოლა ჯაფარიძის დაბადების დღე იყო, ვიყიდეთ ძალიან ლამაზი ტორტი და დიდი ამბით გავეშურეთ, მაგრამ სადარბაზოში რომ შევედით, გოჩას ტორტის ყუთი ხელიდან გაუვარდა. ტორტი აიზილა. ლამის ავტირდი, ხელცარიელი როგორ მივიდეთ-მეთქი, თან მეტი ფულიც არ გვქონდა. გოჩამ გამოსავალი იპოვა. აიღო ეს ყუთი, გამიყვანა გარეთ და დაიძახა: ,,ვიოლა, ვიოლა''. ვიოლამ გამოგვხედა და დაგვინახა ტორტით ხელში, ჩვენ ხელახლა შევედით სადარბაზოში, ვიოლა გამოგვეგება და კიბეებზე გოჩამ განგებ გაუშვა ხელი ყუთს. ვიოლა შეწუხდა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა იქნებოდა ორჯერ დახეთქებული ტორტი?!''

გოჩას და ნუნუს ბედნიერი თანაცხოვრება ხანმოკლე აღმოჩნდა, მხოლოდ ორწლიანი. ისინი დაშორდნენ.

1961 წელს ეკრანებზე გამოსული ,,გლახის ნაამბობი'' გოჩა აბაშიძისთვის ბოლო ფილმი აღმოჩნდა. ბოლოს ,,თეთრ ქარავანში'' იღებდნენ, მთავარ როლზე იყო დამტკიცებული, მაგრამ ის როლი იმედა კახიანმა ითამაშა... იმიტომ არა, რომ გოჩა აბაშიძემ თავი მოიკლა. გოჩა აბაშიძე როლიდან მოხსნეს და სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, ამანაც ითამაშა გარკვეული როლი, გოჩა აბაშიძის თვითმკვლელობაში.

თუმცა, იმდროიდან გავრცელებული სკანდალური ვერსიით, გოჩა აბაშიძემ ლეილა აბაშიძის გულისთვის მოიწამლა თავი. ეს სკანდალური ვერსია, ნუნუ გაბუნიამ წლების შემდეგ, 1996 წელს, პირველად ჩემთან ინტერვიუში უარყო ექსკლუზიურად.

ნუნუ გაბუნიას არ დაუმალავს, რომ გოჩა აბაშიძეს სწორედ ლეილა აბაშიძის გამო დაშორდა, მაგრამ გოჩა აბაშიძეს ლეილა აბაშიძის გულისთვის არ მოუწამლავს თავი.

ნუნუ გაბუნია: ,,გოჩას სიკვდილში ვერ დავადანაშაულებ და არც დავადანაშაულებ ლეილა აბაშიძეს. მას ბრალი არ მიუძღვის. არსებობს მრავალი მიზეზი რომელიც ამუქებდა მის ცხოვრებას და საბოლოოდ ასეთი ნაბიჯი გადაადგმევინა. მამა გარდაეცვალა, დედას სხვა ოჯახი ჰქონდა, განიცდიდა... გოჩამ თავისი ,,პობედა'' გაყიდა, მაგრამ ვინც იყიდა, იმ კაცმა ვერ გადაიფორმა და უკან მოუბრუნა და სთხოვდა ფულს, რომელიც ოჯახს უკვე დახარჯული ჰქონდა. მოვალე ყოველდღე აწუხებდა, ურეკავდა, სახლში აკითხავდა, კართან ელოდებოდა. გოჩა აივნიდან შედიოდა შინ. ჩვენ მაშინ უკვე აღარ ვცხოვრობდით ერთად, ლეილა აბაშიძესთან რომანის გამო. გოჩა კინოსტუდიაში წასულა, იმ იმედით რომ ჰონორარის ავანსს აიღებდა და ვალის ნაწილს მაინც გაისტუმრებდა. კინოსტუდიაში მისულს ელდარ შენგელაიამ უთხრა, რომ როლიდან მოხსნილი იყო და ავანსს ვერ მისცემდნენ. ვალის გასტუმრების ეს გზაც მოეჭრა და წელიწადნახევარი უხელფასოდაც რჩებოდა, როლები უკვე განაწილებული იყო და მას ველარც სხვა ფილმში აიყვანდნენ. გაცეცხლებული შევარდა დირექტორთან. მათ საუბარს შეესწრო მდივანი ქალი, რომელმაც გაიგონა დირექტორის სიტყვები: შავგულიძე მოკვდა, თან არავინ გადაჰყოლია და შენ ვინ გადაგყვებაო. ეტყობა გოჩამ უთხრა, ან თავს არ ვიცოცხლებ, ან რაღაც, იმან კი დაწყნარების ნაცვლად თავხედურად მოიშორა თავიდან. როდესაც გოჩა კაბინეტიდან გამოვარდა, მისაღებში ლეილა აბაშიძე და დევი აბაშიძე ისხდნენ. დევიმ სთხოვა ლეილას, გაყევი ამ ბიჭს, თავს არაფერი აუტეხოსო. გოჩა ჩაჯდა მანქანაში და გავარდა, მას რომ სიკვდილი სდომოდა, მანქანითვე სადმე გადაიჩეხებოდა. მას შეშინება უნდოდა. დალია გოჩამ საწამლავი და მიაკითხა ლეილამაც. ეს რომ დაინახეს, ყველაფერი ლეილას დააბრალეს. ეს რომ ტყუილი იყო, მე თვითონაც გვიან გავიგე. მეც ლეილა მეგონა გოჩას სიკვდილის მიზეზი, მიუხედავად ამისა, საავადმყოფოდან რომ მოიყვანეს, მაინც გამოვემშვიდობე.

სიმართლე რომ მცოდნოდა, პანაშვიდებზეც ვიქნებოდი. მე მხოლოდ დაკრძალვას დავესწარი. საავადმყოფოში 4-5 დღე იწვა, დროულად რომ გაეკეთებინათ ოპერაცია, შეიძლება გადარჩენილიყო კიდეც. გონება არ დაუკარგავს, ხუმრობდა, იცინოდა, ექიმისთვის შველაც უთხოვია, იმ ექიმს კი უხეშად უთქვამს, რა გეგონა ერთ ლიტრა საწამლავს რომ სვამდიო. მომაკვდავმა გოჩამ იმ ექიმს სახეში გასცხო. ამბობდა თურმე, რომ მცოდნოდა რომ ასე მეტკინებოდა, არაფერს დავლევდიო. მთელი შიგნეული დაფლეთილი ჰქონდა

ღალატი ვერ ვაპატიე, გავიგე თუ არა, ბავშვს ხელი მოვკიდე და ისე წავედი მისი სახლიდან, ტანსაცმლის გარდა არაფერი წამომიღია, შერიგებასაც მთხოვდა შემდეგ, ვერ ვაპატიე, დღეს ყველაფერი ვაპატიე.''

გოჩა აბაშიძე 1963 წელს 24 წლის ასაკში გარდაიცვალა და ხალხის მეხსიერებაში დარჩა მარადიულ ჭაბუკად, ქანდაკებად იქცა ისე, როგორც ,,ცისკარაში'' არიან გაქვავებულნი ქვადქცეულ ქალაქის ბინადარნი.



# კაცი, რომელიც ცეკვად თარგმნიდა მუსიკას

**მამამ დაწერა პირველი ქართული ოპერა, პირველი ქართული რომანსები. ერთმა ვაჟმა დაწერა პირველი ქართული ბალეტი, ქართული სიმფონიის პირველი სრულყოფილი ნიმუში, პირველი საფორტეპიანო კონცერტი. მეორე ვაჟმა შექმნა ამერიკული ბალეტი და გააოგნა მსოფლიო...**

ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიიის მოძღვრის ვაჟი, თბილისის სასულიერო სემინარიაში განათლებამიღებული მელიტონ ბალანჩივაძე 18 წლისა თბილისის საოპერო თეატრის გუნდში მღეროდა, 20 წლის უკვე ქართულ ხალხურ სიმღერებს კრებდა, აყალიბებდა გუნდებს, კონცერტებს მართავდა მთელს საქართველოში. 26 წლისამ ბედი კომპოზიციაში სცადა - ,,ქართული ხალხური სიმღერების პოპური'' დაწერა, მალევე რომანსები - ,,ოდესაც გიცქერ'', ,,შენ გეტრფი მარად'', ,,ნანა შვილო''... ამ რომანსებმა აღიარება მოუტანა დამწყებ კომპოზიტორს. 27 წლისამ პეტერბურგის კონსერვატორიას მიაშურა. 1896 წელს მუშაობა დაიწყო პირველ ქართულ ოპერაზე - ,,თამარ ცბიერზე'', რომელსაც ბოლოს ,,დარეჯან ცბიერი'' ეწოდა. სწორედ პეტერბურგში მოღვაწეობისას შეეძინა მას ვაჟები - 1904 წელს გიორგი ბალანჩივაძე მოევლინა ქვეყანას, 1906 წელს - ანდრია ბალანჩივაძე.

ხუთი წლის იყო გიორგი ფორტეპიანოს რომ მიუჯდა, 9 წლისა უკვე მარიას თეატრთან არსებულ საიმპერატორო თეატრალურ სასწავლებლის საბალეტო სექციაში ჩაირიცხა და მალევე გამოჩნდა კიდეც მარიას თეატრის სცენაზე. 13 წლის იყო, მამა საქართველოში რომ წამოვიდა, ერთი წლის შემდეგ საქართველოში წამოვიდა 12 წლის ძმა ანდრია, მალევე დედაც და დაც, ბალეტზე ფანატიკურად შეყვარებული, 14 წლის გიორგი კი პეტერბურგში მარტო დარჩა. 14 წლის გიორგი და 12 წლის ანდრია რომ ერთმანეთს შორდებოდნენ, ალბათ ვერც კი წარმოიდგენდნენ, თუ რა ხანგრძლივად შორდებოდნენ ერთმანეთს. 15 წლის იყო, საბალეტო სასწავლებელი რომ წარჩინებით დაამთავრა და მარიას თეატრის საბალეტო დასში ჩაირიცხა. ცეკვის პარალელურად, პეტერბურგის კონსერვატორიაში ეუფლებოდა ფორტეპიანოს, მუსიკის თეორიას, კომპოზიციას, ჰარმონიას. იმ ავბედით რევოლუციურ წლებში, როცა ფული გაუფასურებული იყო, მომავალში სახელგანთქმულ ბალეტმაისტერს ხშირად უწევდა ფორტეპიანოზე დაკვრა კაბარეებსა და მუნჯი კინოს დარბაზებში.

მუსიკასთან ასეთ ინტენსიურ ურთიერთობას უკვალოდ არ ჩაუვლია და მთელი ძალით გამოვლინდა მის ქორეოგრაფიაში, მის განუმეორებელ უნარში - ,,ეთარგმნა'' მუსიკა - ცეკვად. მომავალში სახელგანთქმულმა ბალეტმაისტერმა, ჯერაც სრულად ყმაწვილმა მოჰკიდა ხელი ქორეოგრაფობას, 16 წლისაც არ იყო, პირველი პა-დე-დე რომ დადგა რუბინშტეინის მუსიკაზე - თავისთვის და სტუდენტი გოგონასთვის, სახელწოდებით ,,ლა ნუიტ''. მის მიერ საბენეფისო შესრულებისთვის დადგმული მორიგი დუეტი ,,ენიგმა'' წლების მანძილზე სრულდებოდა. 19 წლის იყო მცირე საბალეტო დასი ,,ახალგაზრდული ბალეტი'' რომ ჩამოაყალიბა. მის მიერ შეთხზულმა ექსპერიმენტული ხასიათის ცეკვებმა ბოლშევიკური ხელისუფლების გულისწყრომა გამოიწვია - მოცეკვავეებს დაემუქრნენ კიდეც მარიას თეატრიდან გამორეკვით, თუ თავს არ დაანებებდნენ საბჭოთა მოქალაქისათვის მავნე ექსპერიმენტებს.

1924 წელს, 20 წლის გიორგი ბალანჩივაძე საზღვარგარეთ წავიდა საგასტროლოდ, სამ სხვა მოცეკვავესთან ერთად და დარჩა, როგორც ემიგრანტი - დიაგილევმა ნახა და მიიწვია თავისთან - პარიზის რუსულ საბალეტო დასში. სწორედ დიაგილევმა ურჩია გამხდარიყო ბალანჩივაძე - ,,ბალანჩინი'' და ასპარეზზე გამოვიდა ჯორჯ ბალანჩინი. მალე ჯორჯ ბალანჩინი დიაგილევის დასის მთავარი ბალეტმაისტერი გახდა. მალე ტრავმაც მიიღო, აქტიურად აღარ ცეკვავდა და მთლიანად ბალეტმაისტერის ამპლუაში გადავიდა - დიაგილევის დასში 9-ზე მეტი ბალეტი დადგა.

დიაგილევის სიკვდილის შემდეგ, ცეკვებს დგამდა ბრიტანელების პოპულარული რევიუსთვის, იყო მიწვეული ბალეტმაისტერი დანიის სამეფო ბალეტში, კოპენჰაგენში, იყო მონტე-კარლოს რუსული საბალეტო დასის ბალეტმაისტერი.

ევროპაში თვითდამკვიდრება იოლი არ აღმოჩნდა ევროპაში გადახვეწილი ჯორჯ ბალანჩინისთვის. პარიზსა და მონტე-კარლოში მას ,,ხელმოცარულ არტისტს'' უწოდებდნენ, ამას დაემატა დაზიანებული ზურგი, ისიც რომ სრულიად ახალგაზრდა ტუბერკულოზით დაავადდა. ,,შარვალი გავყიდე და საჭმელი ვიყიდე'' - გაიხსენებს მოგვიანებით.

მიუხედავად ამისა, ის არ გატეხილა - ბრიტანელი საზოგადო მოღვაწის ედვარდ ჯეიმსის დახმარებით დაარსა საკუთარი საბალეტო დასი ,,ბალე 1933''. ამ კომპანიას სულ ერთი სეზონი ჰქონდა, ამ ერთი სეზონის მანძილზე ბალანჩინმა დადგა 6 ბალეტი, ერთ-ერთი ბალეტის დადგმისას თანამშრომლობდა ბერტოლტ ბრეჰტთან და კურტ ვეილთან. შემდეგ, ლონდონში გასტროლების დროს დასი დაიშალა.

მიზეზი? ბალანჩინის სპექტაკლს დაესწრო ლინკონ ქირსტეინი, რომელსაც ამერიკაში საბალეტო დასის შექმნა სურდა და ბალანჩინი მიიწვია.

ბალანჩინი წავიდა ამერიკაში. დაარსდა ,,ამერიკული საბალეტო სკოლა'', რომლის საფუძველზეც შეიქმნა დასი, რომელსაც მოგვიანებით ეწოდა ,,ნიუ-იორკ სიტი ბალე''

ბალანჩინმა დადგა ,,სერენადა'' და სახელი გაითქვა მთელ მსოფლიოში.

,,სერენადას'' გლიუკის ,,ორფეოსი და ევრიდიკე'' მოჰყვა, შემდეგ ხანგრძლივი თანამშრომლობა სტრავინსკისთან. დაიწყო ამერიკული ბალეტის დიდების ხანა და ბალანჩინის მსოფლიო აღიარება.

ჯორჯ ბალანჩინი ,,ნიუ-იორკ სითი ბალესთან'' ერთად საბჭოთა კავშირს პირველად 1962 წელს ეწვია. 44 წლის უნახავ ძმასთან შესახვედრად ანდრია ბალანჩივაძე მაშინდელ ლენინგრადში ჩავიდა.

,,ამერიკული თვითმფრინავიდან გიორგი, კაპიტანივით, სულ ბოლოს გამოვიდა და, წარმოიდგინეთ, პირდაპირ ჩემსკენ გამოემართა. დამხვედრიც და ჩამოსულიც - ყველა ტიროდა. საქართველოშიც ჩამოვიდა, თბილისმა იგი აღაფრთოვანა, აღფრთოვანებულები იყვნენ თბილისელებიც - ბალანჩინითა და მისი საბალეტო დასით. შემდეგ ჩვენ ქუთაისსაც ვეწვიეთ, მოვინახულეთ მამაჩვენის საფლავი ,,მწვანეყვავილაზე''. ჩვენ ერთად მოვიარეთ დასავლეთ საქართველოს რაიონები. ჩვენი ცეკვებიც ნახა, მოისმინა პოლიფონიური სიმღერებიც. ბალანჩინი გაოგნებული დარჩა. მეორე ჩამოსვლისას ბალანჩინი უკვე ქართველობდა'' - იხსენებდა ანდრია ბალანჩივაძე.

ჯორჯ ბალანჩინიმ ქართული არ იცოდა, მაგრამ ყოველთვის ხაზს უსვამდა თავის ქართველობას. ჰყვარებია ქართული სამზარეულო, განსაკუთრებით მჭადი და ხაჭაპური. ბალანჩივაძეების ოჯახში ის წერილებიც აქვთ შემონახული, სადაც ბალანჩინი დედას საცივის რეცეპტის გაგზავნას სთხოვს.

საბჭოთა თბილისში ბალანჩინის საბალეტო დასის გამოჩენა ერთდროულად იყო მეხის გავარდნაც



# ის მოკლეს!

ის გაანადგურეს და სულიერად დასცეს – გააგიჟეს, ჭკუიდან შეშალეს ლობგლეჯია ვაირეცენზენტებმა.

ის თავგანწირვით ეტრფოდა სცენას და შეეწირა სცენას.

მისი ცხოვრების ბოლო წლები იყო საჯაროდ გამოცხადებული მკვლელობის ქრონიკა.

ალექსანდრე ყაზბეგი - უბადლო ბელეტრისტი, ქართული ლიტერატურის კლასიკოსი და დრამატურგი და მსახიობი, სცენაზე ფანატიკურად შეყვარებული.

მან ქართულ თეატრს 49 ორიგინალური, ნათარგმნი და გადმოკეთებული პიესა შესძინა, სცენაზე ცხოვრებიანი მოღვაწეობისას კი 45 როლი განასახიერა.

ცხოვრება ყაზბეგისა - ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ ინგრევს ქართული სინამდვილე პიროვნებებს.

კაცი, რომელიც სცენაზე გამოჩნდა ბრწყინვალე გარეგნობით, ხმით, შესანიშნავი აქტიორული მონაცემებით, დახვეწილი მანერებით, ლიტერატურად ჩაცმული, რამდენიმე წელიწადში დაფლეთილი ჩოხით დაიარებოდა, ნადირივით დამფრთხალი, გულჩათხრობილი ადამიანად იქცა და სცენა დატოვა, როგორც სუსტმა მსახიობმა. მის ტრაგედიას ხელი შეუწყო მისავე ზედმეტმა ემოციურმა, მგრძნობიარე ბუნებამ.

### საბედისწერო დასაწყისი

ის საყრმაწვილოდ ეტრფოდა თეატრს. 14 წლისამ დაწერა ავტობიოგრაფიული პიესა „გამზრდელი", მოსკოვში სწავლისას თარგმნიდა შექსპირის „რომეო და ჯულიეტას", გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან"-ს.

1874 წელს ის გახდა მოწმე საყოველთაო გლოვისა - ქართული პიესების უქონლობისა. წავიდა ანთებული, შეუდგა პიესების წერას, თარგმნას, გადმოკეთებას და 5 წელიწადში თბილისს დაბრუნდა იმედით, რომ ქართული თეატრის მესვეურთ აღაფრთოვანებდა თავისი 21 პიესით.

დიდად თავი არავის გაუგიჟებია. მხოლოდ ვასო აბაშიძე მიაკითხა მას - ხელოვნური ერთ-ერთი სასტუმროში მცხოვრებ ინტელიგენტ მოხევეს. მიაკითხა იმიტომ, რომ ეძებდნენ პიესას მაკო საფაროვის საბენეფისოდ.

ვასო აბაშიძემ შინ მიიპატიჟა სანდრო ყაზბეგი.

მაკო საფაროვა მოგონებებში: „გარეგნობა განსვენებულს ისეთი ჰქონდა, სილამაზით ამ დროს ჩვენს დასში ვერავინ შეედრებოდა, ტანადი, დიდრონი მომცინარი ყუჩუნა თვალები, მშვენიერი ტუჩები, ჩაცმული ხომ ისე იყო, რომ ჩვენს ღარიბ სცენას იმ ხანებში არ ჰყოლია ისეთი მორთული არტისტი".

ცოლ-ქმარი ვასო აბაშიძე და მაკო საფაროვა მოიწონებენ პიესას. ის კი არა, მაკო საფაროვას ისტერიკასაც კი დამართებს პიესის გრძნობით ნაწერი ადგილები. გადაწყდა ყაზბეგის პიესის დადგმა. მაგრამ თეატრის ადმინისტრაცია მაინცდამაინც სიხარულით არ შეხვედრია ამ ფაქტს.

მაკო საფაროვამ თავისი გაიტანა. თუმც კი კომპრომისი გარიგებული გახდა - პიესიდან მეორე მოქმედება მთლიანად ამოუღიათ, პიესის მთლიანობა დაურღვევიათ.

მამ ასე, ყაზბეგი გამოდის ასპარეზზე, როგორც დრამატურგი - მოჩხუბარიძის გვარით და ამასთანავე, ის ირიცხება მუდმივ დასში და გამოდის სცენაზე. როგორც დებიუტი ერთად დება - 1880 წლის 13 მაისს. როგორც დრამატურგი კატასტროფას ელოდა, როგორც მსახიობი ენა ებმებოდა სცენაზე, სიტყვებს ყლაპავდა, ტექსტი ავიწყდებოდა, „ერთი კაცი არ იყვა ჩემს გვერდით, ერთისგან არ გამეგონა თანაგრძნობის სიტყვა". შინ წავიდა და ელოდა რეცენზენტების განაჩენს.

განაჩენმაც არ დააყოვნა. 16 მაისს „დროება" წერდა: „მოჩხუბარიძის დრამაში არავითარი დრამა არ მოიპოვება". „დროება" მის თამაშს არ შეხებია, დაკმაყოფილდნენ მისი, როგორც დრამატურგის, განადგურებით. როგორც მსახიობს კი, მხოლოდ ტექსტის უცოდინრობა უსაყვედურეს: „აქტიორებმა როლები კარგად იცოდნენ, უფალ მოხევის გარდა"

მსახიობ მოხევეს ჯერ არ ესხმოდნენ თავს რეცენზენტები, დრამატურგი მოჩხუბარიძე კი კონტრშეტევაზე გადავიდა. დაიწყო ომი,

მის გადაწყვეტილებას არც ოჯახი შეხვედრია აღფრთოვანებით. თუმცა, არც გაჰკვირვებიათ, მათ ის უკვე გამოტირებული და განწირულ ადამიანთა რიცხვში ჰყავდათ შეყვანილი - რუსეთიდან დაბრუნებული, 22 წლის, გენერლის შვილი ყაზბეგი ხომ მწყემსად წავიდა.

ახლა კიდევ თეატრი და ყაზბეგის დეიდები - თარხნიშვილის ქალები მოხუცებულნი: ვაი, სირცხვილო, გენერლის შვილი და ჯამბაზი. არც ყაზბეგები იყვნენ მშვიდად: „მამაჩემს რომ წამოხვედი და თავისი ბიჭის ბერიკაობა ენახა, გადაირეოდა."

### ჩინებული სტარტი

ალექსანდრე ყაზბეგი დასში ჟანპრემიერის (ახალგაზრდა მოარშიყის) ამპლუაზე აიყვანეს. ახალგაზრდა მოარშიყეთა როლების შესრულება განსაკუთრებულ სცენურ გარეგნობას ითხოვდა. ალექსანდრე ყაზბეგი კი სწორედ რომ ბრწყინვალე გარეგნობითაც გამოირჩეოდა და პლასტიკურობით, როდიანი მიხრა-მოხრით, დახვეწილი მანერებითა და კოსტიუმის ტარების დიდი კულტურით.

„თუ მოხევე ასე თანდათან გაკეთდა ახალგაზრდა მოარშიყეების როლში, უეჭველია, რომ ერთ დროს ის საუკეთესო მოთამაშე შეიქმნება ამ მძიმე და უმადური როლებისა. რაც ახალგაზრდა მოარშიყისთვის საჭიროა, ყველაფერი მიუნიჭებია ღმერთსა მოხევისთვის. კარგი ტანი, ლაზათიანი მიხვრა-მოხვრა, ტკბილი საარშიყო ხმა და არა უშნო სახე", - წერდა „დროება" 1880 წლის 24 ნოემბერს.

მანამდე, 1880 წლის სექტემბერში, როცა აკაკი წერეთლის „კუდიან ხანუმი" წარმოადგინეს, „დროება" წერდა: „ევროპის განვითარებულ და გამოცდილ მოთამაშეებისგანაც ძვირად გვინახავს ჩვენ, ამაზე უკეთ წარმოედგინათ სიყვარულის განცხადება". თვითონ აკაკიმაც კი, რომელმაც საკუთარ პიესაზე დაწერა: მოსაწყენი პიესაა, მოხევეს აქებდა სამაგალითო თამაშისთვის.

მოხევეს აქებენ, როგორც არტისტს, არცთუ იშვიათად წერენ, რომ მხოლოდ მან არ წაახდინა როლი. მოკლედ, ყველანაირი პირობა იყო საიმისოდ, რომ ის სახელოვანი არტისტი დამდგარიყო, მაგრამ მერე და მერე დამკვიდრდა აზრი, რომ ის უნიჭო არტისტი იყო და თურმე მხოლოდ ერთი ჯამბარაშვილის როლს თამაშობდა კარგად. არადა, თავიდან ყველა ქებადიდებით იხსენიებდა, შეიძლება რომ აქტიორული ნიჭითა და გაქანებული ტემპერამენტით დაჯილდოებული არტისტი ისე დაქვეითდეს, რომ მერე სიბრალულს იწვევდეს?

ზუსტად ის რეცენზენტები, რომლებიც ქება-დიდებას ასხამდნენ, რამდენიმე წელიწადში სცენიდან მის მოშორებას ითხოვდნენ. რამდენიმე წელიწადში კი არა, გაზეთ „დროებაში" ლელო წერდა, რომ მოხევემ ჩინებულად ითამაშა „თამარ ბატონიშვილში", ზუსტად იგივე ლელო ორი კვირის თავზე გაანადგურებს მოხევეს - ხმაც დაუწუნა, მიხრა-მოხრაც.

აშკარაა, რომ რეცენზენტი ტენდენციური იყო, როგორც ჩანს, მას და ყაზბეგს შორის ომი დაიწყო. სწორედ რეცენზენტებთან გადამტერებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი ყაზბეგის ტრაგედიაში.

გადამტერებული რეცენზენტები მის სცენიდან მოშორებას ითხოვდნენ.

მაგრამ ყაზბეგი სცენას არ მოშორდება. მას არ შეეძლო, მიეტოვებინა სცენა - გაგიჟებით უყვარდა. მისი მეგობარი ცხვედაძე წერდა: „მის სიცოცხლეს მხოლოდ მაშინ შეამჩნევდა ადამიანი, როდესაც განსვენებული სცენაზედ საათობით ემზადებოდა და წავიდოდა შინიდან".

### თეატრის ისტორიაში გაუგონარი ომი

ყაზბეგი სცენას არ ჩამოშორებია, პირიქით - ომი გამოუცხადა რეცენზენტებს. დაიწყო თეატრის ისტორიაში გაუგონარი ომი. წესად იყო, რეცენზენტს რაც არ უნდა ელანძღა არტისტი, არტისტები პასუხს არ სცემდნენ კრიტიკოსს. ყაზბეგმა დაარღვია ეს წესი და რეცენზენტებს იმავე ეპითეტებით უმასპინძლდებოდა: „ჩმახავთ, ენა წაგიგრძელებიათო".

ამ იერიშმა რეცენზენტები გააერთიანა მის წინააღმდეგ.

რეცენზენტები კრიტიკას აღარ დასჯერდნენ და ცილისწამებაზე გადავიდნენ: ლადო მესხიშვილი და ყაზბეგი ფოთში კონცერტის მოსაწყობად ჩავიდნენ, შემდეგ ფოთელების თხოვნით, კონცერტი გადადეს და სპექტაკლის დადგმა დაიწყეს, გაზეთმა „შრომამ" კი ყაზბეგს გაყიდული ბილეთების ფულის შეჭმა დააბრალა. „შრომას" მალე მოუწია იმის აღიარება, რომ ეს ჭორი იყო. ყაზბეგმაც ბოლომდე სდია შეურაცხმყოფელს, მაგრამ...

ყაზბეგმა პირობა შეასრულა, კონცერტის ნაცვლად ფოთში „სამშობლო" ითამაშეს, ცრემლიც ადინეს ფოთელებს, მაგრამ „შრომას" კრინტი არ დაუძრავს ამ ფაქტზე. მათ ჭორები და ყაზბეგის სულის მოწამვლა ჰქონდათ მიზნად.

ბათუმში მყოფმა ყაზბეგმა შეიტყო, რომ ერთი პირი „დროებაში" წერილის დაბეჭდვას აპირებდა „სამშობლოს" უხეირო თამაშობაზე, და მის წინააღმდეგ პირდაპირ სცენიდან გაილაშქრა - როლში თავისი სიტყვები ჩაამატა: „ეხლა რაღა მიჭირს, კორესპონდენტიც ვარ, ადვოკატიც ვარ, აქაური კორესპონდენტებივით ქუჩიდან მოვხვეტ ჭორებს, ვისაც მინდა და რამდენსაც მინდა, ვაგინებ, ვლანძღავ, რა მენაღვლება, ამისთვის ვიღებ ბლომად ფულებსა".

ამ ინციდენტის შესახებ ერთი პოლემიკა ატყდა „დროებაში" ყაზბეგსა და ჟურნალისტ დავით სოსლანს (კეზელს) შორის. სოსლანს, როგორც კი საშუალება მიეცემოდა, საშინელების მეტს არაფერს წერდა ყაზბეგზე.

ერთი რეცენზენტი ისე გათავხედდა, პრესით ითხოვდა, როცა მოხევე სცენაზე გამოვა, მკვდარი კატები დავუშინოთო. ეს იდეა ილია ხონელმა დაიწუნა, რას ვერჩით კატებს, მოხევის გამო მთელი თბილისის კატების გაწყვეტა მოგვიწევსო. თან „ებრალებოდა" ყაზბეგი: „გვეცოდება თვით ბ-ნი მოხევე, უკანასკნელის ჭაპან-წყვეტა ამ საქმეში, რომელიც მას არ შეჰფერის და რომლისთვისაც მას ნიჭი არ აქვს".

ყაზბეგს ივანე მაჩაბელი გამოესარჩლა და ხონელი იძულებული გახდა, „ივერია" მიეტოვებინა.

### დაღმართი

ყაზბეგი სცენაზე მოხევის ფსევდონიმით კი გამოდიოდა, მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, რომ ეს მოხევე „ელგუჯას", „მამის მკვლელის", „ელისოსა" და სხვა შედევრების ავტორი ყაზბეგი იყო, მაგრამ იცავდა კი ვინმე გენიალურ ბელეტრისტს რეცენზენტების შეურაცხყოფისგან?

რატომ არ დაიცვეს? ალბათ, იმიტომ რომ ამ იერიშების მერე ყაზბეგს ისე დაუკარგეს წონასწორობა, რომ მისი ნიჭი არათუ ერთ ადგილზე გაიყინა, საერთოდ, დაბლა-დაბლა დაეშვა. ყაზბეგმა ვერ გაუძლო თავსდატეხილ უბედურებას, ეს კაკაფონია მის მგრძნობიარე სულს აფორიაქებდა.

მაყურებელს კი სულაც არ აინტერესებდა, რა განწყობით გამოდიოდა ის სცენაზე მას სრულფასოვანი თამაშის ნახვა ეწადა.

დევერტისმენტში მოხევე გამოდიოდა, როგორც დეკლამატორი და მოცეკვავე. მნახველს ატყვევებდა მისი ნაცეკვი ქართული, ჩაჩნური, ლეკური, ცეკვა ხანჯლებით. როცა ის ცეკვავდა, ტანის გრიალისგან დარბაზი ზანზარებდა. მტრებიც კი დუმდნენ, ხალხის ფეხის ხმას ყვებოდნენ იმის საილუსტრაციოდ: აი, ობიექტურები ვართ, კარგად ცეკვავს და მოგვწონს, არტისტად არ ვარგა და მზად ვართ, მკვდარი კატები ვესროლოთო. მტრებიც კი აღიარებდნენ, რომ ყაზბეგი განსაცვიფრებლად ცეკვავდა, მაგრამ რეცენზენტები აქაც დაუკრეფავში გადადიოდნენ. 1886 წელს ერთ-ერთმა რეცენზენტმა მის ცეკვას ტლინკაობა უწოდა.

ჩვენ არ ვიცით, როგორი არტისტი იყო ყაზბეგი, მაგრამ ვიცით ის, რომ თავიდან ხოტბას ასხამდნენ, შემდეგ ლანძღავდნენ - იქნებ თავიდან შეცდნენ შეფასებაში და მერე გამოასწორეს?

ჩვენ არ ვიცით, როგორი არტისტი იყო ყაზბეგი, მაგრამ ვიცით, როგორი მწერალიცაა, ის ორლობის კრიტიკოს-რეცენზენტები კი მის შედევრულ მოთხრობებსა და რომანებსაც კენწლავდნენ. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ ისინი ტენდენციურები იყვნენ და პირადი მტრობა აკავშირებდათ ყაზბეგთან, რომელმაც გაბედა და მათ უვიცები უწოდა.

კრიტიკოსებმა მიზანს მიაღწიეს, ყაზბეგი სიცოცხლეშივე დასცეს, დაამხუნეს. სილამაზით, დახვეწილი მანერებითა განთქმული ყაზბეგი, სასცენო დებიუტიდან რამდენიმე წლის შემდეგ გატეხილი დაფლეთილი ჩოხით დაიარებოდა, მეგობრებს ჩამოშორდა, განმარტოვდა. კრიტიკოსებმა გაიმარჯვეს, ყაზბეგმა სცენა დატოვა, მართლაც, როგორც სუსტმა მსახიობმა.

# რა თვისებებს უვითარებს ბავშვს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებასთან ზიარება?

უდიდესია ვაჟას თხზულებათა ზემოქმედების ძალა ადამიანზე, მით უფრო მოზარდზე. ძნელად მოიძებნება ქართველი რომელსაც „შვლის ნუკრის ნაამბობზე" არ ეტიროს და ალბათ შვლის ნუკრის დამამცირებელ მონადირეზე უფრო სასტიკია მშობელი, რომელიც ბავშვს „შვლის ნუკრის ნაამბობს" არ წაუკითხავს და არ აატირებს. სასტიკია იმიტომ რომ არ ცდილობს ბავშვში სისასტიკის ამოძირკვას, თანაგრძნობის გაღვივებას. ვაჟას გენიალური შემოქმედება თითქმის ყველა ასაკისთვის საჭირო საზრდოს იძლევა - თუკი ადამიანის ქართველად და საზოგადოდ ადამიანად გაზრდა გვინდა - პატარას მოთხრობები თუ ზღაპრები, ლექსები და კოსმიური პოემები უნდა წავუკითხოთ.

და მაინც, როგორ გამოვიყენოთ ვაჟას უკვდავი თხზულებები მოაზრების აღზრდისას, როგორ გავხადოთ ეს პროცესი კიდევ უფრო მიზანმიმართული? ამ საკითხებზე ვესაუბრებით ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, ფსიქოლოგს, ქალბატონ მანანა მაჩაბელს.

* * *

- ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია ქართველი მოქალაქის ჩამოყალიბებისას და ეს ჩამოყალიბება იწყება უკვე ჩვილი ასაკიდან. რას ასწავლის ვაჟას მოთხრობები ბავშვს? ესაა ბუნების პერსონიფიცირება, ვაჟა იას, მთის წყაროს, ხმელ წიფელს, შვლის ნუკრს აწერს ადამიანურ თვისებებს, თან დახვეწილ ადამიანურ თვისებებს. და ამასთანავე თვით ბავშვში შემოდის ის თვისებები, რაც ვაჟამ მიაწერა ამ ბუნებას. შედეგად ბავშვი სწავლობს სიყვარულს, გაფრთხილებას, სინაზეს, რომ ყველაფერს ძალიან დიდი გაფრთხილება უნდა, რომ ძლიერ ადვილია ადამიანის სულის დაკოდვა, მისი განადგურება. მთის წყარო ხომ ამბობს, ორისა თუ სამი ვერსის სიგრძეზე ვარ მხოლოდ ბედნიერი და უცოდველი, მერე დამლევს, ჩანმთქავს უზარმაზარი მდინარეო. ცხოვრებაც ასეა, იზრდები, კარგი თვისებები გაქვს, მაგრამ შემდეგ წინააღდეგობას ველარ უწევ იმას, რასაც სოციუმი, რასაც საზოგადოება გკარნახობს. ია, რომელიც მოვლენილია სხვათათვის სიამოვნების მოსანიჭებლად, გვასწავლის, რომ ადამიანიც ამავე მისიითაა მოვლენილი, რომ სხვას სიამოვნება მიანიჭოს, სხვისთვის იყოს გახსნილი როგორც იაა. ვაჟა ბავშვს აზიარებს იმას, რაც ადამიანმა ბიბლიიდან უნდა შეიმეცნოს და ისწავლოს შემდგომში. ვაჟა თავისი მოთხრობებით ღვთის გზაზე სიარულს გვასწავლის. არაჩვეულებრივი ამერიკული ფილმია „ბემბი", არ ვიცი მისი ავტორები იცნობდნენ თუ არა ვაჟას „შვლის ნუკრის ნაამბობს", მაგრამ ფაქტია რომ ეს პრობლემა ზოგადსაკაცობრიო პრობლემაა. მშობელს შეუძლია „შვლის ნუკრი" თავიდან ზღაპრად მოუყვეს ბავშვს. თუ მოუყვება, ბავშვი პეპელას ფრთებს აღარ დააცლის და აღარც სახლში გააკრავს კედელზე, მიხვდება, რომ ისედაც ცოტა სიცოცხლე აქვს პეპელას, რომ პეპელა ბევრად უფრო ლამაზია ბუნებაში, მწვანე მინდორში, ფერად ყვავილებში, აღარ მოკლავს პეპელას იმიტომაც, რომ სხვაც დატკბეს მისი მშვენებით. „შვლის ნუკრზე" გაზრდილი ადამიანი, მონადირე ვერ გახდება,

- ყოველ შემთხვევაში ზოოპარკში არ მივა და ირემს ან შველს ბარკალს არ მოაჭრის სამწვადედ...

- არა, რა თქმა უნდა და პირიქით, მათი ცქერით დატკბება და მერე თავის შვილსაც ასწავლის ტკბობას. იმასაც აუხსნის, რომ შველი ბუნებაში უნდა იყოს, მაგრამ აქ იმისთვის ჩამოიყვანეს, რომ მას ენახა. ამისთვის უნდა ატარო ბავშვი ზოოპარკში და არა იმისთვის, რომ სასწრაფოდ ეგრევე ეშმაკის ბორბალზე შესვა, რაკიღა საქანლებისკენ იწევს. ჯერ დაათვალიერებინე, მოუყევი, მაგრამ ზოგ მშობელს ამ ახსნა-განმარტებებს მეზობელთან ჭორაობა ურჩევნია. მე არ ვლაპარაკობ იმ მშობლებზე, რომლებსაც ძალიან უჭირთ და არსებობისთვის იბრძვიან, მაგრამ ძალიან ბევრი მშობელი, გადასარევად ცხოვრობს და დადიან სხვადასხვა გასართობ ადგილებში და ბავშვები ძიძებისამარა ჰყავთ დატოვებული. აკაკიც ძიძამ გაზარდა, მაგრამ მაშინ სხვა იყო, ახლა ეს ძიძაც დაღლილია, სახლში პრობლემები აქვს, მოდის ლუკმა-პურისთვის, და იმას ვერ მოსთხოვ ბავშვს უკითხოს და მის გაუთავებელ კითხვებს გასცეს პასუხი. ბავშვს რომ წაუკითხავ, „ამოდის მზე", გეკითხება „რატომ", რომ ეტყვი, იმიტომ რომ განათდეს, ისევ გეკითხება „რატომ", და ეს „რატომ" გაუთავებელია, ძიძას ამ გაუთავებელი კითხვებზე პასუხის გაცემის ნერვები აქვს? სადილი აქვს მოსამზადებელი, სარეცხი დასარეცხი, დასალაგებელი, მაღაზიაში უნდა გადავიდეს, სკოლაში წაიყვანოს, მოიყვანოს, და ა.შ. არადა ამ გაუთავებელ „რატომში" ვითარდება ბავშვი, როდესაც მშობელი ამ გაუთავებელ „რატომს" პასუხობს, მაშინ ვითარდება გონება, მაშინ მოქალაქეც გამოვა, მეცნიერიც, ექიმიც, პედაგოგიც, იმიტომ რომ მას გასცეს პასუხი, მას დაეხმარნენ რომ შეემეცნო, გაეგო, მის გარშემო რა ხდება და რატომ ხდება. ბოლო-ბოლო ამისთვისაა გაჩენილი ადამიანი, რომ შეიმეცნოს ის, რაც მისთვის უცნობია, თორემ არც ფიზიკა იქნებოდა, არც გეომეტრია და არც კოსმოსში წავიდოდით.

- ზოგი მშობელი შვლის ნუკრის წაკითხვაზე, რატომღაც უარს ამბობს იმ მოტივით, რომ ბავშვს ტკივილი არ მიაყენოს, არ აატიროს...

- ცრემლი, მხატვრული ნაწარმოებით გამოწვეული, ესაა კათარზისი, ანუ სულის გაწმენდა. ახლა რატომღაც დაიწყეს „ჰეპი ენდები", ჩემთვის უძვირფასესი ზღაპარია "წიქარა". მოზარდთა სახლში უნარდაქვეითებულ ბავშვებთან მქონდა ურთიერთობა, ბავშვს „წიქარა" მოვაყოლე, ბავშვი მიყვება ზღაპარს და ამთავრებს - ბიჭი ხეზე ზის, სალამურსა უკრავს და წიქარაცა იქვე სძოვსო. ავხტი, დავხტი, რანაირად ამთავრებ-მეთქი. მომიტანეს წიგნი, ასეთი ჰეპი ენდით მთავრდებოდა. შვლის ნუკრზე ტირილს გაურბიან და რას აყურებინებენ ბავშვებს? ან რა მულტფილმებს უყურებენ, ან რას თამაშობენ? ერთი სული აქვთ ერთმა მეორე მოკლას, რაც მეტს მოკლავს, მით უფრო გამარჯვებულია.

„არ იტირო" რას ნიშნავს, კათარზისი არ უნდა მოხდეს? თუ ბავშვობიდან არ მივაჩვიეთ თანაგრძნობას, მერე როგორ უნდა მოსთხოვო იმ ადამიანს, რომ მეგობარს უთანაგრძნოს? ან უცხოს უთანაგრძნოს? მხატვრული ნაწარმოები აღუძრავს თანაგრძნობას. შეეცოდა, იტირა, მერე რა? ეს ხომ საშინელებათა ფილმები არაა?

ვაჟა, ეს გენიალური ადამიანი, პატარა მოთხრობაში იმდენს გეუბნება... ვაჟა ბავშვს უნდა უკითხო ყოველდღე, შეიძლება მთელი მოთხრობა ვერ მოისმინოს ბავშვმა, იმიტომ რომ ყურადღებას ყოველთვის ვერ იკრებს, მაგრამ არაა პრობლემა, გაწყვიტე და მერე წაუკითხე, ჯერ ზღაპრად მოუყევი, ბოლო-ბოლო აჩვენე წყარო, ხომ დადიხარ დასასვენებლად, მაინცდამაინც კომპიუტერს ნუ წაიღებ და მაინცდამაინც მარტო ჭამაზე და ბურთის თამაშზე ნუ იფიქრებ და წყაროსთან რომ მიიყვან, „მთის წყარო" ზღაპარივით მოუყევი, წყაროსთან ყვავილებმა იციან გაშლა, იქვეა ხავსი, ია აჩვენე, ყაყაჩო აჩვენე, გაიყვანე გარეთ, ფეხით იარე!

ვაჟა გაძლევს კოსმოსში ჩახედვის საშუალებას - როგორც გარეკოსმოსში, ისე მიკროკოსმოსში, შენს თავში, რომელში ჩახედვაც ზარავს ადამიანს, ამიტომ ბოლომდე უყურებს ტელევიზორს, ბოლომდე რაღაცეებით ერთობა რომ არ დარჩეს თავის თავთან მარტო, არ აღმოაჩინოს ის, რაც უნდა აღმოაჩინოს. „ბახტრიონის" ბოლო ხომ გახსოვთ, „ერთ დღეს გველი ვით ნისლი, გაწოლილიყო ხეზედა". მრავალ ცოდვის მოქმედ გველს ებრალება ლუხუმი - გველს ეცოდება ადამიანი და ჩვენ ადამიანს არ გვეცოდება ხშირად ადამიანი. ესაა ჩვენი სამყაროს დიდი კოსმიური სურათი.

- სკოლაში ავად თუ კარგად, ვაჟას პოემები ისწავლება, მაგრამ რამდენად სათანადო ასაკში ისწავლება? ამ ასაკის ბავშვს შეუძლია ჩასწვდეს „ალუდა ქეთელაურს", „ბახტრიონს"?

- ჩაწვდება, თუ მას ჰყავს წინამძღოლი, ან პედაგოგის სახით, ან მშობლის სახით. უნდა აუხსნას, რატომაა რომ სხვა რჯულის კაცს გადაეფარა, რომ იმის ცოლი მიდის და ორივეს ერთად დასტირის... „ბახტრიონი" ქართულ ცნობიერებას აღვიძებს. ეროვნული ცნობიერების, ეროვნული იდეოლოგიის გარეშე არ არსებობს არაფერი. ვერც ქვეყანა აშენდება და ვერც ბავშვი გაიზრდება მოქალაქედ ეროვნული იდეოლოგიის გარეშე, რომელიც ნელნელა უნდა შეიქმნას. კი ბატონო, გლობალიზაცია, მაგრამ ამ გლობალიზაციაში სხვადასხვა ფერებია და იმ ფერებს ნუ დაუკარგავენ. კი ბატონო, უნდა ვიამაყოთ რომ ქართველები ვართ, მაგრამ ამის გამო, სხვა ერი უარესი არაა, „რაც კარგები ვართ ქართველები ვართ" - ასე რააა, ყველა კარგები ვართ, ყველა ღვთის შვილები ვართ და ყველა პატარა ბურთზე ვცხოვრობთ. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორი მასწავლებელი ასწავლის ბავშვს ქართულ ლიტერატურას, თუ მას არ უყვარს ბავშვიც და საგანიც, ის ისე მიარიხინ-მოარიხინებს, ყველაფერს აზრს უკარგავს. შეიძლება საზეპირო არ მისცე ბავშვს? თუ ბავშვმა არ დაიზეპირა, რანაირად უნდა გაარჩიოს რომ ესაა ილია, ესაა ვაჟა, კონსტანტინე გამსახურდია თუ შიო მღვიმელი?

- ზოგიერთი თანამედროვე პედაგოგი უარყოფს დაზეპირებას, რადგან ბავშვები ძალდატანების გარეშე არ იზეპირებენ და ძალდატანება კი ძალადობაა ბავშვზეო?

- პედაგოგიკაც ცუდად იციან და ფიზიოლოგიაც. ადამიანი თუ სულ იჯდება და არ გაინძრევა, კუნთიც ზარმაცდება და გულიც. დაზეპირება ტვინის უჯრედების ვარჯიშია, სკლეროზი გვიან დაგემართება. ნუ იძალავებ, ისე დააზეპირებინე. მე და ჩემს შვილს მთელი თამაში გვქონდა. ბავშვმა არ იცოდა რა წიგნს ვიღებდი, გადავშლიდი და ვუკითხავდი განყენებულ აბზაცს, სადაც ნახსენები არ იყო გმირების სახელი. ის უნდა მიმხვდარიყო, რა ნაწარმოებიდან ვუკითხავდი. იგივეს მეც ვაკეთებდი, ბავშვი დაიკავებდა წიგნს, „აბა, დედა გამოიცანი". მე რომ არ გამომეცნო, არ ამყვებოდა თამაშში, ამყვა და დღეს მშვენივრად არჩევს ერთი მწერლის თავისებურებას, სტილს, როგორ წერს, რა ლექსიკას ხმარობს. ვთამაშობდით და ვიხოცებოდით სიცილით, ხან მე მეშლებოდა, ხან იმას და მერე ავიღებდით და რა შავი ლაქაც გვქონდა დედაშვილს, თავიდან ვსწავლობდით. აკაკის ლექსებს იოლად ისწავლი, სხვისასაც, მაგრამ განსაკუთრებით ძნელია ალექსანდრე ჭავჭავაძის და გრიგოლ ორბელიანის დაზუთხვა, აი მაშინ იწყებოდა თავდავიწყება, უჭირდა, ვერ მაბარებდა და როცა მე ზეპირად ვუკითხავდი, ვერ მიტანდა, როგორ თუ მე მახსოვდა და თვითონ ვერ დაიმახსოვრა, ამ გაჯიბრებით, შესანიშნავი მეხსიერება გამოუმუშავდა, რომელიც მერე ზღაპრულად გამოადგა მედიცინაში, მედიცინის ტერმინოლოგია როგორი დასამახსოვრებელია? ამას თითქოს საქმე არა აქვს ლიტერატურასთან და ლექსების დაზეპირებასთან.

და ცისარტყელის აელვარებაც.

ნოდარ გურაბანიძე წლების შემდეგ დაწერს:

„ავად თუ კარგად სახსენებელი „ოტტეპლის" შემდეგ, თბილისში საგასტროლოდ ჩამოდიოდნენ ხოლმე საბალეტო ხელოვნების ცნობილი უცხოელი სოლისტები. მაგრამ მათ ჩვენს „ჩაკეტილ სივრცეში" იმიტომ უშვებდნენ, რომ უპირატესად კლასიკურ რეპერტუარს ასრულებდნენ. მიუხედავად მათი ვირტუოზული კლასისა, მაინც ღრმად ვიყავით დარწმუნებული, რომ რუსული ბალეტი მსოფლიოში ყველაზე უკეთესი იყო, რომ ის აძლევდა ტონს და მიმართულებას მთელ კლასიკურ ქორეოგრაფიას და რომ სხვა ალტერნატიული ხელოვნების არსებობა ამ ჟანრში შეუძლებელი იყო. მაგრამ აი, 1962 წელს თბილისში პირველად ჩამოვიდა ჯორჯ ბალანჩინის „ნიუ-იორკ სიტი ბალე" და ერთბაშად ყველაფერი შეიცვალა. ტერფსიქორას ამ გენიალურმა მსახურმა გახსნა „კლასიკის" აკადემიური საზღვრები, ახალი ფორმები და მოძრაობა შეიტანა მის პლასტიკურ სამყაროში და ყველაფერი დაუმორჩილა მუსიკის სულს, მუსიკის დრამატურგიას და ამ მუსიკის ინდივიდუალური აღქმის შედეგად გამოწვეულ ხილვებს. ბალანჩინი არა მარტო დიდი ბალეტმაისტერი იყო, არამედ შესანიშნავი მუსიკოსი - იგორ სტრავინსკის თქმით, იგი თავისუფლად დირიჟორობდა დიდ სიმფონიურ ორკესტრს. ამანაც განსაზღვრა მისი პლასტიკური ხილვების ორიგინალობა და ამ ამ პლასტიკის მუსიკალობა. მისთვის მთავარი იყო არა ამბავი, არა იდეა, ან რაიმე ტენდენცია (რის გარეშეც წარმოუდგენელია ე.წ. „დრამ-ბალეტი"), არამედ მუსიკის ადეკვატური შეგრძნება, მისი პლასტიკური ანალოგის მიგნება. ბალანჩინის ბალეტების უმეტესობა „უშინაარსო" იყო (თვით ამბობდა „უშინაარსო" „უაზროს" არ ნიშნავსო), რადგან მისი ხელოვნების სული ამოდიოდა მუსიკალური ფორმიდან - ეტიუდი, სუიტა თუ სიმფონია - და არა მუსიკალურად „გაფორმებული" ამბიდან, სიუჟეტიდან, შინაარსიდან. შთაგონებას უპირველესად სწორედ ე.წ. „უპროგრამო მუსიკაში" ჰპოვებდა, სადაც ადამიანის არსებობის მრავალფეროვნებაა გადმოცემული ჟანრულ-ბუკოლიკური შთაბეჭდილებებიდან სამყაროს ტრაგიკულ შეგრძნებამდე. ამავდროს აქ ქალისა და მამაკაცის სხეულის მშვენიერება, ჰარმონია კულტის დონემდეა ამაღლებული. სხეული ისეთსავე როლს თამაშობს მის ქორეოგრაფიაში, როგორც ფერი იმპრესიონისტების მხატვრობაში (ამით ხომ არ აიხსნება მისი ბრწყინვალე მოცეკვავეების სახეების უძრავი გამომეტყველება?!). ამერიკული ჟურნალი „ბალეტი" წერდა: „ცეკვისა და მუსიკის რიტმის ერთიანობას, ხედვითი და სმენითი შთაბეჭდილებების შესაბამისობას ამერიკული ბალეტი ჯორჯ ბალანჩინს უნდა უმადლოდეს". თვით ბალანჩინი კი ამბობდა: „ბალეტი უნდა იყოს თავისთავადი. ბალეტი, უპირველესად სილამაზე, პოეზიაა. ბალეტზე უნდა ვილაპარაკოთ ესთეტიკური პოზიციებიდან, თუკი საერთოდ საჭიროა მასზე ლაპარაკი. მოცეკვავის ყველა უჯრედი უნდა მღეროდეს მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ვცდილობ რომ ადამიანის სხეულმა არ დაჰკარგოს თავისი აზრი და სილამაზე".

თბილისში და მოსკოვში ჯორჯ ბალანჩინის ბალეტს უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ამერიკაში კი, როგორც თავად დავრწმუნდი, მას პირდაპირ ეთაყვანებოდნენ. 1968 წელს „ლინკონ ცენტრში", სადაც ერთ გრანდიოზულ კომპლექსშია გაერთიანებული „მეტროპოლიტენ ოპერა", „ნიუ-იორკ სიტი ბალე" და ჯულიარდის სასწავლებელი, რობერტ სტურუა და მე დავესწარით ბალანჩინის ბალეტს „აგონს", სეზონის პრემიერას (სადაც ბრწყინავდა მიტჩელი - შესანიშნავი ზანგი მოცეკვავე, რომელმაც შემდგომ ჰარლემის ზანგთა დიდად პოპულარული საბალეტო დასი ჩამოაყალიბა და რომელიც ბალანჩინის ქორეოგრაფიულ იდეებს ნერგავდა).

მაშინ, ორივენი პირველად მოვხვდით ამერიკელ მაყურებელთა შორის და, სიმართლე გითხრათ, გავვოგნდით: ეს ბრწყინვალე, რესპექტაბელური პუბლიკა სპექტაკლის დასასრულს შლეგივით იქცეოდა - ყვიროდა, უსტვენდა, ფეხებს აბრახუნებდა, ტიროდა. ეს იყო ექსტაზი".

ჯორჯ ბალანჩინი საქართველოში მეორედ ათი წლის შემდეგ ჩამოვიდა. 1983 წელს კი გარდაიცვალა, ალცჰაიმერის დაავადებამ იმსხვერპლა...

ანდერძის თანახმად, მთელი მისი ქონება გადანაწილდა მის ბალერინებს შორის.

შვილი არ დარჩენია, ჰყავდა ბევრი ცოლი, ქორწინდებოდა ბალერინებზე, ამბობდნენ, რომ შვილის ყოლის წინააღმდეგი თავად იყო. ბოლოს ერთ-ერთმა მაინც დაითანხმა, მაგრამ ფეხმძიმობისას პოლიომიელიტით დაავადდა და სამუდამოდ დაინვალიდდა.

მას შემდეგ ბალანჩინს ოფიციალურად აღარ უქორწინია...

ბალანჩინის გადაწყვეტილი ჰქონია ძმის ბალეტის „მთების გულის" დადგმა, ძმისთვის მეოთხე საფორტეპიანო კონცერტის პარტიტურაც გამოურთმევია - სურდა ამ კონცერტზე უსიუჟეტო ბალეტი დაედგა, მაგრამ ეს ჩანაფიქრები არ განხორციელებულა...

და კიდევ:

საბჭოთა ხელისუფლებამ მას არ მისცა საშუალება, რომ თბილისში დაედგა რამე.

აგვისტო, 2011, №65
WWW.MAMULI.COM
მამული

# მე ვაღიარებ:

**ილია ჭავჭავაძე:**

საქართველოს მთავრობას,

ბატონებო, მოგეხსენებათ, რომ მე ცოცხალი აღარ ვარ, თუმცა, ეს ფაქტი ნუ დაგაბრკოლებთ, რომ ჩემს წინააღმდეგ აღძრათ სისხლის სამართლის საქმე თუ, ის, რასაკვირველია, აღსაძრელია.

თქვენ ჩემზე უმცროსები, გაცილებით უმცროსები ხართ - ას წელზე გაცილებით მეტია ჩემსა და თქვენს დაბადების თარიღებს შორის და ზუსტად 96 წელია ჩემი მკვლელობიდან თქვენს ხელისუფლებაში მოსვლამდე.

მე ვიცოდი და თქვენ წარმოიდგინეთ, ახლაც ვიცი, რომ ყოველი შემდგომი თაობა, შვილთა თაობა ყოველთვის უფრო მართალია, ვიდრე მამები. მეც, დაახლოებით თქვენხელა რომ ვიყავი, უშიშრად ვუპირისპირდებოდი მამათა თაობას - მათ უნიათობას, უსუსურობას. მე მართალი ვიყავი ისევე, როგორც თქვენ ხართ მართლები თქვენს მამებთან, რომ აღარაფერი ვთქვა თქვენს ბაბუებზე, კიდევ მათ მამებზე. მოკლედ, თქვენ ჩემთანაც მართლები ხართ.

და რადგან მართლები ხართ, ნუ გაშინებთ ჩვენს შორის არსებული ასაკობრივი სხვაობა და ნურც ის, რომ მე წმინდანად შემრაცხეს. ყოველ შემთხვევაში, სიცოცხლეში, წმინდანი ნამდვილად არ ვყოფილვარ, ერთი თავადი ვიყავი - საინტერესო იდეებით, განხორციელებული გეგმებით, საკმაოდ კარგი მოთხრობებით, უფრო კარგი პუბლიცისტიკით და ნორმალური ლექსებით. თუმცა, ეს არაა და არც უნდა იყოს ჩემი ხელშეუხებლობის გარანტია - მტყუანი, თუნდაც მას „ერის მამას„ უწოდებდნენ, დასასჯელია.

ვარ თუ არა დასასჯელი? თქვენი არ ვიცი და, ახლა, როდესაც ყველაფერს ახადეთ ფარდა, როდესაც თქვით, რომ კარგი იქნება აღიარება, თუ ვთანამშრომლობდით რუსეთის სპეცსამსახურებთან, მე მივხვდი, რომ უნდა ვაღიარო.

რა ფოტოგრაფები, პატივცემულო ბატონებო, რა ჟურნალისტები და რა გრუ-სთან თუ ფე-ეს-ბესთან მათი შეკვრა, მე, ამ აბდალაძე-გედენიძის მსგავსად, პატარა აგენტი კი არ გახლდით - რუსეთის დუმის წევრი ვიყავი; თერგი, ჯერ აქედან რომ მივდიოდი მაშინ დავლიე, ხოლო მერე, როდესაც რუსეთის სამსახურებმა „დამავერბოვკეს“ და უკან გამომიშვეს, იმდენი შევსვი, იმდენი, რომ...

მოკლედ, ბატონებო, აგენტი ვარ! აქაც, რასაც ვაკეთებდი, ყველაფერს რუსეთის კარნახით ვაკეთებდი - მართალია, ის, მეფის რუსეთი კომუნისტურ-ბოლშევიკური არ იყო, მაგრამ დღევანდელი სწორედ მისი სამართალმემკვიდრეა, ხოლო ჩემი „დამვერბოვკებელი“ გვარად იყო ივანოვი და მეორე პეტროვი, ხოლო მესამე ოკროკოვი, თვით დიდი ბაბუა თქვენი ტუსაღის - ქურციკიძის „დამვერბოვკებელისა“ (ამ ოკროკოვებს წინაპართაგან მოსდგამთ სხვათა „დავერბოვკება“).

მათ დამავალეს, რომ შემექმნა თავადაზნაურთა ბანკი; შემექმნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დამეარსებინა „ივერია“. მათ იცოდნენ, რომ 21-ე საუკუნეში საქართველო მაინც გათავისუფლდებოდა და დამოუკიდებელი საქართველოსთვის საჭირო არ იქნებოდა ენა ქართული და ამდენად გამაკეთებინეს ეს, რომ მერე თქვენ ერთი ასად გაგჭირვებოდათ თქვენი ქვეყნის ქართიფიკაციის დაძლევა.

მოკლედ, ვაღიარებ, რომ აგენტი ვარ!

თქვენ მკითხავთ, ვინ მოგკლაო - ჯერ ბერბიჭაშვილზე მიმანიშნებთ, მერე პატარა იმერელ ორჯონიკიძეზე თუ ვინმე იმერლიშვილზე, მერე ბოლშევიკებზე ანაც მენშევიკებზე, რა მნიშვნელობა აქვს - ეთნიკურად ქართველი იყო მკვლელი, რომელიც ვერ ხვდებოდა, რომ მე აგენტი ვიყავი - რუსეთის აგენტი!

მე შევეკარი რუსეთს საქართველოს საზიანოდ - პერიოდულად, თვალის ახვევის მიზნით, კი ვწერდი კარგ და პატრიოტულ რაღაცებს, მაგრამ, ეს, რეალურად, საბურველი იყო - „ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი, გამაგონე ჩემს მამულშიც“ მხოლოდ ბრიყვებმა ჩათვალეს, რომ თავისუფლებას ეხებოდა, რეალურად, მინდოდა, რომ რუსეთი, როგორც ერთმორწმუნე, აქ გამაგრებულიყო - რუსეთს ვუხმობდი!

აკაკი ხომ გახსოვთ? ჩვენი პატარა კინკლაობა, ან მაჩაბელი, ისინიც აგენტები იყვნენ (თავისას, ალბათ, ოდესმე იტყვიან) მაგრამ, ჩემზე დაბალხარისხიანები.

მოკლედ, აგენტი ვარ! და ნუ გაფრთხობთ ნურც ეს წმინდანობა და ნურც ის, რომ ხალხს დღესაც ვუყვარვარ. მთავარია მხილება და საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულთა ან განეიტრალება, ანაც დაპატიმრება.

თუ საპროცესო გარიგებას შემომთავაზებთ, წინასწარ ვამბობ, მივიღებ. ხოლო ჩემს ვექილ ქართველ ერს აცილებას მივცემ. თანხას, ახლა რომ ვარ, იქიდან ვერ გაგისტუმრებთ, მაგრამ, თუ ოდესმე აქეთ შემოივლით, აქ გავსწორდებით. ან, უკეთესი ვარიანტი მაქვს - საპროცესოს მიხედვით აიღეთ ჩემი ძეგლი, რომელიც ინდოელთა თუ არაბთა აგენტ რუსთაველის გამზირზე დგას, აგრეთვე, ჩემივე სახელობის გამზირზე რომ ჩემი თავია, ისიც აიღეთ და წაიღეთ იქ, სადაც სტალინის ძეგლია.

მოკლედ, ბატონებო, აი, ესაა ჩემი ღია წერილი.

* * *

**თათია მახარაშვილი:**

გუშინ მამა მირიანის სკოლა-პანსიონში წასვლა მომიწია. ფერეიდნელები ესტუმრნენ. დეკანოზმა ფერეიდნელები გამორჩეული სითბოთი და ყურადღებით მიიღო, სკოლისა და ამ სკოლის აღსაზრდელი, სხვადასხვა აღმსარებლობის ბავშვების მეგობრობის ისტორიებს უამბობდა. ბოლოს ისიც შესთავაზა, მათ შვილებს ამ სკოლაში ესწავლა. სანამ ოპერატორი კადრებს იღებდა, ერთ-ერთი ქალი მომიახლოვდა, მომესალმა და ხელი მაგრად ჩამომართვა. ყველა მათგანი ძალიან ჰგავდა სახეკუშტ, დაკვირვებულ კახელ დედაკაცს, მხოლოდ ერთი სხვაობით, ირანის მკაცრ მზეს მაინც უმოქმედია თაობებზე, სხვანაირად შავგვრემნები არიან. მე და ოპერატორმა ერთ-ერთი გოგონა გამოვარჩიეთ, ჯერ თარჯიმანი გვეგონა, თუმცა ფერეიდნელი აღმოჩნდა, 25 წლამდე, ულამაზესი პროფილითა და თვალ-წარბით. ოდნავ უფრო თამამად ეცვა და ძალიან ამაყი, თან მშვიდი მზერა ჰქონდა. ქართულ საუბარს თბილისში მცხოვრები ფერეიდნელი ნიკოლოზი უთარგმნიდათ. საოცრებაა, რომ საერთოდ შეუძლიათ ქართულად საუბარი. 400 წლის წინ ირანის ხრიოკ მთებში გადაკარგულმა ხალხმა ენა მაინც შეინარჩუნა, ენა და სახელები - შოთა, ამირანი, ალექსანდრე და ასე გადასცემენ თაობებს. ადგილობრივებს საოცარი თვალებით შემოგვქცეროდნენ. ქალებს სახე ებადრებოდათ და გვიღიმოდნენ. კაცები უფრო თავშეკავებულები არიან.

გადაღებიდან წამოსული, მთელი გზა ვფიქრობდი, რომ ისინი ყველაზე ნაღდი ქართველები არიან, მიუხედავად სარწმუნოების შეცვლისა, მიუხედავად ყველაფრისა, ისინი ყველაზე დიდი პატრიოტები არიან. საქართველოს სიყვარული მათთვის იმდენად წმინდათა წმინდა და ამაღლებულია, რომ ცისარტყელასავით შორეული და მიუწვდომელიც კი ეჩვენებათ.

მე ვაღიარებ, რომ არ ვარ პატრიოტი, არც იმის სურვილი გამაჩნია, ვირომანტიკოსო და წარსულ დიდებას მივტიროდე. პირადად ჩემთვის, საქართველოს ისტორიაში ბოლო საამაყო გვერდი 1989 წლის 9 აპრილს დაიწერა. მას შემდეგ არასოდეს მიამაყია საკუთარი ქვეყნით, არასოდეს მიფიქრია, რომ გამორჩეული ერი ვართ. მაშინ მხოლოდ ხუთი წლის ვიყავი, თუმცა მკაფიოდ დამამახსოვრდა ქაართველების ერთიანობა, მას შემდეგ გამომყვა და აქციები, მიტინგები და ბუნებრივი კატასტროფები მიყვარს, ყველაფერი ის, რაც ხალხის ერთსულოვნებას მაჩვენებს.

ვაღიარებ, რომ ლაჩრები, გაუბედავები, გაუწონასწორებლები და მოღალატე სულის ადამიანები ვართ. ვაღიარებ, რომ ერთადერთ ისტორიულ რეალობად მგლისა და ძაღლების იგავი მიმაჩნია - ერთიანობა მხოლოდ დამპყრობლის წინააღმდეგ გამოგვდის, თუმცა ისიც ისე, ერთმა-ორმა მაინც რომ უნდა მიაშუროს მტრის ბანაკს.

ვაღიარებ, რომ ვიმსახურებ ასეთ ხელისუფლებას და ოპოზიციასაც, რადგან არაფრით არ ვარ უკეთესი, ნეპოტიზმი და კლანურობა ხომ ქართული ხასიათია - თუ არანათესაური ხარ, რაღა ქართველი ხარ?! თუ მმაკაცს უპირობოდ არ უსრულებ ყველა სურვილს, მეგობრობის სადღეგრძელოც არ უნდა დალიო. ჰოდა, რაღა გვინდა, ყველაფერი რიგზეა, ჩვენი ხელისუფლება ყოჩაღად და ნამდვილად ქართულად იქცევა. მეც ასე მოვიქცეოდი, რა პრობლემაა ვიღაც რეპორტიორს დაიჭერენ თუ სამარშუტო ტაქსებს გააძვირებენ, მთავარია ჩემები მყავდეს კარგად.

ვაღიარებ, რომ 7 ნოემბერი და 26 მაისი მხოლოდ საკუთარი ლაჩრობისა და შიშის გამო დაგვამახსოვრდა და არ დაგვხსომებია 8 ნოემბერი და 27 მაისი, როცა შეგვეძლო ათჯერ მეტს მოგვეთხოვა სამართლიანობა და პასუხი იმ ადამიანების სიცოცხლისთვის, ვინც სპეც-რაზმელებს შეაკვდა.

ვაღიარებ, რომ შემეშინდა, რადგან ყველაზე დიდი საშინელება ის კი არ არის, როდესაც მტერი, დამპყრობელი უცხო გკლავს, საშინელებაა, როდესაც სპეცრაზმელი ბერბიჭაშვილი მოქალაქე ილიას კლავს, თანაც ისე, რომ მამელუქებისგან განსხვავებით ორივემ კარგად იცის, ამ ბედკრული, წარსულ დიდებას აყოლილი და მარაზმში გადავარდნილი ქვეყნის შვილები არიან.

ვაღიარებ, რომ სხვა დანარჩენი ტელე-ჟურნალისტების უმრავლესობის მსგავსად, მეც მიშას ვემსახურები, არადა მეგონა მთავარი სიმართლე და ღმერთი იყო. ვაღიარებ, რომ ვერიდები ვთქვა სიმართლე, პირში მივახალო ჩემს ხელმძღვანელობას, რასაც ვფიქრობ ამ დამახინჯებულ ტელე-ჟურნალისტიკაზე და სამსახური უპირობოდ დავტოვო. ვაღიარებ, რომ ვერ ვიტან ქართველების ვაჟკაცობასა და სიმამაცეზე საუბარს, რადგან არსად არ დამინახავს ჩემი ცხოვრების ბოლო 22 წლის განმავლობაში იგი.

მე ვაღიარებ, რომ ბოდიშის მოხდა მსურს ყველა ფერეიდნელისათვის, ვინც გაცისკროვნებული თვალებით მიყურებდა და ფიქრობდა, რომ ეს ის საოცნებო საქართველოა და მე ამ საოცარი ქვეყნის საოცარი შვილი ვარ. ვერ შეგინახეთ და ნურც ელოდებით ისეთ საქართველოს.

ვაღიარებ, რომ უნიათო და ლაჩარი ვარ. ასე რომ არ იყოს, წერილობით აღიარებას არ დავჯერდებოდი, გამოვიდოდი და ვიტყოდი, რასაც ვფიქრობ. ვიტყოდი, როგორ შემოგვეპარა ხრწნა ყველგან და ყველაფერში და როგორ ვიტყუებთ თავს საკუთარი ერის მესიანისტური იდეებით გატაცებულები. თხამ რომ ვენახი შეჭამა და ამ ვენახს რომ მთელი ქვეყანა გადავაყოლეთ, ახლა კი საქართველოს ისტორიის შელამაზებულ ნარჩენებს ვკრეფთ და გავიძახით, რომ ასეთები და ისეთები ვყოფილვართ. მაშ სადღა გაქრნენ ის ქართველები?! არა, არც არასოდეს არსებულან. ჩვენ ის ქართველები ვართ, ერთი ათზე რომ მივდიოდით, მაგრამ საკუთარ მებატონეს თვალს ვერ ვუსწორებდით, ჩვენ ის ქართველები ვართ ცოლებს რომ გვიბახებდნენ, მაგრამ მაინც უღელშებმული ხარებივით ვეწეოდით ჭაპანს, ჩვენ ის ქართველები ვართ, რომლებსაც ყოველთვის ჭირდებოდათ ომში სარდალი, მშვიდობიანობისას მეფე, მამულში მებატონე. ჩვენ ასეთები ვართ და ამიტომაც არ შეგვიძლია გვქონდეს ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოება, არ ველოდოთ ლიდერებს და არ წავიდეთ საეჭვო ოპოზიციონერების გამართულ მიტინგებზე. დღეს კი ცხვირში გვტენიან მომსახურების ახალ წესებს და ჩვენც მკლავზე ტილოგადაფენილები დავსრიალებთ და ვემსახურებით „ძლიერთა ამა ქვეყნისა“. რა მნიშვნელობა აქვს რომელ სფეროში, კოსტაიას პერსონაჟს მაინც ყველგან შეხვდები. ყელში გვიჭერს, გვახრჩობს საკუთარი სიმდაბლისა და უსუსურობის შეგრძნება, თუმცა პროტესტის გაჩენის გარდა რომ გამოხატვაც საჭიროა, თუნდაც ჩაწიხვლის, ცემის, განადგურების ფასად, ამის გაცნობიერება კიდევ გვიძნელდება. დავდივართ საყდრებში, მონასტრებში, გვყავს მოძღვრები, ვწევრიანდებით ჯგუფებში „ჩვენ გვიყვარს ჩვენი პატრიარქი“, თუმცა საქმე საქმეზე რომ მიდგება, ღმერთიც გვავიწყდება და ქრისტეს ნაქადაგები სიკეთეცა და სიყვარულიც.

მე ვაღიარებ, რომ არ მიყვარს ასეთი საქართველო, „და თუ სიყვარული არ მაქვს, მთების დაძვრაც რომ შემეძლოს, არარა ვარ“.

* * *

**ნათია მიქიაშვილი:**

მე, ნათია მიქიაშვილი, გავცემ ყველა სახელმწიფო საიდუმლოს, რომელიც ავნებს ჩემს სამშობლოს. მე ვეტყვი ადამიანებს სიმართლეს მათი სიცოცხლის შესახებ - მე ჟურნალისტი ვარ - მე ჯაშუში ვარ.

დიახ, მე ვთქვი პირველმა, რომ სანდრო მოკლეს და მე ამაყი ვარ;

მე ვთქვი პირველმა, რომ ტაძარში გეგმავდნენ შემოსვლას და მე ამაყი ვარ; მე ვიტყვი პირველი, რომ მე თავისუფალი ვარ და მაშინაც ამაყი ვიქნები.

მე პირობას გაძლევთ, გავცემ ყველა სახელმწიფო საიდუმლოს, რომელიც ავნებს ჩემს სამშობლოს. მე ვეტყვი ადამიანებს სიმართლეს მათი სიცოცხლის შესახებ. მე ომს მოგიყვებით, დაკარგულებს და დახოცილებსაც მოგიყვებით, უსახლკაროს ამბავსაც მოვყვები და გისოსებიდან მაცქერალი ქვაბის ქურდის ამბავსაც გეტყვით. გაჩეხილი ვენახის და წყალში ჩაღვრილი ღვინის ისტორიაც არ დამავიწყდება. დაბეჩავებული და იმედის საძიებლად წასული ერის მონათხრობსაც ვიტყვი და იმასაც გეტყვით, რომ ჟურნალისტი ვარ. ვაღიარებ ჯაშუში ვარ.

* * *

**მზევინარ ხუციშვილი:**

ვაღიარებ არა მხოლოდ როგორც ჟურნალისტი, არამედ, როგორც ადამიანი, ქართველი, ამ ქვეყნის მოქალაქე და რაც მთავარია, როგორც ქალი...

ვაღიარებ აქვე იმასაც, რომ ამ ყველაფრის ფასი, ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, კომუნისტებმა უკეთ იცოდნენ.

ვაღიარებ, რომ ჩემთვის არასდროს იქნება ევროპა და ამერიკა ისეთი, როგორსაც თქვენ მიჩვენებთ. ვაღიარებ, რომ ჩემი თაობის ბევრი წარმომადგენლისგან განსხვავებით, არასდროს მქონია ეგრეთ წოდებული „American Dream“ (თქვენ რომ უკვე განახორციელეთ).

ვაღიარებ, რომ არასდროს მიზიდავდა ამერიკის ყალბი და ზედაპირული სახე: მისი ცათამბჯენები, ყვითელი ტაქსები, „სტარბაქსის“ ყავა და ფასადური, ნამდვილი ამერიკული სულისგან დაცლილი ფასადური დეკორაციები. ამერიკა ჩემთვის შრომის ქვეყანაა, ერი, რომელმაც თავისი თავდაუზოგავი შრომით შექმნა სახელმწიფო. ეს ის ქვეყანაა, სადაც სამოქალაქო შეთანხმების ფასი იცოდნენ და ხალხთან დადებულ შეთანხმებებს არასდროს ღალატობდნენ;

ვაღიარებ, რომ საშინელი პროტესტი მაქვს თქვენი კეთილდღეობის გარანტი ამერიკული დახმარების მიმართ, რომელიც მთელს მსოფლიოში სამხედრო დახმარებას, ელიტის მხარდაჭერას და გაღატაკებულ, მარგინალიზებულ ეროვნულ ღირებულებებს ნიშნავს. ეს ჩემი სიტყვები არ არის. ეს ნოემ ჩომსკიმ თქვა. რომელმაც ამერიკაც ჩემზე და თქვენზე უკეთ იცის და კიდევ ბევრი სხვა რამ. ვაღიარებ, რომ არასდროს ვიმუშავებ იმ დაწესებულებაში, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი ინგლისური ენა იქნება, თუნდაც მთელი ცხოვრება უმუშევარი ვიყო;

ვაღიარებ, რომ მე ჩემი სამშობლო, ის თბილისი მირჩევნია, როცა მისი ქუჩები სავსე იყო მაწვნებით, ხალიჩებით, ვირებითა და დუდუკებით;

ვაღიარებ, რომ საქართველო თქვენს მიერ განათებული ზიზილპიპილოების გარეშეც ლამაზია, თუ გულით დაინახავთ;

ვაღიარებ, რომ თუ ოდესმე საქართველოს გარდა სხვაგან ცხოვრება მომიწევდა, აუცილებლად პეტერბურგში ვიცხოვრებდი;

ვაღიარებ, რომ მომწონს ეს ეგრეთ წოდებული „ჩრდილოეთის ვენეცია“, თავისი მეფური, დიდებული არქიტექტურით, მდინარე ნევით, სადაც ტატიანას და ონეგინის დიდი სიყვარული დაიბადა;

ვაღიარებ, რომ ჩემთვის პუშკინი, ესენინი, დოსტოევსკი ისეთივე მშობლიურია, როგორც ილია, აკაკი, ვაჟა, გალაქტიონი;

ვაღიარებ, ბატონო პრეზიდენტო თქვენს შენიშვნასაც, რომ მეც მათ შორის ვარ, ვისაც - რუსეთის მიერ ჩამოყალიბებული მონის კლასიკურ ტიპად მიიჩნევთ, მაგრამ...

ვაღიარებ, რომ საქართველო მარადიულია და ამას ვერ წაშლით;

ვაღიარებ, რომ არსად არ წავალ!

**თათია კობიძე:**

თუ მუჰამედი არ მიდის მთასთან, მთა მიდის მუჰამედთანო,

იმდენი ჯაშუშია ჯერ კიდევ დასაჭერი, რომ გადავწყვიტე მოვიხადო ჩემი მოქალაქეობრივი ვალი და აღიარებულთა სიას ჩემივე სურვილით შევუერთდე.

მას შემდეგ, რაც წავიკითხე სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლი, მივხვდი, რომ ვარ ჯაშუში. მანამდე მეგონა, რომ მხოლოდ ჟურნალისტი ვიყავი.

ვაღიარებ, რომ აღნიშნული მუხლი ძალიან გონივრულად არის დაწერილი და მაქსიმალურად უწყობს ხელს ჯაშუშების გამოვლენას.

ვაღიარებ, რომ ჟურნალისტური საქმიანობა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დავიწყე. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს ლექტორებსა და რედაქტორებს - ხათუნა მაისაშვილს, მაია გოგოლაძესა და ლია ტოკლიკიშვილს, რომლებიც მამარაგებდნენ საჭირო ლიტერატურით და მასწავლიდნენ სხვადასხვა თეორიულ თუ პრაქტიკულ საგნებს, მათ შორის ჟურნალისტური გამოძიების ჩატარების ტექნიკას.

ვაღიარებ, რომ ჩემი ჯაშუშობა აღიარებამდე რამდენიმე თვით ადრე კობა ნაყოფიამ გამოაშკარავა, როდესაც თქვა, რომ ყველა, ვისაც აგვისტოს ხუთი დღე არ მოეწონა, ქვეყნის მტერი და რუსეთის აგენტიაო.

ვაღიარებ, რომ ყოველ დღე თუ არა, კვირაში რამდენჯერმე მაინც ვუსმენ ბაშკირ ზემფირა რამაზანოვას, რომელიც რუსეთში მოღვაწეობს, ვკითხულობ რუსულ ლიტერატურას და გულწრფელად ვწუხვარ ჩემი ცუდი რუსულის გამო.

ვაღიარებ, რომ დღემდე ჯაშუშ-თანამგზავრებზე მსოფლიოში ყველაზე კარგ მონადირედ კარლსონი მიმაჩნდა, მაპატიეთ, რომ ვცდებოდი.

ვაღიარებ, რომ ეს აღიარებითი ვიდეოები ვენესუელურ სერიალებს დაემსგავსა, ბრაზილიურს კი არა, ვენესუელურს, ისეთს კუსტარულად დამზადებულის ელფერი რომ დაჰკრავს.

ვაღიარებ, რომ დამავიწყდა როგორ გამოიყურება ჩვენი პრემიერ-მინისტრი. რა ვქნა „ფეშენ ტივი“ არ მაქვს.

ვაღიარებ, რომ ედიტ პიაფის სიმღერის მელოდია ჩვენს პოლიციის ჰიმნს ძალიან უხდება და კარგი ვქენით რომ „ვითხოვეთ“ თუ ვიჩუქეთ. პიაფი მაინც უკვე მკვდარია და თან ხმა ჰქონდა მაგ ქალს რაღაცნაირი.

ვაღიარებ, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო „რუსთავი2“-ის ხელმძღვანელობამ „დუტას ზღაპრები“ რომ დახურა - „კურიერი“ ხომ გვაქვს.

ვაღიარებ, რომ გულიანად ვიცინე, როდესაც ჩემმა მეგობარმა დავით ბაქრაძის, მისი მეუღლისა და შერონ სტოუნის ერთად გადაღებული ფოტო გამიზიარა და იქ დაწერილი კომენტარები წავიკითხე: „ბატონო დავით, თქვენი მეუღლე ბევრად უფრო ლამაზია, ვიდრე შერონი“. ამით მე შეურაცხყოფა მივაყენე ქართველ მანდილოსნებს.

ვაღიარებ, რომ ოთხი წელი სულ ტყუილად ვისწავლე პოლიტოლოგია, დემოკრატია პრაქტიკაში სულ სხვა რამ ყოფილა.

ვაღიარებ, რომ იბერია გაბრწყინდა და მე ეს ამბავი სულ ახლახან ტელეკომპანია „იმედის“ დახმარებით გავიგე.

ვაღიარებ, რომ ვარ ჟურნალისტი, მაშასადამე, თავად გადაწყვიტეთ.

* * *

**ბექა გაბადაძე:**

მე „სამი შვილის დედა და მჭადისმცხობელი“ ვაღიარებ რომ ვუღალატე სამშობლოს და ღმერთს (თანმიმდევრობას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა)! ვაღიარებ რომ ვარ ჯაშუში და ვაწყობ პროვოკაციებს ქართული კაცობრიობის წინააღმდეგ (არმოგესმათ).

მე, საქართველოს მოქალაქე, მთელი ოცი წლის განმავლობაში თავს ვგრძნობდი და ვგრძნობ დაუცველად. ყოველთვის მეშინოდა ჩემი ტყუპისცალის. იგი 90-იანებში თავდაცვის მიზნით გახდა ქურდული მენტალიტეტის მატარებელი, ხოლო რევოლუციის შემდეგ წვერის გაუპარსავად მუშაობდა პოლიციაში. იბარებდა აღსარებებს და მაიძულებდა სხვებისთვის გადამეცა მოწოდებული ინფორმაცია. თვითონ აღმსარებლებს აგზავნიდა კატორღაში.

მაპატიეთ, ვღალავ.

ვაღიარებ, რომ მე მიყვარდა „მტრები“ - „სოროსისტები“, „ზვიადისტები“ და „მიშისტები“, „აზერები“ და „არმენები“, „ჰომოსექსუალისტები“ და მწვანეები, ზოგჯერ „რასისტები“ და ზოგჯერ „რასიისტებიც“ კი.

ქრისტეთი მიყვარდა!

„მტრები“ მე მიხდიდნენ ფულს და სიყვარულს ჩემი წვრილ-შვილის გამოსაკვებად, ვაწოვებდი შვილებს ნაღალატევ ძუძუს და ვზრდიდი პატარა მონსტრიკუნებს.

მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყანა და ხალხი მაღალსაკაცობრიო იდეალების შესაბამისად ბრძოლას აწარმოებს ქვეყნებთან და ხალხებთან. დღე არ გავა რომ ჩრდილოეთით ჩვენმა მტერმა რაიმე პროვოკაცია არ მოგვიწყოს, ჩვენ კი მოთმინებით ვიტანთ მათ შეტევებს და ვიმარჯვებთ მათზე. მაშინ, როდესაც ჩვენი „დიდი ძმა“, რომელსაც ყოველდღე ვხედავთ ტელევიზიაში, ზრუნავს ყოველივეზე და თითქმის 8 საათით გვიბრუნებს მიტაცებულ ტერიტორიებს, (არ დაივიწყოთ, ომია) მე ძირს ვუთხრი სახელმწიფოს - დამხვრიტეთ!

მე ავაბობოქრე ქსენოფობიის ტალღები და ვუბიძგე ადამიანებს ორთავიანი არწივისათვის ეცათ თაყვანი. მე გამოვიყვანე ქუჩაში „პრავასლავნიკები“ და ვაიძულე, მიეტოვებინათ ქრისტე და მსხვერპლი გაეღოთ გაც-გაიმარმაზისათვის, როგორც ძირძველი ქართული ღვთაებებისათვის.

ვაღიარებ, რომ მე განგებ ვპროვოკატორობდი ქვეყანაში, სადაც არაფერია მართალი და არაფერია ტყუილი, რადგან ყველაფერი მართალი და ყველაფერი ტყუილია. სადაც იმდენჯერ იცვლება რეალობა, რომ არაფერია რეალური.

უნივერსიტეტში სწავლისას მე ძირს ვუთხრიდი სახელმწიფოს, მაშინ როდესაც „ტაშ-ფანდურში“ ვამხელდი ჩვენი სახელოვანი პარტიის მუშაკებს. ხოლო როდესაც ასეთი „ღვთისმოსავი და მოყვასის მოყვარე“ მუშაკები „პლიტკა შოკოლადებს“ მჩუქნიდნენ, თავი ვურტყი მათ მუჭებსა და წიხლებს, რათა დაზიანებები მიმეღო და ჩირქი მომეცხო ჰიტლერისმოყვარეთათვის სტუდენტურ თვითმმართველობაში.

მე ვარ ამერიკის რუსეთის აგენტი, გახრწნილი დემოკრატი ჯორჯიის შტატიდან, რომელიც ლიბერალურ ღირებულებებს - თავისუფლებას, სამართლიანობას, თანასწორობას (არ მოგეჩვენათ) „ატარებს“. მე ვარ ფემინისტი, რომელსაც არ მოსწონს აბორტები, მაგრამ აკრძალვაში უფრო დიდ საფრთხეს ხედავს.

ვაღიარებ, რომ ვცდილობ დავადგინო სიმართლე მაგრამ ვერ ვახერხებ.

* * *

**ბიძინა გიორგობიანი:**

აღიარების დასაწერად დავჯექი და მივხვდი, რომ აღიარების დაწერა საქართველოდან ასე შორსაც კი (4.000 კმ.) ძნელია, თუმცა პირობა, პირობაა და ვიწყებ წერას. ვაღიარებ, რომ ვარ საქართველოს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქე, დიდი ხნის წინ უნდა დამეწერა მონანიება, მაგრამ დრო ვერ ვიპოვე.

საამისოდ, აი მეგობარმა მთხოვა და ვწერ აღიარებით ჩვენებას დაჭერის გარეშე. მე მგონი, რომ სხვებიც დაწერენ ჩვენებებს, ისეთები, რომლებთან ერთადაც გვირაბები მითხრია, მოწამლული სიმინდი დამითესია და ათასი მავნებლობა ჩამიდენია. ვიცი, ის ადამიანები კარგად აღწერენ ყველაფერს, ამიტომ მოდით, მე გვერდს ავუვლი საქართველოში ჩემს მიერ გაწეულ მავნებლური საქმიანობის აღიარებას, უფრო კარგ საქმეს გავაკეთებ, ანუ ვაღიარებ ისეთ რამეს, რაც პრაქტიკულად გამოადგება „შემდგარი სახელმწიფოს“ მოქალაქეებს. კერძოდ, ვაღიარებ იმ სიძნელეებს, რაც ემიგრაციას ახლავს. აღნიშნული საკითხი აქტუალურია იმ ადამიანებისათვის, ვინც ემიგრაციაში მიდის საქართველოდან, ასეთი კი უფრო და უფრო მეტია.

ვაღიარებ, რომ ემიგრაცია ძალიან მძიმეა. მათ ვისაც ემიგრაცია გადაუწყვეტია, უნდა იცოდნენ, რომ ის ადამიანი, რომელიც ემიგრაციის გადაწყვეტილებას იღებს, კარდინალურად განსხვავდება იმ ადამიანისაგან, რომელსაც შეიძლება ემიგრაციის შესახებ ესაუბროთ 15-20 წლის შემდეგ. ეს ორი სხვადასხვა ადამიანის ერთ სხეულში, მოკლედ ძნელი საქმეა. ემიგრანტს ისევე არ უყვარს ემიგრაციაზე ლაპარაკი, როგორც სტალინური ბანაკის ტუსაღს ციმბირის შესახებ მოგონება. ძველი ადამიანი აეროპორტისაკენ მიმავალ, ახლადდაგებულ ტრასაზე შეგიძლიათ დატოვოთ, გამოემშვიდობოთ მას. თუ გინდათ, რომ გაუძლოთ ხანგრძლივ ემიგრაციას, თან იქონიეთ გამძლეობის მარაგი, ერიდეთ საქართველოდან მომავალ მაცდურ ამბებს, ვიდრე მათ დრო არ შეამოწმებს. ვაღიარებ, რომ გამძლეობის მარაგი მაქვს საკმაოდ დიდი, მარტოობამ მასწავლა ამტანობა და ამ მარაგის შევსების ხერხები. ასევე მინდა ვაღიარო ზოგიერთი რამ ჩემი წარსულიდან, რომელიც შეიძლება ბატონ შინაგან საქმეთა სუპერმინისტრს გამოადგეს მომავალში. ვაღიარებ, რომ მაქვს კარგი მეხსიერება, რომელსაც სისტემატიურად ვავარჯიშებ შემდეგი მეთოდით, ვიღებ წარსულიდან რომელიმე მოვლენას და ვცდილობ აღვადგინო იგი, უმცირეს დეტალებამდის.

აღნიშნული მეთოდით, აღვიდგინე თუ როგორ დავიკარგე დაახლოებით 4 წლის ასაკში, სოფელ ჯილაურაში მეტრნახევარი სიმაღლის თოვლში. სადაც მამამ წამიყვანა დიდი პაპის დაკრძალვაზე. აღვიდგინე ის განცდა, რომელიც მქონდა მაშინ, როცა მესმოდა ჩემი სახელი და ვერ ვხედავდი საიდან მეძახდნენ. ასევე დეტალურად აღვადგინე თქვენთან ჩემი პირველი სატელეფონო საუბარი, იმ პირის ხმის ჩათვლით, ვინც თქვენს კაბინეტში იჯდა და გკარნახობდათ. ვაღიარებ, რომ ასევე აღვადგინე იმ პირის ვინაობაც. ასევე ჩემი მავნებლური მეხსიერებით აღვადგინე თქვენს მიერ 2005 წლის 19 მარტს ჩემს ბერლინურ ბინაზე განხორციელებული სატელეფონო კავშირის სრული სტენოგრამა, რომელსაც იმედი მაქვს, პირადად გადმოგცეთ ოდესმე. ვაღიარებ, რომ ძველი გამოცდილი სამშობლოს მოღატე ვარ, რამოდენიმეჯერ დაპატიმრებული თქვენი მასწავლებლის მმართველობის დროს, მაგრამ ოსტატურად შევინიღბე და ასე ღრმად შენიღბულ ჯაშუშად დავბრუნდი საქართველოში 2004 წელს. მოგახსენებთ, რომ საზღვარზე შემოვედი ხოხვით, ერევნის მხრიდან, გულში ვმღეროდი რევოლუციამდელი თბილისის ფანოლურ მელოდიას „თბილისი გენატრებოდა, ერევანში წახვედი“. ასე ამოუყევი ტფილისის გზას სოღანლუღიდან. გულში კი რა თქმა უნდა ღალატი მედო და ჯიბეში კიდევ თბილისის რუკა, რომლითაც გზა უნდა გამეკვლია თბილისურ ჯუნგლებში. ვერ გავიკვლიე, ვაღიარებ, რომ ვერ გავიკვლიე და ისევ ხელი მივყავი ძველებურ მავნებლურ საქმიანობას, რომელსაც, ახლა უკვე სხვა გამოსავალი არაა, ბოლომდის გავაგრძელებ და სრულვყოფ. ვეცდები აღიარებითი ჩვენების ვრცელი ვარიანტი პირადად გადმოგცეთ ოდესმე. როგორც საქართველოს მთავარ-გენერალურ-დამჭირველს კი გისურვებთ ჯანის სიმრთელეს და ენის გასატეხის კარგად სწავლას. კაპიკი-გაკაპიკებულა-საკაპიკეში-ჩაკაპიკებულა.

* * *

**თეა თუაშვილი:**

ვაღიარებ, რომ ქვეყნის საზღვრები გადმოვკვეთე 5 ივლისს, 2011 წელს. დავბრუნდი ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩემს სამი თვის ქალიშვილთან ერთად.

ვაღიარებ, რომ იმ დღეს თბილისში ძალიან ცხელოდა - გზა აეროპორტიდან ჩემს სახლამდე არ შეცვლილა, მანძილი იგივე. ჩემი კორპუსიც ისევ იქ იდგა, სადაც რამდენიმე თვის წინ დავტოვე. სადარბაზო შეულებავთ მხოლოდ ღია სალათისფერი საღებავით. ვაღიარებ, რომ ნაგავი და პარკები შესასვლელთან ისევ დამხვდა.

მერე 6 ივლისი გათენდა და პარლამენტმა რაღაც რელიგიური კანონი მიიღო, რომლის შესახებაც „ფეისბუქიდან“ შევიტყვე, რადგან ვაღიარებ, რომ მე ჟურნალისტმა თეა თუაშვილმა, რომელიც ტელევიზიის კედლებში გავიზარდე - სახლში შემოსვლისთანავე ტელევიზორი გამოვრთე. დავიწყე შეგუება უტელევიზოროდ სახლთან და ფოტორეპორტიორების ამბავიც მოხდა. ავლაბრიდან ვბრუნდებოდი ტაქსით და სამებიდან მომავალი ბევრი ხალხი დავინახე - გზები გადაკეტილი, პატრული მშვიდად აწესრიგებდა მოძრაობას, თავსაფრიან ქალბატონებს ხელში ხატები ეჭირათ. ვაღიარებ, რომ ვერაფერს მივხვდი. თავიდან რელიგიური დღესასწაული მეგონა, თუმცა შევცდი. მერე მითხრეს 20 ათასი მორწმუნე იყოო და ასე რომ გაგრძელდეს პროტესტი, კიდევ უფრო გაძლიერდებაო. ასე არ გაგრძელდა, მალე ყველა დაამშვიდეს.

ტელევიზორი შემთხვევით ჩართეს, თვალი ეკა ბესელიას მოვკარი. აბდალაძის გვერდით იჯდა - გამიკვირდა ოპოზიციის ლიდერი მახსოვდა და რა უნდოდა „ჯაშუშის“ გვერდით. ამიხსნეს, ისევ ძველ პროფესიას დაუბრუნდაო. აბდალაძე რაღაცას ყვებოდა ხალისიანად: როგორ სცემეს, როგორ დაემუქრნენ, როგორ დააშანტაჟეს, როგორ გახდა მოღალატე. გვერდით ნაბელლავის ბოთლი ედგა. უფრო იქით კი ადვოკატი ეკა ბესელია იჯდა, რომელსაც აბდალაძის ჩვენებაზე სახე სულ უფროდაუფრო ტრაგიკული უხდებოდა. აბდალაძემ აღიარა, რომ ფოტოებს იღებდა, ეკამ ის, რომ ჩვენების მიცემის დროს ზეწოლა არ განხორციელებულა, მე ვაღიარებ, რომ ამ ქვეყანაში უკვე აღარავისი მჯერა - არც შენი, არც თქვენი, არც მისი, არც მათი და აღარც ჩემი!

* * *

**მადლენა მაჭარაშვილი:**

ვაღიარებ, რომ თავისუფალი ჟურნალისტი ვარ. იმასაც ვაღიარებ, რომ ყოველთვის ასეთი ვიყავი. ჟურნალისტობა კი „ვარდების რევოლუციამდე“, ავბედითი 2002 წლიდან დავიწყე.

ვაღიარებ, გუშინდელივით მახსოვს, ბატონო შს მინისტრო, ოპოზიციონერი რომ იყავით, დასავლურ პრესაში ინტერვიუს მეშვეობით რომ „ამხილეთ“ შევარდნაძის რეჟიმი, ვაღიარებ, ისიც მახსოვს, როგორ შიშშილობდით იუსტიციის სამინისტროს მისაღებში - სახელმწიფოს მიერ პენსიონერებისათვის 14-ლარიანი საპენსიო დავალიანებების გასტუმრების მოთხოვნით. მაგრამ, გულწრფელად ვაღიარებ, ვერასდროს ვიფიქრებდი, პენსიონერების ბედზე „ძილგამკრთალი“ და „მოშიმშილე“ პოლიტიკოსი „ქვეყნის ხერხემალი“ რომ გახდებოდით. მაპატიეთ, რომ ჯეროვნად ვერ შევაფასე თქვენი შესაძლებლობები მაშინ. ვაღიარებ, რომ გადავცდი.

ბატონო მინისტრო, ვაღიარებ იმასაც რომ, ძალიან „ეჭვიანი“ ვარ. ხშირად მიჩნდება ეჭვები და მგონია, რომ თქვენი უწყების მიერ გამოძიებული საქმეები ბევრ უპასუხო კითხვას ტოვებს, ამის გამო არაერთხელ წამიცდა ხელი საგამოძიებო პუბლიკაციების დაწერაზე. ვაღიარებ იმასაც, რომ ჩემ მიერ მომზადებული ჟურნალისტური გამოძიებები, ძირითადად, უცხოური ფულით იყო დაფინანსებული. ჰონორარის ნაწილი საბანკო ანგარიშზე მერიცხებოდა, ნაწილს - ხელზე ვიღებდი. ბოლოს, თარიღს არ დავასახელებ, არა, კი არ გიმალავთ რამეს, უბრალოდ, არ შემეშალოს და შეცდომაში არ შეგიყვანოთ (ასეც ხომ ხდება, არა?), ჰო, ბოლოს, ნიუ იორკიდანაც გადმომირიცხეს თანხა ჟურნალისტური, ანუ ჯაშუშური საქმიანობის გამო.

ახლა რომ ვუკვირდები, უფრო ევროპული და ამერიკული თანხები მაქვს მიღებული. ვაღიარებ, იმდენი რუსული არ ვიცი, რომ რუსეთში ვინმესთან დამემყარებინა ჯაშუშური კავშირი. მე ვარ ჟურნალისტი, ანუ - ჯაშუში! არ ვიმსახურებდი, მაგრამ ბოროტად ვისარგებლე თქვენი კეთილგანწყობით. მადლობის მეტი აღარაფერი მეთქმის.

გმადლობთ, რომ აღიარების შანსი მომეცით და ჩემი შემდგომი ჯაშუშობისგან იხსენით სახელმწიფო!

გმადლობთ, რომ დროულად აღმკვეთეთ! დავასრულებ იმით, რითაც მინდოდა, დამეწყო: ბატონო მინისტრო, მე თქვენ „გაღიარებთ“!

* * *

**ზვიად მჟავანაძე:**

ვაღიარებ, რომ სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობს.

ვაღიარებ, რომ მთავრობას ჰქონდა მცდელობა საპატრიარქოს საქმეებში ჩარევის, ისევე როგორც საპატრიარქოს ქონდა მცდელობა მთავრობის საქმეებში ჩარევის.

ვაღიარებ, რომ მთავრობა კარგს აკეთებს, მაგრამ უფრო ბევრ ცუდს.

ვაღიარებ, რომ საქართველოში კონსტიტუციას არავითარი ძალა არ აქვს.

ვაღიარებ, რომ კანონი მხოლოდ

ფურცელზე დასაწერად იქმნება, რადგან მას ყველა არღვევს.

ვაღიარებ, რომ საქართველოში ხალხი ყველას ფეხზე ჰკიდია.

ვაღიარებ, რომ ამ ქვეყანაში მომრავლდნენ (ან ყოველთვის იყვნენ) ადამიანთა განსაკუთრებული ჯიშები - ,,ვაზელინების'', ,,მჭამელების'', ,,გადამგდებების'', ,,უვიცების'' სახით.

ვაღიარებ, რომ საქართველო ყველაზე დიდი ქვეყანაა, რადგან მას არ გააჩნია საზღვრები.

ვაღიარებ, რომ ჟურნალისტიკაში ობიექტურობა არ არსებობს, რადგან ვერავინ ვერ გაიგო რას ნიშნავს სიტყვა ,,ობიექტური''.

* * *

### თამარ რუხაძე:

ვაღიარებ, რომ მე ვარ ჟურნალისტი, მაშასადამე, მე ვარ ჯაშუში! თუმცა, ალბათ, ეს მნიშვნელოვანია და უნდა დავამატო, რომ მხოლოდ ჟურნალისტი არ ვარ, ახალი ამბების პროდიუსერი ვარ, მაშასადამე ორმაგად უფრო ჯაშუში!

ყველაფერი კი სკოლის დამთავრების შემდეგ დაიწყო, როდესაც სახელმწიფო უნივერსიტეტის საიდუმლო მე-6 განყოფილებაზე ჩავირიცხე. ასე უწოდებდნენ მაშინ ჯაშუშების კორპუსს. იქ უფრო თეორიულ საქმიანობასა და ჩვენი ქვეყნის წარსულში მოღვაწე დიდი ჯაშუშების ისტორიას გვასწავლიდნენ, მე კი უფრო პრაქტიკული საქმე მაინტერესებდა. პირველივე წელს მეგობრის დახმარებით ჯაშუშური საქმის ნამდვილ კორიფეებთან დავიწყე პრაქტიკა ერთ-ერთ გაზეთში. სწორედ იქიდან დაიწყო ჩემი ჯაშუშური კარიერის გრძელი და რთული გზა. მოგვიანებით უკვე ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მსხვილ ჯაშუშურ სამაუწყებლო კორპორაციაში მივედი სამუშაოდ. ეს ადგილი ნამდვილი სკოლა იყო ჯაშუშებისთვის, შეგძლო საქვეყნოდ ცნობილი და აღიარებული ჯაშუშების გვერდით გემუშავა და ამით გეამაყა. საგულისხმოა, რომ ყველაფერ ამას ისე ვაკეთებდით, რომ ხალხს ეს ძალიან მოსწონდა. ვაღიარებ, რომ ესეც ერთ-ერთი პროფესიული ტექნიკაა. მოკლედ, ამასობაში ძალიან გავიწაფე ჯაშუშობაში, მაგრამ სწორედ ამ დროს კორპორაციაში რაღაც შეიცვალა და აღმოჩნდა, რომ ჩემნაირი ჯაშუშები იქ აღარ სჭირდებოდათ. ჩემს ჯაშუშ მეგობრებთან ერთად იქაურობა დავტოვე. უნდა ვაღიარო ისიც, რომ როდესაც შინ ვიჯექი და ტელევიზორს ვუყურებდი, ხელის გულები მექავებოდა, ისე მენატრებოდა ხოლმე ჩემი ჯაშუშური საქმიანობა.

ვაღიარებ, რომ ახლა კვლავ იმავე საქმეს ვაკეთებ და ისე ვარ გამობრძმედილი, რომ ერთი შეხედვით შეიძლება ვერც მიხვდეთ ვერაფერს, თუ ჩემს სატელეფონო საუბრებს ყურადღებით არ მოუსმენთ, თუმცა ვაღიარებ, რომ შეიძლება ასეც ძნელი იყოს, რადგან ჩემს საუბრებს კონკრეტული და ძალიან რთული შიფრი აქვს. ყოველი მესამე ბგერა სიტყვაში, შეესაბამება იმავე ასოს წინა ნიშანს რუსულ აბანში. ვაღიარებ, ცოტაოდენი რუსული წერა-კითხვაც ვიცი. ასევე არ დავმალავ, რომ ხშირად დავხმარებივარ ჩემს კოლეგებს, რომლებიც მირეკავდნენ რუსეთიდან ან რომელიმე სხვა ქვეყნიდან და მე მათ ხშირად ტელეფონის ნომრებს ვაძლევდი ან ვასწავლიდი როგორ გაერკვიათ ის, რაც მათ აინტერესებდათ.

ვაღიარებ, რომ ჩემს პროფესიულ მდგომარეობას პირადი კეთილდღეობისთვის არ ვიყენებდი, ასეთი რამ ღირსეული ჯაშუშისთვის მიუღებელია. ვაღიარებ იმასაც, რომ ძვირფასი საჩუქარიც დამიბრუნებია ძალიან მაღალი თანამდებობის მქონე ადამიანისთვის, ესეც დაუშვებელი რამაა ჭეშმარიტი ჯაშუშისთვის. ვაღიარებ, რომ როდესაც ქვეყანაში რამე სერიოზული ხდებოდა, ახალი ამბების გამოშვებას შადრევნის გახსნით არ ვიწყებდი და საერთოდაც, ჩემი ნება-სურვილისა და შეხედულებისამებრ ვწყვეტდი და ვწყვეტ, ჯერ რომელი ახალი ამბავი მოვასმენინო მაყურებელს და მერე რომელი. ახლა ვხდები, ვაცნობიერებ, რომ ეს უზარმაზარი დანაშაულია და ვაცხადებ, რომ ვაღიარებ ყველა იმ დანაშაულს, რომელიც ჩამიდენია და იმასაც, რომელიც არ ჩამიდენია. თუ ეს საკმარისი არ იქნება, ვაღიარებ, ყველა იმ დანაშაულსაც, რომელიც შეიძლებოდა ჩამედინა და რომელიც შესაძლოა მომავალში ჩავიდინო.

კიდევ?

კიდევ ვაღიარებ, რომ ჩემი მასაჟისტი ეროვნებით რუსია!

და თუ ეს ყველაფერი არ არის საკმარისი, მაშინ ვაღიარებ იმასაც, რასაც მთელი ცხოვრება საიდუმლოდ ვინახავდი:

მე მოვჰკალი ძერა! დიახ, ძერა და ოღონდ ჰ-თი. დაჟინებით გთხოვთ, ასეც შეიტანოთ ოქმში: მოვჰკალი და არა მოვკალი!

* * *

### ელისო ჯანაშია:

მოკლედ, სანამ მომადგებიან, უნდა ვაღიარო, რომ მაფინანსებს ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინი. ჩემი გადაბირება 2004 წელს მოხდა, როცა მოსკოვში ,,ცუმ''-ში, ჩემი ბოლო დანაზოგით კაბის რიგში ვიდექი. გვერდზე მომიდგა ვიღაც მასხარის ფორმაში გადაცმული, მახსოვს, ქართულად დამელაპარაკა და სიგარეტი მთხოვა. ცხვირი წითლად ჰქონდა შეღებილი და თმები ჟღალისფრად. ქართლელური კილო ჰქონდა, სოფელ მეტეხში გაზრდილი უპატრონო ბიჭი ვარო. მამინაცვალი ხშირად მცემდაო. შემეცოდა და მახსოვს, ,,ბელამორის'' ბოლო ,,ბიჩოკი'' დავუტოვე. ,,ფუ, რა საზიზღრობაა, ამას როგორ ეწევიო''. მე ვუთხარი, რა ვქნა ქართველი ჟურნალისტი ვარ, მეტს არ მიხდიან-მეთქი. ე.ი. ,,რუსთავი2'' და ,,იმედიდან'' არ ყოფილხარო. გაკვირვებულმა შევხედე, საიდან იცის-მეთქი. ეგრევე მითხრა, მე გადაგიხდიო, ოღონდ ფოთის მერს აღმაშენებლის ხიდზე ლომები არ დაადგმევინოო, ხალხისთვის კერძო საკუთრება არ წაართმევინოო და თან მერის ფოტოები მომაწოდე პროფილში და ანფასშიო. მაცდური შემოთავაზება იყო. თითო ფოტოზე 10 000 რუბლს დამპირდნენ, რასაც დავთანხმდი. ფულს გიორგაძის კაცი, ქართველი რეპორტიორი აბდალაძე ხელზე მაძლევდა, ანუ რა გამოვდივარ ახლა მე? გიორგაძის კაცი? კაცი თუ ქალი? ტფუი.. ეშმაკმა დალახვროს!

თუმცა, ვაღიარებ, რომ ფოთის მერმა გაიგო ჩემი მზაკვრული გარიგების შესახებ და საჯაროდ მამხილა. ამის შემდეგ აბდალაძე და მისი მეგობრებიც დაიჭირეს და კარზე ყოველ დაკაკუნებაზე გული მისკდება. ვიცი, რომ მალე ჩემზეც გამოვლენ.

რა ერჩით? აღიარება, ტყვიას ტყვიაში აჯენს იმნაირი. ისე, ცოტა უფრო სერიოზულად თუ შეხედავთ, დღეს ამგვარი სურათია: ვინც ამათ დაკრულზე არ ცეკვავს, ან ამათია, მაგრამ რაიმეს მიჰქარავს, რუსეთის ჯაშუშობა საქმეში ურტყია, თანაც ,,დაგრიფული''. დღეს ჟურნალისტები სამ კატეგორიად იყოფიან: ისინი, ვინც სიამოვნებით აკეთებენ ხელისუფლების საქმეს, ანუ იგივე ხელისუფლებისა და სპეცსამსახურების წარმომადგენლები; მეორე, ხელისუფლების მძევლები, რომლებიც სიამოვნებით არა, მაგრამ შანტაჟით და იძულებით ემსახურებიან ბელადს და ყველა სხვა დანარჩენი-ჯაშუში და მოღალატეა, რომელთა გამოვლენა ვანოს ,,მაგარი'' სტრუქტურის წყალობით, ნელა, მაგრამ პერმანენტულად მიმდინარეობს.

ვაღიარებ, რა ვქნა, იქნებ შემიმსუბუქდეს სასჯელი.

* * *

### ანნა ბროლაძე:

ვაღიარებ, რომ მე ჟურნალისტი კი არა, ხელისუფლების მიერ კრიტიკულად განწყობილ არხში ჩანერგილი აგენტი ვარ.

ვაღიარებ, რომ ხელისუფლების მსგავსად ყველა ოპოზიციური პარტია ხელზე მიხდის თანხას, მათი საქებარი სიუჟეტების გასაკეთებლად და მე დამოუკიდებელი ჟურნალისტის საფარქვეშ ვმუშაობ კონსპირაციულად

ვაღიარებ, რაც თქვენ ჯერ არ იცით, სტენოგრამებიდან აღებული ინფორმაცია მაქვს, რომ კახა ბენდუქიძე მალე პროტესტის ნიშნად შიმშილს დაიწყებს, ოღონდ ჩუმ-ჩუმად ჩიზბურგერსა და ორმაგ ფრის გაუგზავნის თემურ ჭყონია;

ვაღიარებ, მე ქუჩაში ლუდის დალევა და დებოშის მოწყობა კანონდარღვევად არ ჩამეთვლება, რადგან შესაბამის უწყებებთან დაახლოებული პირი ვარ;

ვაღიარებ, რომ პრეზიდენტის ,,სადა და ფერებში შეხამებულ ჩაცმულობას'' ვაკრიტიკებ, ბოღმიანი ვარ და იმიტომ. გული მწყდება ბრენდების სამოსი მე რომ ვერ მაცვია;

ვაღიარებ და ნუ გამკიცხავთ, მიყვარს ქართული ესტრადა, ლელა წურწუმია და განსაკუთრებულად სოფო ნიჟარაძე;

ვაღიარებ, ,,ქუჩის ბიჭების'' სიმღერებზე გავიზარდე და გოგა ხაჩიძე მაშინ უფრო მომწონდა;

ვაღიარებ, რესტორნებში აკრძალულ რუსულ მელოდიებს სულ გულში ვმღერი და უცნობის ,,ვაგონი მიქრიზე'' ვცეკვავ (ოღონდ არაფხიზელი, რა თქმა უნდა).

ვაღიარებ, გუშინ საღამოს, ამოუცნობი მფრინავი ობიექტი დავინახე საკუთარი სამინებლიდან და მგონი რადიაციული ფონი ზედმეტად გაიზარდა მას შემდეგ, აბა ამდენი, ისიც საკუთარი ნებით, რატომ ვაღიარე?!

* * *

### დათო კოროშინაძე:

ვაღიარებ, რომ მძულს გალოთებული მამათა თაობა.

ვაღიარებ, რომ მძულს მამათა თაობიდან ისინი, ვინც შეძლო გამოკეტილიყო ფერად კედლებში და იქედან ეცქირა ჩვენთვის.

ვაღიარებ, რომ მძულს მამათა თაობიდან ისინი, ვინც გამუდმებით ცდილობენ ჩვენს პროევროპულ, პრორუსულ თუ პროქართულ ფსევდორეფორმას.

ვაღიარებ, რომ მძულს ტოტალიტარული რეჟიმი, რომელიც ყოველ საღამოს ახორციელებს ჩემზე ფსიქოლოგიურ ტერორს ქუჩებიდან, ტელევიზორიდან, გაზეთებიდან, ინტერნეტიდან და თითოეული მომხრე მავანისგან.

ვაღიარებ, რომ ჩემს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებით და მით უფრო გარემოებებით შემერყა ისედაც შერყეული ნერვული სისტემა და ახლა წამლების მარაგით და ხელის კანკალით შევყურებ ჩემს დახატულ ყოველ ახალ ტილოს.

ვაღიარებ, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და რომ სირცხვილია მასში შიმშილით და უსამართლობით სიკვდილი.

ვაღიარებ, რომ ქრისტე ჯვარს ეცვა, ჩვენ კი, ყოველდღე არარსებულ ჯვრებზე გვიპირებენ გაკვრას.

ვაღიარებ, რომ მეშინია სამართალდამცავი ორგანოების, რომლებიც ნამდვილად კარგად გვიცავენ, ისევე, როგორც იცავენ ქალიშვილი მეძავები საკუთარ საშოებს.

ვაღიარებ, რომ მეშინია ჰიბრიდული სიყვარულის მკვდარ საშოებთან, ფსიქოტერორთან და სიმშვიდის იმიტაციასთან.

ვაღიარებ, რომ არასდროს მინდა შევქმნა ოჯახი და მყავდეს შვილები ამ სიცრუეში.

ვაღიარებ, რომ ისევე მძულს, როგორც მიყვარს ეს დაწყევლილი მიწის ნაგლეჯი.

ვაღიარებ, რომ მძულს კომუნიზმი, რომლის გადაღებვასაც ყოველდღე ცდილობენ.

ვაღიარებ, რომ მძულს პოსტსაბჭოური ნაბიჭვრების ამალა.

ვაღიარებ, რომ ჩემში ყოველდღე ნელ-ნელა კვდება პროტესტისუნარიანობა და ყოველივე ნიჰილისტ მონსტრს ემსგავსება, რომელსაც ვცდილობ არ დავემორჩილო.

ვაღიარებ, რომ ამ ყველაფრის გამო იძულებული ვარ კვლავ ვითამაშო.

ვაღიარებ, რომ არქაულ სუბკულტურას, ლითონურ წესებს და რუტინულ ბანალობას ყელში დანასავით ვყავარ გაჩრილი და ერთი სული აქვთ როდის ამომაფურთხებენ.

ვაღიარებ, რომ ვაღიარე საკუთარი თავი.

ვაღიარებ ნიცშეს.

ვაღიარებ ფროიდს.

ვაღიარებ ანარქიას.

ვაღიარებ არალეგალურ ხელოვნებას.

ვაღიარებ, რომ არალეგალურ ხელოვნებას მოვიხმარ.

ვაღიარებ, რომ ჩემს ქვეყანაში თვითონ ვხდები არალეგალი.

ვაღიარებ, რომ ყოველდღე აუარებელი რაოდენობით თამბაქოს ვეწევი.

ვაღიარებ, რომ ზოგჯერ უგონოდ მთვრალი დავსეირნობ ქუჩებში.

ვაღიარებ, რომ ხშირად მახსენდება ჩერნობილის აფეთქება.

ვაღიარებ, რომ არც არაფერი განსაკუთრებული მოხდება,

რომ არ არსებობენ გმირები,

რომ რეალური გმირები გამჭვირვალე შუშაში დგანან და გამუდმებით ტრაკს გვიწითლებენ, შემდეგ კი ჩვენზე გადამტყდარ ჯოხებს გვაყვედრებენ და გვეჩხუბებიან.

* * *

### თეა სიჭინავა:

მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს ბევრი არაფერი მაქვს სათქმელი.

ბოლო დროს იმდენი ცუდი რამ ხდება, რომ ვაღიარებ, არ მიჭირს სიმართლის დადგენა და ეს სიმართლე, ძალიან მძიმედ აღსაქმელია.

მე უკვე აღარ ვიცი, რა ითვლება ქვეყანაში ჯაშუშობად, მაგრამ ვიცი ის, რისი წარმოჩენაც სურთ.

თუ ჟურნალისტობა ითვლება ჯაშუშობად, მაშინ მე ვაღიარებ, რომ მიყვარს ჩემი პროფესია და ვარ ჟურნალისტი. ვაღიარებ, რომ ყოველდღიურად გადაცემაში განსხვავებული აზრის მქონე ადამაინებს ვიწვევ.

ვაღიარებ, რომ ვსაუბრობ იმაზე, რასაც რეალურად ვხედავ და არა რასაც მკარნახობენ. კიდევ იმას ვაღიარებ, რომ დევნილი ვარ (მგონი ესეც დანაშაულად ითვლება);

ვაღიარებ, რომ მაქვს აფხაზური სისხლი;

ვაღიარებ, რომ ძალიან მინდა სოხუმში დაბრუნება;

ვაღიარებ, რომ ვერ ვეგუები უსამართლობას;

ვაღიარებ, რომ მინდა დავიცვა პროფესიული სტანდარტები;

ბოლოს იმასაც ვაღიარებ, რომ ამდენი პრობლემის მიუხედავად, ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა და აქედან წასვლას აზრადაც არ გავივლებ;

ვაღიარებ, რომ მე ვარ თეა სიჭინავა, ჟურნალისტი სოხუმიდან.

* * *

### დიმიტრი მონიავა:

მე ვაღიარებ, რომ იმ წელს უჩვეულოდ ცხელი ნოემბერი იყო. ისე, რომ იცოდეთ, ოპტიკურ სამიზნეში ქალის სახე განსაკუთრებით ლამაზი და მიმზიდველი ჩანს.

,,ნახე, უბრალოდ ნახე, რა ქალია, - ემოციურად ჩურჩულებდა ჩემი მეწყვილე, - ფრთხილად, შემთხვევით არ მოარტყა''.

,,ასეთი ქალისთვის - მივუგე ჩუმად, - მთელი მსოფლიო არ კმარა'' და რატომღაც გავიფიქრე, რომ ეს ქალი მშვენიერ თეთრ პეპელას ჰგავს, რომლის სიცოცხლე და ბედნიერება მხოლოდ ერთ დღეს გრძელდება. ეს მომენტი არასდროს დამავიწყდება. ორიოდე წამში კი პრეზიდენტ კენედის პირველი ტყვია მოხვდა, შემდეგ მეორე. თუმცა დანარჩენი ისედაც იცით. შემდეგ, ,,ცივი ომის'' ხიფათიან გზებზე არაერთი კილომეტრის გავლა მომიწია. იმაზე, თუ როგორ შევიპყარი ვიეტნამში ცნობილი ამერიკელი მფრინავი ჯონ მაკკეინი, ძალიან მალე მოგითხრობთ, თუმცა ის დღე მაინც გამორჩეული იყო.

მე მუდამ მემახსოვრება ჟაკლინის სახე, რომელსაც ოპტიკური სამიზნით ვუცქერდი ღვთისგან მივიწყებულ ქალაქ დალასში, დაუვიწყარი 1963 წლის სევდიან 22 ნოემბერს.

* * *

### რომან ქევხიშვილი:

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ, ბ-ნ ივანე მერაბიშვილს, ჟურნალისტ რომან ქევხიშვილის აღიარებითი ჩვენება. ბატონო ივანე, მე ვაღიარებ, რომ ვარ ჯაშუში, ქვეყნის და ვარდების ხელისუფლების მოღალატე, მე ვერ დავინახე თქვენს მიერ ხალხის სასიკეთოდ გატარებული რეფორმები და ქვეყნის მტერთან დავიწყე თანამშრომლობა. ვაღიარებ, რომ საინფორმაციო პორტალი ,,GeoTop-News''-ი, რომელიც 2009 წლიდან ფუნქციონირებს, დაფინანსებულია დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს ლიდერის, ნინო ბურჯანაძის მამის, ანზორ ბურჯანაძის მიერ, რომელსაც ბებიაჩემის (მამის დედის) ბაბულია ბართლომეს ასული ონაშვილის მეშვეობით დავუკავშირდი. ბებია წარმოშობით ცაგერის რაიონის სოფელ ორბელიდან იყო, მთელი ბავშვობა ერთად გაუტარებიათ ანზორ ბურჯანაძეს და ბებიაჩემს. ამ ნაცნობობამ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩემ წარმატებაში. ბებია დაუკავშირდა ბატონ ანზორს და სთხოვა, რომ ჩემთვის მაგისტრატურაში სწავლის ფული გადაეხადა. ხოლო რაც ბატონმა ანზორმა გაიგო, რომ ჟურნალისტი ვიყავი, ბებიას შესთავაზა, ჩემი ნინო გავაცნოთო.

ნინო ანზორის ას. ბურჯანაძე 2008 წელს გავიცანი. ჩვენი შეხვედრა ოკუპირებულ კოდორის ხეობაში მოხდა. ცაგერიდან გადავედით, შეხვედრას ემზარ კვიციანიც ესწრებოდა და შევთანხმდით, რომ ბატონი ანზორი ჩემ სწავლას დააფინანსებდა, ხოლო ქალბატონი ნინო ბურჯანაძე კი დამეხმარებოდა ფინანსურად საინფორმაციო პორტალის გაკეთებაში. ჩვენი შეთანხმების მიხედვით, მე არ უნდა დამეფიქსირებინა ღიად ბურჯანაძის პარტიის მიმართ სიმპათია, ზოგჯერ უნდა მეკრიტიკებინა კიდეც, ორონდ, როდესაც იგი ,,გრუს'' ჯარებს წამოუძღვებოდა, მე ვიქნებოდი პირველი ჟურნალისტი, ვინც ამ კადრებს ექსკლუზიურად გადაიღებდა. შეხვედრა, რომელიც ბებიაჩემის და ანზორ ბურჯანაძის ორგანიზებით კოდორის ხეობაში გაიმართა, სადაც ჩემი და ბურჯანაძეების შეთანხმება მოხდა, ქალბატონმა ნორა კვიციანმა აღბეჭდა სამოყვარულო ვიდეოკამერით. კასეტა მოგვიანებით გაიგზავნა კრემლში, ასლი არ არსებობს, ამიტომ მე ვაღიარებ, რომ ვარ ჯაშუში და ქვეყნის მოღალატე!!!

* * *

### ნათია ახალაია:

,,შეიძლება სულელი ვარ, მაგრამ რაღაც არ მესმის და იქნებ ამიხსნათ: თუ ის ფოტოგრაფები უდანაშაულოები არიან და ეს მთავრობამ იცის, ისინი დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ და ბოდიშიც მოუხადონ. მაგრამ თუ მთავრობას სწამს, რომ ჯაშუშები არიან, თავდებით რატომ უნდა გამოუშვას?'' - გია ნოდია.

დიახ, რატომ უნდა გამოუშვას, თუკი მთავრობას სწამს?!

და რატომ უნდა გავაპროტესტოთ, თუკი ჩვენ არ გვჯერა?!

ისევ ნოდია: პატივცემულ ჟურნალისტურ სინოდს მართლა სჯეროდა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი უტყუარ მტკიცებულებას დაუდებდა თუ თავს იდებილებს? რატომ უნდა დაედო მინისტრს მათთვის მტკიცებულებები: სასამართლო არიან?

ჯაშუშებისა და ჯალათების ქვეყნად ქცეულ ჩვენს სამშობლოში სამართლის უზენაესობა კოლექტიური ნოდიას ინტელექტუალური მხარდაჭერით განისაზღვრება.

ეს ჩვენი არჩევანია.

და სწორედ ამიტომ, ახლა გიორგი აბდალაძეს, როგორც ჩვენს ბოლო იმედს ,,ფოტოგრაფების საქმეში'', ვანოს სამართალი ალაპარაკებს: ვაღიარებ, რომ დანარჩენი ტექსტი, რომელიც დღეიდან სინქრონულ რეჟიმში ისმის ჰებელსის ტელევიზიებიდან, ჩემთვის უცნობია, აღარ მაინტერესებს.

ზნეობრივი კრიზისის მქონე ინტელექტუალების ტვინითა და სინდისით ნაკვებ ჯოჯოხეთს ახლა ჯაშუშების ჩვენებებიღა აცოცხლებს. მალე შეიძლება ჩვენც - რიგრიგობით ყველამ, ვაღიაროთ სამშობლოს ღალატი - სიკვდილის მარწუხების ქვეშ გაწოლილებმა, როგორც შეგუების საზღაური. ახლა ჩვენ სათითაოდ ავდივართ ჩვენივე ხელით ნაჭედ გილიოტინაზე. ახლა ჯალათი სათითაოდ გვიახლოვდება. არ გსურთ სიკვდილი?

* * *

### ელისო ჩაფიძე:

შინაგან საქმეთა მინისტრს, ბატონ ვანო მერაბიშვილს! გუშინ მოვისმინე შსს-ს განცხადება რუსთავი-2-ზე, მივხვდი, რომ დროა, გამოვცხადდე და ვითანამშრომლო თქვენთან. ამიტომ კარგად დავფიქრდი და გადავწყვიტე, მთელი ჩემი ცოდვები თქვენს წინაშე ვაღიარო.

უპირველესად, ვაღიარებ, რომ ვარ ადამიანი. ამ საშინელ ამბავს ვერაფერი მოვუხერხე. რა ვქნა, სკოლასა და სახლში ასე მზრდიდნენ, ვკითხულობდი ბიძია თომას ქოხსა და მარკ ტვენის საბავშვო რომანებს, მაინ რიდსა და ჯეკ ლონდონს და შედეგი სახეზეა... ვერა და ვერ მივეჩვიე, მიხაროდეს, ვამართლებდე და ტაშს ვუკრავდე ადამიანების მკვლელობას, სახლებიდან გამოყრას, გაუპატიურებას. იმედი მაქვს, თქვენი მეცადინეობით ამ საშინელი სენისგან ოდესმე განვთავისუფლდები და გავხდები ის ახალი ადამიანი, თქვენ რომ ოცნებობთ - ახალი საქართველოს მოქალაქე, რომელიც მზადაა, უპირობოდ დაუჭიროს მხარი, დაუკრას ტაში და თუ საჭიროა, სცემოს კიდეც სხვა მოქალაქეები ხელისუფლების დიადი იდეების დასაცავად.

ასევე ვაღიარებ, მიყვარს ჩემი ქვეყანა, ვარ ქართველი და ძალიან განვიცდი ქართველების გადაჯიშება-გადაშენების პროცესს რომ ვუყურებ, დევნილების წამებას და ყველაფერი ეროვნულისა და ტრადიციულის გოიმობად გამოცხადებას. ვაღიარებ, რომ ერთ დღეს ილიას უნივერსიტეტში რომ მოვისმინე, ჩემთვის აქ ყოფნა თავისუფლების ნიშანია და იმის, რომ ყურს რამდენჯერაც მინდა, იმდენჯერ გავიხვრეტო, გამეცინა. ალბათ, ჩემი ეს მკრეხელური გამოხტომა უკვე დაფიქსირებულია შესაბამისი ვიდეო-აპარატურით, მაგრამ მაინც ვაღიარებ.

ვაღიარებ, რომ მიყვარს ჩვენი რელიგია - მართლმადიდებლობა. დალაი ლამასაც შევხვდი, ბაპტისტებსა და კათოლიკეებსაც ბევრი ვესაუბრე, ისლამსაც პატივს ვცემ და მუსლიმანების გულისტკვილიც მესმის, მაგრამ რატომღაც ვთვლი, რომ ქრისტიანობა თავისი სიყვარულით ადამიანისა და დედამიწის მიმართ ყველაზე ჰუმანური და ღრმად ფილოსოფიური რელიგიაა. მიყვარს, როგორც ჩემი იდენტობის ნაწილი, ჩემი ბავშვობის ბებიასდროინდელი ლოცვებიდან ნასწავლი ფრაზები. იმასაც ვაღიარებ, რომ ჩემი თავი ძალიან ხშირად არ მომწონს და ვთვლი, რომ არ ვარ ღირსეული ქრისტიანი, მაგრამ ჩემი ღმერთი კეთილია და დიდსულოვანი. ყოველთვის შემიძლია, მივიდე მასთან და შემიფაროს, ამ აღიარების შემდეგაც კი.

ვინ გადამიბირა? ყველაფერი, რაზეც ზემოთ გესაუბრეთ, ბაბუაჩემ ალექსანდრე ჩაფიძისა და ბებიაჩემ მარიამ ბოჭორიშვილის ბრალია. მათ გადამიბირეს. მასწავლიდნენ ქართულ ლექსებს, მაკითხებდნენ მოთხრობებს, ვაჟას, გალაკტიონს. ჩემი ქართული ენის პედაგოგს, ბონდო კირკიტაძეს ვაბარებდი შემდეგ ამ ინფორმაციას. ის კი ასევე საათობით მესაუბრებოდა ვაჟაზე, ილიაზე, აკაკიზე, გალაკტიონზე.

ისინი ახლა ნამდვილად სხვა ქვეყანაში არიან, ამიტომ იმედი მაქვს, რომ ველარ დააპატიმრებთ და ვერ მიიღებთ ასეთ აღიარებით ჩვენებებს.

ვაღიარებ, რომ სუსტი ვარ, ქალი ვარ და ადამიანიც მყვარებია. ვაღიარებ, რომ მისტერ პიტუა ვარ. ესაა ჩემი კომენტარი, როგორც კოხორა იტყოდა.

* * *

### ნათია ორველაშვილი:

მე ვაღიარებ, რომ ტელევიზია, რომელშიც ვმუშაობ, ხან ნინო ბურჯანაძის ფულით მაძლევს ხელფასს, ხან ზურაბ ნოღაიდელის. ადრე იგორ გიორგაძეც გვეხმარებოდა ხოლმე, მაგრამ მერე რაღაც დაგვივიწყა. ვაღიარებ, რომ ტელეკომპანია ,,კავკასიაში'' ჩამნერგა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა და ამ ეტაპზე ვაგროვებ ინფორმაციას ნინო ჯანგირაშვილის და დავით აქუბარდიას დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ.

ვაღიარებ, რომ ძალიან ვისიამოვნე ,,მოდელირებული ქრონიკით'' და ვისურვებდი, რომ კიდევ ბევრი ასეთი გადაცემა გავიდეს ეთერში. ვამაყობ ყველა ჟურნალისტით და მთელი ტექნიკური ჯგუფით, რომელიც მონაწილეობდა ამ გადაცემის შექმნაში.

ჩემი საყვარელი ფილმია ,,აგვისტოს ხუთი დღე''. მჯერა, რომ სწორედ ამ ფილმის ნახვის შემდეგ მსოფლიო თითს დაუქნევს რუსეთს და სასწრაფო წესით მოხდება დეოკუპაცია.

ვაღიარებ, რომ გულის სიღრმეში გია თორთლაძის ამომრჩეველი ვარ და მიმაჩნია, რომ ოკუპაციის საწინააღმდეგო ბუკლეტების სხვადასხვა მწვერვალებზე დატოვებით საშვილიშვილო საქმეს აკეთებს. ვაღიარებ, რომ მჯერა - მისი მოწოდების მერე ჩრდილოატლანტიკური ალიანსი უფრო ფართოდ გაგვიღებს კარს და ზურგზე ხელსაც წაგვკრავს - შემოდით, ნუ გერიდებათ, თქვენს გარეშე ნატო რა ნატოაო. მე ვაღიარებ გია თორთლაძეს.

ვაღიარებ, რომ გრიგოლ ვაშაძე ყველა დროის საუკეთესო მინისტრია. აქვე მინდა ბოდიში მოვუხადო მას ჩემი ყველა ეჭვისა და ზედმეტად დასმული კითხვისთვის.

ვაღიარებ, რომ მჯერა შინაგან საქმეთა სამინისტროს გამჭვირვალობის.

ისემც მაგათ რა ვუთხარი. ვერ გავქაჩე ბოლომდე.

* * *

### ლალი ჩხაიძე:

პირდაპირ დავიწყებ. თავის მართლებას აზრი აღარ აქვს... ჩემი პრეზიდენტი, ჩემი მთავრობა ძალას და შესაძლებლობას არ იშურებს ჩემთვის. მაგრამ მე, უგუნურს, არაფრის დანახვა არ შემიძლია. იმის მაგივრად, რომ მადლობა გადავუხადო და სიკეთე დავუფასო, ჩემს წერილებში მათ მოქმედებებს, ძირითადად, ვაკრიტიკებ. დაუნახავი ვარ, უმადური!

ვაღიარებ, რომ არ ვარ ღირსი იმისა, რასაც ჩემი მთავრობა ჩემთვის აკეთებს. ჩემი პრეზიდენტი, ჩემი პარლამენტი, ჩემი მინისტრები და სამინისტროები დაუღალავად, დღედაღამე შრომობენ იმისთვის, რომ უკეთესად ვიცხოვრო, რომ კარგი განათლება მივიღო, კარგი სამსახური მქონდეს, კომფორტულად ვიცხოვრო. მაგრამ მე ბრმა, ყრუ ვარ! ვერაფერს ვხედავ და არაფერი მესმის! სხვაგვარად როგორღა უნდა დამიმტკიცოს ჩემმა საყვარელმა პრეზიდენტმა და თავისმა შემოგარენმა, რომ მთავარი მე ვარ და ჩემი მომავალი! ეეჰ, უმადურობას რა ვუთხარი.

მილიონობით ტურისტი მოისწრაფის ჩემი ქვეყნისკენ. მარტო მე მინდა აქედან გაქცევა! მილიონობით ადამიანი ხედავს, როგორ ვითარდება ჩემი ქვეყანა, რა სიხარულით უმღერიან ქართველებს პიაცაზე მსოფლიო ვარსკვლავები! მე ვარ ერთადერთი ბრმა!

მთელი დედამიწა ხედავს, როგორ საუბრობენ საქართველოზე მსოფლიოს ყველაზე წარმატებული ტელევიზიები. ყველა გამჭრიახია, ყველა აფასებს, ყველა მადლობელია, ყველა ჩემ გარდა!

მხოლოდ მე ვერ ვხედავ სარკისებურ შენობებს, რომელსაც მზე საოცრად აბრჭყვიალებს. მარტო მე ვერ ვხედავ ,,რადისონისა'' და ,,შერატონის'' ბრწყინვალებას! მხოლოდ მე ვერ ვხედავ, რომ ქვეყანაში არ ხდება მკვლელობა, ძალადობა, უსამართლობა, უკანონობა!

მე ერთადერთი ვარ, ვისაც არ უნდა დანახვა, როგორ იაფდება ყოველგვარი გადასახადი! ჩემ გარდა ყველა ხედავს, როგორ იაფდება პროდუქტი! პენსიონერები კმაყოფილები ამბობენ, გაზრდილ პენსიას ერთ თვეში ვერ ვხარჯავთო, ორ თვეში ერთხელ რომ დაგვირიგოთ პენსია, მაინც გვეყოფაო. მე ვარ ერთადერთი უკმაყოფილო უგუნური, რომელიც ვერ იჯერებს, როგორ ყოფნით პენსიონერებს პენსია!

მარტო მე ვფიქრობ, რომ შსს თავისი ადმინისტრაციული შენობებით და თანამშრომლებით გაუმჭვირვალეა! ვერავინ ხედავს უსამართლობას ჩემ გარდა! ყველა ფიქრობს, რომ შსს-ს მიერ გამოქვეყნებული უკლებლივ ყველა ვიდეომასალა ნამდვილია. მარტო მე უგუნურს მეპარება ეჭვი!

ყველა ფიქრობს, რომ ჩვენი საყვარელი ხელისუფლება არ აკონტროლებს მედიას. მე რატომ ვფიქრობ სხვაგვარად, ვერავინ ხვდება. მეც მიჭირს ჩემი უგუნურობის ახსნა! ყველას უნდა დემოკრატია ჩემ გარდა! ყველა ლიბერალია ჩემ გარდა!

მარტო მე მიმაჩნია მართლმადიდებელი მრევლი ჩამორჩენილებად! მე ვარ ერთადერთი, ვისაც გაუხარდა, დასუფთავების გადასახადი ერთ კილოვატ დახარჯულ ელექტროენერგიაზე 5 თეთრი რომ გახდა!

მარტო მე მგონია სასამართლო უსამართლო!

ვაღიარებ, რომ ყველაზე უმადური, უგუნური და უკმაყოფილო მოქალაქე ვარ! გულს მიკლავს ამ ყველაფრის აღიარება. მე ხომ აქამდე ასე უსირცხვილოდ და უგულოდ ვექცეოდი ჩემს პრეზიდენტს, ჩემს პარლამენტს, ჩემს მინისტრებს და სამინისტროებს - ჩემს მოამაგეებს. მე ხომ არ ვაფასებ მათ ღვაწლს და თავდადებას! მე ხომ გააზრებაც არ შემიძლია, რარიგ დემოკრატები არიან ისინი!

ჩემო პრეზიდენტო, ჩემო პარლამენტო, ჩემო გამჭვირვალე შენობებში მომუშავე პატრიოტებო, ჩემო სამართლიანო სასამართლოვ, ჩემო ,,რადისონში'' და ,,შერატონში'' მოფუსფუსე ელიტავ, იქნებ შეძლოთ ჩემი გამოსწორება, იქნებ დამეხმაროთ. გპირდებით, ვიტყვი იმას, რაც თქვენს, ჩემთვის თავდადებულ გულებს ესიამოვნებათ! თვალს დავხუჭავ მაშინ, როცა თქვენ მოგინდებათ! დავთესავ გენმოდიფიცირებულ სიმინდს, უსიტყვოდ გადავიხდი კომუნალურ გადასახადებს, შევერკინები ყველას, ვისაც თქვენზე აუგი წამოსცდება. ვაღიარებ თქვენს დიდებას, ძალას, უფლებას, ძალაუფლებას. ვაღიარებ თქვენს უზენაესობასა და სამართალს! ჰოი, ჩემო მხსნელებო; ჰოი, ჩემო, ვარდის სურნელით გაჟღენთილო მთავრობავ!

## კითხულობ 104 წლის წინ დაწერილ მოთხრობას და ასე გგონია, ახლახან დაიწერა!

არ ერიდებიან ერთმანეთს, სცხოვრობენ თანხმობით და ურთიერთშორის კეთილგანწყობილებით. თუ ვინმე სხვისი ოფლით და სხვისი შრომით მხოლოდ თვითონ ხელს ითბობს და მუცელს იძღობს, ეს აღარ იქნება ,,ერთობა''. იმ დღეს შენ არ იყავ, რომ შენ და შენი ამხანაგები ფაიტონში ისხედით, სეირნობდით და მეფაიტონეს კი ფული არ მიეცით. როცა იმან ფული მოგთხოვათ, თქვენ მიაძახეთ: ,,ერთობაა''! კარგია, შენმა მზემ, მეფაიტონე მთელ დღეს და ღამეს სიცხეში და სიცივეში ფაიტონზე იჯდეს, ცხენებს უვლიდეს და ჰკვებდეს, ფაიტონს სცვეთდეს, რომ არსობითი საზრდო იშოვოს და შენ კი შენი ,,ძმა ბიჭებით'' მუქთად ისეირნოთ!

თავისუფლება მაშინ არის, როდესაც ადამიანი სინდისიერად ირჯება, შრომობს, საქმეს აკეთებს და ამ სინდისიერ და პატიოსან შრომას წინ არავინ ეღობება.

ძმობა არის, როდესაც ყველას პატივისცემით ეპყრობი. იესო ქრისტემ სთქვა: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისიო. მოყვასი, ჩემო შვილო, არის ყოველი ადამიანი, რა ეროვნებისა, რა წოდებისა, რა სარწმუნოებისა და რა შეძლებისაც უნდა იყოს. მაშასადამე, ყველას პატივისცემით უნდა მოექცე. მისი პიროვნება, მისი ზნეობა, მათი თავმოყვარეობა არ უნდა შებღალო. მოკლედ რომ გითხრა, ყველას ისე უნდა მოექცე, როგორც გინდა რომ შენ მოგექცნენ. ზოგიერთ რუსებმა იციან, - როდესაც ქართველს დაინახავენ, დაცინვით იტყვიან ხოლმე: ,,ახ ტი გრუზო'', სომეხი თუ დაინახეს ,,ახ ტი არმიანკა''. ამის მთქმელი, ჩემო შვილო, არც ქრისტიანია და არც ძმობა სწამს!

ეხლა მე შენ, ჩემო შვილო, გიამბე, რა არის ძმობა, ერთობა და თავისუფლება. ახლა შენ დაუკვირდი, ჩაიხედე სულის სარკეში და გულახდილად მითხარი: არის ისეთი ძმობა, რომ ყოველი ადამიანი, განურჩევლად ეროვნებისა, წოდებისა, შეძლებისა და განვითარებისა, ისე ექცეოდეს ადამიანს, როგორც უნდა რომ მას მოექცეს?! არის ისეთი ერთობა, რომ ჩინიანსა და უჩინოს, მდიდარსა და ღარიბს, ძლიერსა და უძლურს, ნასწავლსა და უსწავლს შორის იყოს თანხმობა და კეთილგანწყობილება, რომ ერთმანეთს არ სჩაგრავდნენ, ერთმანეთს არ აწუხებდნენ და თავის ბედნიერებას სხვის უბედურებაზედ არ ამყარებდეს?!

არის ისეთი ძმობა, რომ კაცის პატიოსნურ და სინდისიერ შრომას, გამრჯელობას და მეცადინეობას ყველა პატიოსნად ეპყრობოდეს და წინ არავინ ელობებოდეს?!

ცხრამეტი საუკუნის წინათ იესო ქრისტემ გვიქადაგა და მცნება მოგვცა:

- გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი.
- მიუტევე შეცოდებანი თვისნი.
- იყავით უმანკონი, ვითარცა მტრედი...

ცხრამეტი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ძმობაზე, სიყვარულზე გვიქადაგა. ცხრამეტი ასი წელიწადი გავიდა, რაც ქრისტიანობა დამყარდა, მაგრამ ქრისტიანებში ქრისტიანობა არ განხორციელებულა, სიძულვილი, შურისძიება, უთანხმოება, ამპარტავნობა, უკადრისობა, ანგართმოყვარეობა, ორპირობა, ღალატი, მლიქვნელობა, დაჩაგრვა, ძალმომრეობა, ლოთობა, მრუშობა - ვგონებ ქრისტიანებში უფრო გახელებულია, ვიდრე ზოგიერთ სხვა სარწმუნოების მქონე ხალხში.

და თუ თქვენ, ჩემო შვილო, გინდათ ატაროთ დროშა ,,სამებისა'' - ძმობა-ერთობა-თავისუფლებისა, გინდათ ატაროთ დროშა სიმართლისა და პატიოსნებისა, მაშინ საჭიროა, როგორც ზემოთ გითხარი, ზნეობრიული განვითარებაც, ესე იგი ზემოთ ჩამოთვლილი ზნეობრიული ნაკლულევანებათა დათრგუნვა.

აბა მითხარი: ხომ არის შენში ის ზნეობრიული ნაკლულევანებათაგანი, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალე? თუ არის, მითხარი, გიზრუნვია როისმე რომ გაისწორო, ან ამოფხვრა იგი შენის ბუნებიდგან?

შვილი ჩაფიქრდა, კარგა ხანს ხმა არ ამოიღო. მამამ დააბოლოვა: თუ თუთიყუშივით უაზროდ, უმნიშვნელოდ წარამარა იყვირეთ: გაუმარჯოს ძმობას, ერთობას და თავისუფლებას, მერწმუნე ყვირილით და ცარიელი სიტყვების რახა-რუხით არც არა გაკეთებულა და არც არა გაკეთდება რა. კერძოდ შენ, ჩემო შვილო, და შენი ამქრები თუ ზნეობრიულად არ განსპეტაკდებით, ნუ გექნებათ იმედი, რომ მომავალში თქვენ სასარგებლო შეიქმნეთ ოჯახისა და სამშობლოსათვის.

მასწავლებელი **ანდრია ბენაშვილი**,
1907 წ. 1 დეკემბერი

ის სადღეგრძელო, რაც საწმისში იდო, სამარეში ჩატანა ისე, რომ სხვებისას არავისთვის გაუმხელია. თორემ ან მედეა, ან ყველაფრის შემდეგ ვიღაც კოლხი ელადაში ჩამოიყვანდა ვერძის ტყავს გასატაცებლად. თანაც ისეთი უსარგებლო გახდა ეს ნაქურდალი, რომ ყველა ელადელი სახარულით დაიცლიდა ხელს ამ ჩვენთვის სამარცხვინო ნივთისგან. ესეც კი სინდისის საწამებლად დაგვიტოვა აიეტმა მთელს ელადას.

დაიკარგა ოქროს საწმისის დიდება ელადის ცის ქვეშ და ევქსინის ტალღებმა შთანთქეს მისი მომხიბვლობა მაშინ, როცა კოლხეთის ცის ქვეშ პონტოის ტალღათა შხრიალში [illegible]

ყველაზე ძნელი და ყველაზე უდიდესი მაინც მედეასთან ვიყავი. ვერ ვიპოვე კაცად მის წინაშე. [illegible]

ჩემი დახმარება კი არაერთი ღამის ნაფიქრის შედეგია. უბრალოდ მე არ ვიცი, რა ღირებული ჩადო მედეამ ამ ფიქრში - ყველაფერი, ოღონდ არა სიყვარული. ეს ბუნებრივადაც შეუძლებელია, შეიყვარო კაცი გააზრებულად, რომელიც არც მეტი და არც ნაკლები - მეკობრეა და ეს მან საუკეთესოდ იცის, ვიცი მეც, რომ მან ეს იცის და მანაც იცის, რომ მეც ვიცი ის, რაც მან იცის. მიუხედავად ამისა, განუდგა მამას და დამეხმარა, მე კი დახმარების ხელი სრულფასოვნად არ მივილე, არ ვენდე, და მიტომ. ამ უნდობლობაში მაინც ვყოფილიყავი გულწრფელი და მართალი?! არა, უნდობლობის საფუძველს არ მაძლევდა მედეა. ეს იყო, რომ არ მინდოდა, ვინმეს ეთქვა, ქალის დახმარებით გაიტაცა ოქროს საწმისი იაზონმაო და არ დავაცალე დათქმული პირობის შესრულების ბოლომდე მიყვანა, ისე მოვიპარე საწმისი. მაინც იმას ამბობენ, რის თქმასაც ასე-რიგად ვერიდებოდი და წყობიდან გამოვყავარ, სხვა რომ ამბობს ამას. ყველაფრის შემდეგ რა წარმოდგენა უნდა ჰქონოდა მას ჩემზე, ცხადია, მაგრამ მაინც წამომყვა.

ჰოდა, ასეთ მტკიცე გადაწყვეტილებამიღებულს ვინმე რამეს გადააფიქრებინებდა?

თუნდაც ღვიძლი ძმა?

არა.

მაშინ, რატომ მოვკალი აფსირტე?

მხოლოდ და მხოლოდ მედეას თავმოყვარეობის დასათრგუნად...

და რა მოვიგეთ ამით?

სრულებით არაფერი.

კიდევ ერთი კითხვა: თუ შეიძლება ჩემი შეყვარება და მაინც ისე ძლიერად, რომ სატრფომ უღალატოს მამულს და მამას, ვერ წარმოვიდგენ!!!

როგორ წარმოვაჩინე ჩემი თავი ქალის წინაშე?!

როგორც სუსტმა და უფხო კაცმა, რომელსაც არ შესწევს ძალა თავისით გაიკვლიოს გზა გამარჯვებისკენ, გზა, რომელიც თვითონვე აირჩია. ასეთი კაცები ქალების სიბრალულს იწვევს და არა სიყვარულს, მითუმეტეს ბრმად მინდობილ სიყვარულს. შეუძლებელი იყო მედეას შევყვარებოდი ისეთი, როგორიც კოლხეთში ჩავედი...

და თუნდაც ისეთი,

და მით უფრო ისეთი,

როგორიც ახლა ვარ.

ჩემდამი სიბრალულმა მედეაში განამტკიცა თვითდაჯერებულობა, რისთვისაც დაისაჯა კიდეც, მაგრამ ასეთი სასყიდლითა და სასჯელით? ეს მეტის მეტი იყო მისთვის. იგი მე ვერასდროს შემიყვარებდა იმ წრფელი გულით, როგორადაც უყვართ ერთმანეთი მიჯნურებს, ცოლ-ქმარსა და საყვარლებს იმიტომაც, რომ მთელი ჩემი სიმდაბლე დაუფარავად და გულუხვად გამოვამჟღავნე მის წინაშე, ქალებს კი არ უყვართ მასზე დამოკიდებული კაცები. ჩემდამი მისი ზიზღი მაცოფებდა და ამის დამალვა არც კი უცდია აფსირტეს მოკვლის შემდეგ. მე კი მინდოდა, ვყვარებოდი ჩემს ცოლს. ვერ დავთრგუნე მისი გულამაყი ბუნება, იგი ჩემს საძრახის თავგადასავლებს დაჰყვა და არ დამორჩილდა. ყველა გზით ვეცადე მაში მომესპო პიროვნება, პირიქით კი მოხდა, მან დამიმორჩილა თავისი ჩემდამი გულგრილობით და გაანიავა ჩემში ის პიროვნება, რაც კი იყო და თუ იყო მაინც.

რისთვის უნდა ვყვარებოდი მედეას, რა დამსახურება მიმიძღვის მის წინაშე?

ძმა რომ მოვუკალი, ამისთვის?

ასეთი ქმედებებისთვის არავის არავინ უყვარდება. არც კი მიცდია, მედეას გული მომეგო. მან კი ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მცირეოდენი ყურადღება მაინც დამეთმო მისთვის, მაგრამ არც იგი ცდილობდა შემყვარებოდა. მე მინდოდა, რომ მას გამოემჟღავნებინა წადილი იმისა, რომ შემყვარებოდა. არა, მედეას ჩემთან კავშირი სხვა რამეს ითვალისწინებდა, და არა სიყვარულს. პელიასის ნაგიჟარ შვილებს მამამისი ავაკეპვინეთ, მედეას კი დავაბრალეთ. წარბიც არ შეტოკე- [illegible] გაქცევაშიც. იქამდე, აფსირტეს მოკვდინებისას - მან იმთავითვე იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე და წინდაწინვე თადარიგი დაიჭირა. აი, მე არ ვიცოდი, ვისთან მქონდა საქმე.

არ დააზანა ბედისწერამაც.

მედეამ იცოდა, რას და რატომ აკეთებდა,

მე კი მინდოდა მცოდნოდა, რას და რატომ ვაკეთებდი.

მან ის გააკეთა, რაც უნდოდა,

მე კი ვერ გავაკეთე, რაც მინდოდა და მედეას ხელი შევუშალე იმ შედეგის მომკაში, რაც დათესა.

იგი არასოდეს დამცილდებოდა მე, რადგან მისი მომავალი და ჩემი მომავალი ერთად განსაზღვრა მან და არა მე. ყოველ შემთხვევაში ცუდს მომავალი არ მიქადდა მასთან ერთად თანაცხოვრებით. მე კი არ მინდოდა მედეას ფრთებქვეშ ვყოფილიყავი. არ შეუზღუდავს მას ჩემთვის არაფერი, პირიქით ყველა ჩემ ახირებას ნებით ჰყვებოდა და მეხმარებოდა კიდეც. ეს მე ვერ შევძელი დამოუკიდებლად არსებობა.

იგი თავისი თვისებებით ჭეშმარიტი იყო,

მე კი ყალბი.

გმირობას და სახელ-დიდებას სიყალბით ვერ მოიპოვებ,

არც არავის ეშლება,

ვინ არის გმირი და

ვინ - ყალბი.

სადაც ფეხი დავდგი, ვერსად ვიპოვე თავშესაფარი, ყველამ განმდევნა, როგორც არასასურველი სტუმარი. ვერსად ვერ ვიმასპინძლე, საკუთარ ცოლთანაც კი. იგი უფრო მეტად სასურველი გამოდგა ელადელთათვის, ვიდრე მე, და მე არ ვიცი, რატომ. შვილებიც იმიტომ მოუკლეს, რომ ჩემი თანამზრახველი იყო მხოლოდ და მითუმეტეს კოლხი. სადაც ფეხი დავდგი, ყველგან უბედურება მივიტანე იმიტომ, რომ თვითონ მე ვიყავი უბედურება, აქაც - ჩემს მამულში. მედეა კი მხოლოდ იმიტომ მძულდა, რომ კოლხი იყო. ამის გამო ვერ შევიყვარე. კოლხი რომ არ ყოფილიყო, თან გადავყვებოდი, ალბათ, მაგრამ მე სად შემიძლია თანგადაყოლა ვინმეზე. მედეა კი ჩემგან ამას არ მოითხოვდა.

რასაც ახლა ვაღიარებ - ჩემს დანაშაულსა და ნაკლოვანებას - ახლა რომ ვარ გონგახსნილი, ასეთივე რომ ვყოფილიყავი მანამდეც, ჩემი ცხოვრება სხვანაირად წარიმართებოდა და ჩემი შვილები ცოცხლები იქნებოდნენ ახლა. კოლხეთში თუ არა, იოლკოსში მაინც ვიქნებოდი მეფე,

შევისწავლიდი მეფობის იმ აუცილებელ თვისებებს,

რითაც უხვად იყო დაჯილდოვებული მოხუცი აიეტი,

რასაც ბავშობითვე ავლენდა აფსირტე და ჩვენ არ დავაცალეთ, ბოლომდე ამოეწურა ცხოვრების წყურვა,

რასაც მედეა ავლენდა უცხოობაში უთვისტომოდ დარჩენილი.

მე მინდოდა სწავლა თორემ მათ გვერდით მყოფი ყველაფერს ისე შევითვისებდი, რომ საგანგებო გაწვრთნა არც კი დამჭირდებოდა. საამისოდაც არ მეყო გონება. ჩემთვის აიეტთან და მედეასთან ურთიერთობა სხვა არაფერი იყო, თუ არა შიშის სასწავლებელი. ყოველთვის მივისწრაფოდი ფათერაკებისკენ, მათ გაწრთვნაზე ვეთამაშებოდი, როგორც წარჩინებული ოლიმპიელი, მაგრამ მე არ ვიყავი ოლიმპიელი, მე კი მსურდა ეს.

ფათერაკებთან შეჯიბრი ჩემი ერთი უმთავრესი ახირებათაგანი იყო. ამიტომ ძვლებში გაბრჯნილი მქონდა ბოროტეული თავდავიწყება. სავსე მთვარის მეფეებით ვიხიბლებოდი მე კი ღამეში ვერ შევიძელი მთვარის შუქზე გაბრწყინვება, მზეში სახრდილობელს ვეძებდი და ვერ ვიპოვე. უთავჯამოდ ჩაიარა ჩემმა ცხოვრებამ. ახლა ვამბობ - გულწრფელად მშურს მედეასი, რომელსაც ვერაფერი დავაკელი ჩემი შურით, უფრო გავაძლიერე. მას შეეძლო კოლხური დიადემა თავზე დაედგა და ღირსეულადაც ეტარებინა ის, მაგრამ არ ისურვა, თავისუფლება ამჯობინა მეფურ მონობას.

ჩვენ ყველანი ვისწრაფვით, რაც შეიძლება ადრე და მალე დავიდგათ თავზე ის სამარცხვინო გვირგვინი, მეფობა რომ ჰქვია სახელად. მედეას ვერავინ შეეცილებოდა ამაში - ვერც მამა და ვერც ძმა. ჩვენ კი ათასგვარ სისაძაგლეს ჩავდივართ, რათა მივიღოთ ეს მონობა საკუთარ თავზე, რათა იმ ბორკილდადებულ მონებზე გაცილებით მეტი მონენი გავხდეთ. ვერ ვგრძნობთ პატივ-დიდების შარბათში როგორ გვაქვს წართმეული თავისუფლება. საკუთარ ნებაზე ერთ სიტყვასაც ვერ ვიტყვით,

ვერ გავივლით საკუთარი სურვილით იქ, სადაც იმ წუთში გვსურს ყოფნა,

ვაკეთებთ და ვამბობთ იმას, რასაც მოითხოვს მეფური მონობა,

ვიმყოფებით იქ, სადაც მოითხოვს მეფური მონობა.

ქვეშევრდომები და ხელქვეითები არ გვაპატიებენ ერთ გადაცდომასაც კი, რადგან ყველა ამ დიად მონას შეჰყურებს, მეფე და ტირანი რომ ჰქვია სახელად.

ვაი მე, რომ ვერ შევიძელი ვერც ერთი მონობის უღლის თავზე დადგმა, ვერც ღირსებითა და ვერც უღირსობით, მაგრამ უფრო დიდი ვაი მე, რომ თვისუფლებაც ვერ შევიძელი.

მივისწრაფოდი მონობისკენ და ვიყავი თავისუფალი და

მე ეს ვერ შევამჩნიე,

მივისწრაფოდი მონობისკენ,

რათა ვყოფილიყავი თავისუფალი და ვერ ვხვდებოდი, რომ ვიყავი თავისუფალი

და სხვა არა მინდოდა რა.

საკუთარ ადგილს ვერ ვპოულობდი აწმყოში და

მსურდა მარადი აწმყოში მეც მარადიული ვყოფილიყავი ჩემი მისწრაფებითა და სიცხადით -

ამ ორი ურთიერთშეუთავსებლობით. მარადი აწმყო კი მშორდებოდა იმიტომ, რომ მე არ მივსდიე მას და არ მივსდიე იმიტომ, რომ საკუთარ თავში ვებრძოდი თავისუფლებას საკუთარ თავში მონობის დასამკვიდრებლად. მე მართლაც გავხდი მონა, ოღონდ საკუთარი ცოდვების. ვერც იმას ვხვდებოდი, რომ მონასაც თავისი მეფური ღირსება უნდა ჰქონოდა, რაგინდ ბორკილდადებული მონაც არ უნდა ყოფილიყო.

დიად ყაფანზე ვიდექი და თავი მომწონდა, რომ უშველებელი სასწორის წინ ვიდექი - იქ, სადაც ცრუთა და მატყუარათა ადგილია. ავადმყოფობა შემყროდა ამ სავაჭრო მოედანზე - მსოფლიო დროისადმი საკაცობრიო ავადმყოფობა.

გამალებით ვწონიდი საკუთარ იღბალს,

ვეცილებოდი სხვებს,

არ ჩამოვრჩენოდი დანარჩენებს. სასწორზე იმაზე მეტის აწონვა მსურდა,

ვიდრე ვიყავი,

ვიდრე რაიმეს წარმოვადგენდი.

ყველანი მხეცები ვიყავით ამ მოედანზე -

ვყიდულობდით და ვყიდდით

რაც შეიძლება მეტს,

რაც შეიძლება ძვირად,

მსოფლიო დრო კი მიდიოდა და მე ადამიანობადაკარგულმა შევეცადე დავწეოდი დროს და არაფერი გამომივიდა. ის, რაც ვიყიდე, იმითვე დავიტვირთე, არ ვკითხულობდი, რა ღირდა ის და რის ფასად შევიძინე ჩემში ღირსება, რომლითაც ვცადე დროს დავწეოდი. ვერ დავეწიე დროს და მოვედი აქამომდე... და ხელში შემრჩა რა -

ჩემს მიერ გამარჯვებული დამარცხება,

რომელიც მოვიპოვე სისხლით,

ქურდობით და

მოტყუებით.

ამიტომ ვერ ვპოვე საკუთარი ადგილი სამყაროში.

სულ სხვაფრივ ველოდი ჩემი ცხოვრების წარმართვას,

სულ სხვაფრივ კი წარიმართა. შვილები მომიკლეს და ფესვები გადამიჭრეს, რაღა გამახარებს ამიერიდან! ვერც კი შევძელი შვილების დაცვა. იმათ წინაშეც დავაშავე, ასეთი უსუსური რომ ვიყავი. მათ ხელმტკიცე მამა სჭირდებოდათ ისეთი, როგორიც დედა ჰყავდათ. ჩემი დანაშაული მათ წინაშე ის არის, რომ ასეთი ვიყავი და ახლა სხვანაირი რომ გავხდე, აზრი აღარა აქვს მათთვის.

ერთის მხრივ სასარგებლოა, იაზონის შვილები რომ მოკლეს,

მეორეს მხრივ კი დიდი უსამართლობაა, მედეას შვილები რომ დახოცეს.

საერთო ჯამში, რა მხეცობაა პატარა ბავშვების მოკვდინება, როგორი ულირსიც არ უნდა იყოს მისი მშობელი. მე ბავშვი არ მომიკლავს, იგი ყმაწვილი იყო, ზრდაუსრულებზე კი ხელს ვერ აღვმართავდი. სინდისი მქენჯნის მაინც, როცა ამას ვამბობ და ამიტომ აფსირტეს მკვლელობას გულწრფელად ვინანიებ.

სად გავექცე ამ მწველ ცოდვას, რომელ ჩრდილს შევეფარო, რომ ვერ მომაგნოს მცხუნვარებამ ჩემი შეცოდებისა.

საკუთარ ნაჭუჭშიც მომძებნეს აფსირტეს თვალებმა და ყოველთვის ამიფორიაქეს სული, დამიწვეს გული დაუწვავი ცეცხლით, მისი სიცოცხლით მხურვალე თვალებიდან რომ მოედინებოდა. საკუთარ თავს გავურბოდი, მაგრამ მომსდევდა აფსირტეს თვალების ცეცხლოვან ალში გახვეული საკუთარი თავი და მოსვენებას არ მაძლევდა. ღვინოში მინდოდა ჩამეხრჩო ჩემი გონება, ღვინომ კი გააასმაგა ფიქრები მასზე. ვერც მედეა და ვერც აიეტი ასე-რიგად ვერ ამოაშრობდნენ ჩემგან მოსვენების წყაროთსათავეს. ისინი კი, ჩემი მტრები იყვნენ და გაიხარებდნენ ჩემი განადგურებით, მაგრამ აფსირტე ჩემი მტერი არ ყოფილა და მხოლოდ იგია, რომ არ მასვენებს და მაფორიაქებს. მის სულს ამისი უფლება აქვს.

მე არ ვნანობ აიეტის წინაშე,

მე არ ვნანობ მედეას წინაშე,

მე არ ვნანობ ოქროს საწმისის წინაშე,

მე არ ვნანობ არც ჩემი შვილების წინაშე,

რადგან ყველაფერი ეს და ყველანი ესენი ერთმანეთთან არიან გადაჯაჭვულნი ჩემს ცხოვრებაში და მათ წინაშე თუ რამ შემიცოდავს, ჩემი სურვილით ჩემივე სარგებლობისთვის მოხდა.

როგორ - ეს სხვა საქმეა,

რისთვის - ეს კიდევ სხვა.

რა გამოვიდა აქედან - ეს აღარ იჯერიება,

რადგან მე ბუნებით რაინდი არ ვყოფილვარ და რაინდულ დიდბუნებოვნებას ვერავინ მომთხოვს, თვით ჩემი შვილების წინაშეც კი. რაც შევიძელი, მათ ის გავუკეთე.

სხვა საქმე არის აფსირტე! ყოველი ავაზაკი, ყოველი ზნედაცემული კაციც მოერიდებოდა მის მოკვლას და მითუმეტეს - ისეთ ვითარებაში და ისეთი სიმხეცით, როგორც ეს მოხდა. ამას ვერც ერთი თავმიცემული და უგლიმი ვერ მოუძებნის გამართლებას.

რაც მინდოდა ამოვთქვი,

როგორც ვფიქრობდი, ისე ამოვთქვი ჩემი საგლოვარი და სატირალი.

ახლა აღარ მეშინია აღარც სიკვდილის,

აღარც შიშის,

აღარც კაცის და

აღარც სინდისის.

ახლა აღარ დავიმალები არსად, რადგან გავთავისუფლდი ყველა ტვირთისგან, რაც მამძიმებდა მთელი ცხოვრება. დამღალა საკუთარი თავისადმი ამდენმა საყვედურმა, როდესმე ხომ უნდა დავისვენო!

აღარც შენ დაგიტოვე სათქმელი, ჩემო სინდისო!

ყველაფერი ითქვა სრული გულწრფელობით, აღარ ვიწვი დაუწვავი ცეცხლით და ყველას შემიძლია თამამად ჩავხედო თვალებში და ვთქვა:

- ეს მე ვარ, იაზონი, ჩემი ცხოვრება რომ გადავხლართე შენს ცხოვრებასთან, აგირიე გზაკვალი იმიტომ, რომ მეც ვიყავი გზა-კვალ-არეული. ახლა, როცა ყველაფერი დამთავრდა, როცა ყველაფრის შეცვლა შეუძლებელი და უსარგებლოა, მოვსულვარ, რათა თვალებში ჩაგხედოთ და თქვენც შეიცნოთ თქვენი წილი შეცოდება ჩემს წინაშე, თუ როგორ გამიმრუდეთ ცხოვრება. ახლა შენ მითხარი, ჩემო სინდისო, ყველას ხმით, მთელი სამყაროს ხმით, როგორ უნდა მეცხოვრა, რომ ვყოფილიყავი სრულყოფილი და სრულფასოვანი პიროვნება, ვინ რა ღვაწლი შეიტანა ჩემი ხასიათებისა და თვისებების გამრუდებაში და შეიძლებოდა თუ არა ვყოფილიყავი სხვნაირი, შვილების მიერ აკეპილი და დიდ ქვაბში მოხარშული პელიასიდან დაწყებული, ელადელთაგან ულვთოდ მოკლული ჩემი შვილებით დამთავრებული სულების ხმებო, მიპასუხეთ - როგორ უნდა მეცხოვრა, რომ თქვენი სულები დამეწყნარებინა და არ გაგეუხეშებინათ ჩემი სული. მეც მეცხოვრა და თქვენც გეცხოვრათ მშვიდობით ისე, რომ ან არ გადაკვეთილიყო ჩვენი გზები, ან არადა ერთმანეთისთვის არ შეგვეშალა ხელი.

სინდისის ხმაში გაერთიანებულმა ყველა ხმამ ერთხმად უპასუხა:

- ეს შეუძლებელია.

- რატომ?

- იმიტომ, რომ შენ მოდიოდი ჩვენთან და არა ჩვენ შენთან. ამიტომ თამაშის წესებს შენ გვკარნახობდი და, შესაბამისად, ჩვენ გპასუხობდით იმით, რითაც გიპასუხეთ.

- ყველამ?

- ყველამ, და ყველამ თავისებურად. სხვა გზა ჩვენ არ დაგვიტოვე.

- რატომ?

- მაშინ საკუთარ თავზე უნდა გვეთქვა უარი და მხოლოდ შენ დაგმორჩილებოდით.

- დამორჩილება ხომ გაცილებით იოლი იყო, ვიდრე თვითმყოფადობის შენარჩუნება. მე ხომ ყველა თამაშის საპასუხო წესს დავემორჩილე!

- როგორც შენ იბრძოდი ნებისმიერი ხერხით საკუთარი თავის დამკვიდრებისთვის ცხოვრებაში ჩვენი თვითმყოფადობის დათრგუნვის ხარჯზე, ჩვენც ასევე გპასუხობდით, რადგან შენგან ვიცავდით თავს ნებისმიერი ხერხით, არც ეს დაივიწყო, იაზონ!

- მაშ, რა გამოდის?!

- ის, რაც გამოვიდა, მხოლოდ და მხოლოდ ის,- უპასუხა სინდისმა და დადუმდა.

დადუმდა იაზონიც. იგი აღარაფერს ფიქრობდა. თვალები დახუჭა. დაასვენა გონება. შეამჩნია, რომ მზე აღარ უძვრებოდა სულში. მოიჩრდილა, მაგრამ ახლომახლო ხე რომ არ იყო?!

ტყეში რომ არ იყო?!

მაშ, სად იყო?

ყური დაუგდო გარემოს -

ზღვა შხრიალებდა და შორეულ ჰორიზონტში მზით სხივაჭრილი სიშორის სისპეტაკიდან იკვეთებოდა გიგანტური დალუპვის დედაზრი. თვალდახუჭულმა იგრძნო ნათლის ლივლივი ზღვის ზედაპირზე და მოელანდა თავისი „არგო" ტალღებთან მოთამაშე. ხომალდზე არავინ იყო - მარტო ზღვის უდაბური სიცარიელე და იგი, ვისაც უხმობდა თავისი მიმზიდველი მომხიბლაობით „არგო". ისეთი იყო, როგორიც ზღვაში პირველად შეცურვისას, და უფრო მიმზიდველი და მაცდუნებელი. გედივით სრიალობდა წყლის ზედაპირზე და ელამუნებოდა მზის სხივებს. ცა ზღვისფერი იყო და ზღვა ცისფერი. ვერ გაარჩევდი ზღვაში სრიალობდა „არგო", თუ ცაში.

ზღვაში რომ ჩაიხედავდი, ხელისგულივით ჩანდა მთელი სამყარო, თითქო ღრუბლებს ზემოთ ასულიყო ზღვა.

ცაზე რომ აიხედავდი ზღვის ტალღებივით ლივლივებდა ცის კაბადონი.

მზე ცისა და ზღვის გასაყარზე შორეულ ჰორიზონტში მიიკარგებოდა. ვერ მიხვდებოდი, მითში იყავი, თუ ცხადში. არანაირი სულდგმული არ იყო იაზონის გონიერ თვალსაწიერში. მხოლოდ „არგო" იზიდავდა მას, ისიც მიიჩქაროდა „არგოსკენ", რადგან ერთადერთი ის იყო, რომელიც არაფერში არ საყვედურობდა თავის პატრონს. გონიერი თვალსაწიერიდან უყურებდა თავის ხომალდს და ფიქრობდა, ასე რამ გაალამაზა, ასეთი თვალწარმტაცი არასოდეს ყოფილაო, იალქნებიც ბავშვური ფიქრებივით სპეტაკი და გარდასულ ოცნებასავით მომხიბლავი იყო, თითქოს იალქნებად მართლაცდა ეს ფიქრები და ოცნებები შეება და მარადისობის ნიავი აფრიალებდა ზღვაზე ოცნებიდან ნაფიქრ აფრებს.

იაზონი ჩააფიქრა ამ ხილვამ, იფიქრა ბახუსმა მირაჟები წარმოშვაო, მაგრამ ნასვამი არ იყო. არც სიზმარი იყო, რადგან იგი ხორციელად არსებობდა და საკუთარი ჩრდილი დაჰყვებოდა. იაზონი ხედავდა, რომ ირგვლივ უკაცურობა სუფევდა, მიუხედავად ამისა, თვალწარმტაცი გარემო იყო ირგვლივ და ყველაფერ ამას ამშვენებდა „არგოს" აქამდე არარსებული მომხიბლავი სილამაზე. მან შეამჩნია, რომ ყველაფერს, რასაც უყურებდა, გამოკვეთილი სახე არ ჰქონდა და იგი უფრო მოჩვენება იყო, ვიდრე ცხადლივი ცხადება. თანდათან რწმუნდებოდა, რომ თვადაც ხდებოდა მოჩვენებად.

დალუპვის ბუმბერაზი ხელოვნება თავის ფრთებს შლიდა და შედიოდა შემოქმედებითი ექსტაზში. ბედმა გადაწყვიტა თავისი ბედისწერა, ღამის ქალღმერთის ქალიშვილებმა იაზონის ბედის ძაფი გაწყვიტეს, მაგრამ არ იყო ღამე. გაწყვეტილი ძაფი თვალწინ დაუვარდა იაზონს. გაიკვირვა, ამ უკაცურ სამყაროში სად იყო ეს ძაფიო. ხელში აიღო და მასში თავისი ცხოვრება ამოიკითხა. წამოდგა, ტანთ არ ეცვა, მიიხედ-მოიხედა, ვინმე ჩუმად არ მიყურებდესო. მსუბუქად ეჩვენა საკუთარი თავი. ფეხი გადადგა, ასე ეგონა ჰაერში დაფრინავსო და თავისი სიმსუბუქე გაიკვირვა. იფიქრა, ქარი რომ ამოვარდეს, წამიღებსო. ისევ გადადგა ნაბიჯი, ასეთი ნაბიჯები მას არასოდეს ჰქონია. მივიდა „არგომდე". ახლა წყალში რომ შევიდა, წყალზე გაიარა და თავის ხომალდზე ავიდა. იქ მოხუც კაცს ეძინა. გაუკვირდა, ცოტა არ იყოს გაბრაზდა კიდეც. გამოაღვიძა.

- ვინა ხარო? - ჰკითხა.

- მე ქარონი ვარო, - უპასუხა მოხუცმა.

- ამ ჩემს ხომალდში რა გინდაო? - წარბები შეიჭმუხნა იაზონმა.




ჩაღიმა მოხუცს:

- ეს შენი ხომალდი არაა. ეს ბორანია.

- სად მიდის ეს ბორანი, - იჭვნეულად იკითხა იაზონმა.

ისევ ჩაღიმა კუშტმა მოხუცმა და იაზონი დააკვირდა მის სახეს, მის მეჟღვარე თვალებს, როგორ არ უხდებოდა ღიმილი.

- მიწისქვეშა მდინარე „სტიქით" აიდას სამეფოში უნდა გადაგიყვანოო.

- სად არის აიდას სამეფოო და რა მინდა მე იქო?

- ეს სამეფო იქაა, სადაც მდინარე ოკეანე დასალიერის მიღმა განბანს დედამიწას და შენ იმიტომ მიმყავხარ იქ, რომ მოკვდიო.

- როგორ თუ მოვკვდი? - გაოგნდა იაზონი,- განა მე დამარხული ვარ, ან შენი გასამრჯელო სად გამაჩნიაო?

- შენ შენმა „არგომ" დაგმარხა, როდესაც მისი გადატეხილი ანძა მოგხვდა თავში. ჩემს გასამრჯელოზეც ნუ იფიქრებ. ამაზე სხვებმა იზრუნეს. კოლხეთიდან „არგოში" ჩატვირთული კოლხური თეთრი ჩამოგყვა და ამით ავიღე ჩემი კუთვნილი გასამრჯელო.

დაღონდა იაზონი. არ ეგონა, ასე თუ მოკვდებოდა და რაც იხილა, სიკვდილი თუ იყო. გახედა ირგვლივ გარემოს და შეეშინდა, ისეთ ბნელეთში შევიდნენ.

- ააარრრგოოო! - იყვირა იაზონმა და მიწისქვეშეთმა ექოდ გაიმეორა მისი სიტყვები. ხმაურზე კი ცერბერმა ყეფა დაიწყო და აცნობა იმიერ ქვეყანას იაზონის სტუმრობა.

## კოლხური ხილვები ნიადაგს მიღმა

შვილებთან უკანასკნელი ღამის გატარების შემდეგ მედეა დაადგა გზას, და არ იცოდა სად, მაგრამ მიდიოდა იმ იმედით, რომ სადღაც, შორს გადაიკარგებოდა.

ბევრი იარა,

თუ ცოტა იარა,

ტყის პირას დახნულ-დათესილი მინდორი დაინახა, სადაც თავი ამოეყო ჯეჯილს და მან თვალებს არ დაუჯერა - ეს ახალდათესილი მჭადი იყო. გაიკვირვა მედეამ, მჭადის კულტურას ამ შორეულ ქვეყანაში რა უნდოდა, ის ხომ მარტო კოლხეთში ხარობდა და მხოლოდ კოლხებმა იცოდნენ ამ მცენარის დანიშნულება და ფასი. რამდენი წელია, იგი ელადაში იმყოფებოდა და არ უნახავს არც ერთი ელადელი, მიწათმოქმედება რომ გაჰყოლოდა, ისინი ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ. გაიხარა მედეამ და რატომ გაიხარა, ამას ვერ მიმხვდარიყო. ალბათ იმიტომ, რომ თვისტომი ეგულებოდა მჭადის ყანების სიახლოვეს. რაღაც ჯერარგანცდილად დაუწყო გულმა ფრთქიალი. გაჯეჯილებული მჭადი გაზაფხულის სუნთქვას ტალღოვანი მიმოხვრით ესიტყვებოდა. თვალი დაამშვიდა მედეამ, ამ ყანაში არანაირ საშიშროებას არ გრძნობდა. მშვიდად სუნთქავდა ისე, როგორც საკუთარ მამულში. იქვე, ხნულის პირს ჩამოჯდა. მისი მზერა გარკვეულად მეტყველებდა, რომ დროებას მძიმედ დაექანცა იმ ბერიკაცივით, რომელიც ხნულში ჩამდგარი კავს ეჭიდება ძალაგამოცლილი, თუმცა მაინც ბავშვივით ურჩი, თავს ძალას რომ ატანს და მთელი ძალით ისევ წამოდგომას ცდილობს, ღონემიხდილს სიმხნე რომ ემატება და დამბადებელს მადლს სწირავს, მერე რომ უმალვე დგება და ისევ კავს ეჭიდება და ისევ ხნულს მიჰყვება, ხნული კი გრძელია ამ მინდორივით, მედეას თვალწინ ზღვასავით რომ გადაშლილა, ცხოვრებასავით გრძელია და დაუსრულებელი.

უიმედოდ გაჰყურებდა შორეულ სივრცეს ცარიელი თვალებით. მისი საფიქრალი ერთ დაძაბულ თავსატეხს წარმოადგენდა - როგორმე გაქცეოდა ელადას, მის სულის შემხუთველ გარემოს და ცდილობდა ისეთი ადგილისთვის მიეგნო, სადაც ვერავინ აიძულებდა წასვლას, სადაც არავინ უღალატებდა, სადაც მიეცემოდა ხალისი, ეცხოვრა, ისევ წაჰყოლოდა გულის მურაზს კოლხეთში,

და არა კოლხეთიდან,

ბედი არ გატეხოდა მის სიყვარულს,

მოხვედრილიყო მასთან ერთად ქარიშხალში

და შიშით კი არა,

სიამით შეფარებოდა მოულოდნელ კუნძულებს

და რომც არ ყოფილიყო ანაფე, თვითონ გამოეგონებინა ის მაცოცხლებელი კუნძული. წარღვნასაც რომ გაუძლებდა, ისეთი.

იმ კუნძულზე ვერავის მოეკლა სანუკვარი შვილები გულღრძო და შეუბრალებელი კორინთოელებივით, საიდანაც ვერავინ გამოაძევებდა და აღარ დაანგრევდა კერას, გვერდს აუქცევდა წარსულს და მარადი „ახლა" იქნებოდა მისი ჯებირი ველურ ელადასთან და ჩაკეტავდა უსიამო შეგრძნებას ამ ქვეყანასთან დაკავშირებულს. ფაზისის ქვიშიან ნაპირებზე ირბენდა ისე, რომ ფეხები არც კი ეტკინებოდა და ამარანტის მთებში დავანებულ ამირანს შეეხმიანებოდა, შეუთქვამდა ღმერთ-მებრძოლ ძალას წყალუხვობას. დელისს მიესალმებოდა და მხურვალე სხივებს უსურვებდა ზამთარ-ზაფხულს, სადაც აუმღვრეველი გრძნობით გახალისდებოდა, ყველა პატარა კუთხე-კუნჭულს ჩასჩურჩულებდა, თუ როგორ უყვარდა თითოეული კენჭი და ბალახის გამხმარი ღერო. ვერავინ შებღალავდა მის სახელს, ვერავინ დადაღავდა მის გულს ეჭვების სენით, სული იმღერებდა და ამ მითიურ მღერას მარტო იგი და დამბადებელი გაიგონებდნენ.

ღმერთი გაიგებდა

სიმღერით ნათქვამსა და

სიმღერით სათქმელსა და

სიმღერით უთქმელს.

იჯდა მედეა გონდაბინდული, წარბშეკრული, უფერული და უმოლოდინო. იჯდა და ელოდა, მაგრამ ვის? იქნებ ისევ ცხოვრების მეგზურს? მაგრამ ნუთუ მართლა ელოდა?

ნათქვამმა სიტყვამ სიტყვა მოუჭრა, უგულო გულმა სახე დაუჭკნო. უპასუხოდ დარჩენილ კითხვებს ვერავინ უპასუხა და ღირდა კი ამ კითხვებზე პასუხის გაცემა? ამაზე მედეა აღარ ფიქრობდა.

თეთრონმა პირი არ ჰკიდა მჭადს, ეცნაურა ნაცნობი ჯეჯილი, მხოლოდ მის გვერდით სარეველა შემოაცალა და აგრძელებდა ასე ბალახობას. ერთიორი მჭადის ჯეჯილიც მოიგდო პირში, ვერ კი გაიხსენა, საიდან ეცნო ეს ბალახი, პირუტყვი იყო და მიტომ. თვალები მედეასკენ მიეპყრო, მზად რომ ყოფილიყო პატრონის სამსახურში. საირხეს ხრმალი ხელში ეჭირა მის პატრონს და მზის სხივებზე ლაპლაპებდა ორლესული და ზედწარწერილი „მესსიის მახვილი". თვალებს ჭრიდა ცხენს ხრმალის მზერა, მაგრამ თვალს ვერ აცილებდა საირხეს განძს, რაღაცნაირი მიმზიდველი ძალა ჰქონდა, და მიტომ. ამ ძალას თეთრონიც გრძნობდა და მზად იყო პატრონის ერთგულებისთვის, რადგან პატრონის ერთგულება ნიშნავდა ხრმლის ერთგულებასაც.

მედეა იმდენად ვერ გრძნობდა ამ სატევარის ენერგიას, რამდენადაც თეთრონი, რადგან ასეთი ცხოველსმყოფლობისადმი მგრძნობელობა ადამიანებზე უფრო ცხოველებს აქვთ განვითარებული.

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „მამული" №48-64




## წმ. ქალწულის მფარველობის საკათედრო ტაძრისა და ქართველ მართლმადიდებელთა ურთიერთობის შესახებ

ამასწინად, ნიუ იორკის ქართულენოვან გაზეთ „მამულში" გამოქვეყნდა სტატია, სადაც აღწერილი იყო ნიუ-იორკში ქართული ეკლესიის დაარსების ისტორია. იმავე სტატიაში არამართებული კომენტარები იყო დაწერილი ნიუ-იორკისა და ნიუ ჯერსის ეპარქიის წმინდა ქალწულის საფარველის საკათედრო ტაძრის სამღვდელოებისა და ქართველი მრევლის მიმართ. მსგავსი კომენტარები იქნა გაჟღერებული არცთუ ისე დიდი ხნის წინ ხალხშიც. ამასთან დაკავშირებით, მინდა ძმური სიყვარულით, ქრისტიანული ერთობითა და შენდობის თხოვნით შემოგთავაზოთ გარკვეული განმარტებები.

ჩვენმა საკათედრო ტაძარმა ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისში მამა ალექსანდრე თანდილაშვილს დაუთმო წმინდა ინოკენტი ირკუცკელის პატარა ტაძარი, რომელიც მთავარ ტაძარში მარცხენა მხარეს მდებარეობს. ამის საფასურად მამა ალექსანდრე იხდიდა მინიმალურ თანხას სხვადასხვა კომუნალური ხარჯების დასაფარავად. ჩვენ მამაოს ასევე მივუჩინეთ ერთ-ერთი ჩვენი ეკლესიის მსახური, რომ იგი მუდმივად ყოფილიყო წირვებზე და დახმარებოდა მას, ასევე მივუჩინეთ რამოდენიმე მგალობელიც, რომლებმაც იცოდნენ ქართულად გალობა. ეს ყველაფერი ჩვენ გავაკეთეთ უდიდესი სიხარულითა და იმის იმედით, რომ მრავალი ქართველი ემიგრანტი, რომლებიც დაშორებულნი იყვნენ თავიანთ კერასა და ახლობლებს, აქ ჰპოვებდნენ სულიერ შვებასა და სიყვარულს.

დროთა განმავლობაში, ქართველი ემიგრანტების რიცხვი იზრდებოდა და ბოლოს, 7000-ს მიაღწია მთელი ნიუ იორკის მიდამოებში. ექვსი წლის განმავლობაში საქართველოდან ჩამოსული ქართველი მღვდელი მამა მალხაზ კუმელაშვილი ჩვენს ეკლესიაში მსახურობდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ბევრი ქართველი გახდა ჩვენი ეკლესიის მრევლი, რომლებიც არა მარტო თვეში ერთხელ, არამედ თითქმის ყოველ კვირას მოდიოდნენ წირვებზე. ასევე ისინი არ აცდენდნენ სხვადასხვა საეკლესიო დღესასწაულებს და კვირის სხვა მსახურებებს. ჩვენ ასევე მრავალ დღესასწაულებსა თუ წმინდანთა ხსენების დღეებს იულიანური კალენდრით ავღნიშნავდით, რათა ამ ხალხის სურვილები დაგვეკმაყოფილებინა. ამას დიდი სიხარულით ვაკეთებდით.

ამ ხნის მანძილზე მამა ალექსანდრე ჩამოდიოდა და ატარებდა წირვებს თვეში ერთხელ, შაბათობით. ჩვენ მას უზრუნველვყოფდით ოთახით ღამის გასათევებლად, რადგანაც მას პენსილვანიის შტატიდან უწევდა მგზავრობა. ჩვენ არასოდეს და არანაირად აგვიკრძალავს მისთვის, რომ მას ტაძარი ესარგებლა, არამედ, სიამოვნებით ვმასპინძლობდით და ასევე ვიწვევდით, რომ კვირის წირვებზე და სხვადასხვა დღესასწაულებზე ჩვენთან ერთად ემსახურა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, ჩვენი ტაძარი მრავალი ქართული ღონისძიებების მასპინძელი იყო. აქ იმართებოდა ქართული კონცერტები, იკითხებოდა ლექციები ქართულ კულტურულ თემებზე. გახსნილი გვქონდა ქართული სკოლა, ვიღებდით სხვადასხვა საპატიო სტუმრებს. ჩვენ ასევე ავღნიშნეთ ისტორიული დიდგორის ბრძოლის გამარჯვების დღეც. არაერთი საქართველოდან ჩამოსული სიმღერისა და მგალობელთა გუნდი მართავდა კონცერტებს ჩვენს საბანკეტო დარბაზში. ასევე ჩვენ ვუთმობდით ჩვენს სასტუმრო ოთახებს შეუზღუდავი ვადით რამდენიმე ახალგაზრდა ქართველ ემიგრანტს, რომლებიც ახალი ჩამოსულები იყვნენ საქართველოდან და მათ დახმარება სჭირდებოდათ. ჩვენ ასევე სპონსორობას ვუწევდით და მოწვევებს ვუგზავნიდით ქართველთა მეგობრებსა თუ ოჯახის წევრებს იმ იმედით, რომ ისინი ვიზას მიიღებდნენ და ჩამოვიდოდნენ ამერიკაში. 2006 წელს ჩვენი საკათედრო ტაძრის წევრებმა ინგლისურად თარგმნეს და გამოსცეს პირველი სრული კრებული „ქართველ წმინდანთა ცხოვრება". ასეთი მრავალი ქართული ღონისძიებები დღესაც იმართება.

დაახლოებით ათი წლის წინ, მამა ალექსანდრემ დატოვა ამერიკის მართლმადიდებლური ეკლესიის აღმოსავლეთ პენსილვანიის მრევლი და ამერიკის მართლმადიდებლური ეკლესიის იერარქის კურთხევით დაარსა წმინდა ნინოს ქართული სამლოცველო ბრუკლინის ერთ-ერთ ნაქირავებ შენობაში და უკვე შეიძინეს საკუთარი შენობა სტატენ აილენდზე, რასაც ჩვენ მხურვალედ ვულოცავთ მათ. ჩვენ ვუერთდებით ამ მოვლენას, რადგანაც ამან საშუალება მისცა მამა ალექსანდრეს, რომ ნიუ იორკის მრავალ ქართველს მუდმივად ემსახუროს.

მთელი ამ 20 წლის მანძილზე, ჩვენი ეკლესია გამდიდრდა ქართველი მრევლით. მათ შორის ბევრმა ეკლესია გაიხადა საკუთარ სულიერ სამყოფელად. მიუხედავად იმისა, რომ მსახურებები ჩვენთან ძირითადად ინგლისურად მიმდინარეობს, ჩვენი მგალობლები და სამღვდელოება გარკვეულ ნაწილებს მსახურებებისა გალობენ როგორც ქართულად, ასევე რუმინულად, სლავურად და ბერძნულად. ჩემი აზრით, ეს არის ამერიკის მართლმადიდებლური ეკლესიის ცხოვრების რეალობა და მომავალი.

ჩვენ ვართ ეკლესია, რომელიც საიდუმლოებებს აღავლენს ნიუ-იორკის ყველა მართლმადიდებლისთვის და არა მხოლოდ გარკვეული ეთნიკური ჯგუფისთვის. მისიონერული და ქრისტიანული ქადაგების მიზნით, ჩვენ ასევე ვმასპინძლობთ არამართლმადიდებლებს, რათა შემოგვიერთდნენ ღვთის სადიდებლად.

ქართველები არიან ჩვენი მრევლის არსებითი ნაწილი და არა დროებითი სტუმრები. ისინი ჩვენი ოჯახის წევრები, ქრისტესმიერი ძმები და დები, და ასევე ჩვენთვის უაღრესად საყვარელი და მიღებული ნაწილი არიან.

არქიმანდრიტი
**ქრისტეფორე კალინი**
წმ. ქალწულის მფარველობის
მართლმადიდებლური საკათედრო
ტაძრის წინამძღვარი

მსხვილი ვარიკოზული ვენების მკურნალობის
უახლოესი და ყველაზე შედეგიანი მეთოდი
ტკივილის გარეშე!
ნაწიბურების გარეშე!
ნარკოზის გარეშე!
2177 65th st. Brooklyn, NY 11204
(კონსულტაცია, გამოკვლევა და მკურნალობა)
1-718-238-1555
ექიმ
VEIN & LASER CENTER









შვილიშვილის, პატარა **ლიზიკოს** დაბადებას ვულოცავთ ჩვენს **ზეინაბ ნაკაშიძეს.** პატარას კი ვუსურვებთ სასახელო ქართველად გაზრდას, ჯანმრთელობას და მშვიდობიან სამშობლოში ცხოვრებას.

**იამზე გოგუაძე, დალი ხოფერია, ნინო ხარაბაძე**

ქალბატონ **ნათელა მოსიაშვილს** ვულოცავთ იუბილეს. ბედნიერება და ღვთის წყალობა იყოს მუდამ თქვენი ცხოვრების მეგზური. მალე აგსრულებოდეთ ოცნება და ჩახუტებოდეთ თქვენს საყვარელ ოჯახსა და რუსთავქალაქს.

**„მამულის" რედაქცია**

## გულისტკივილი

მანუჩარ კაჭახიძე და „მამულის" რედაქცია თანაუგრძნობს მაია კოკოლიასა და გია ჩუბინიძეს დისა და ცოლისდის, **მარეხის** გარდაცვალები გამო.

ნანა და ზეინაბ ნაკაშიძეები, მარიამ ლალიაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობს შაშიაშვილების ოჯახს ქალბატონი **შუშანას** გარდაცვალების გამო.

მანუჩარ კაჭახიძე და გაზეთ „მამულის" რედაქცია თანაუგრძნობენ თეიმურაზ შაშიაშვილს მწუხარებაში, დედის **შუშანა სალდაძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „მამულის" რედაქცია თანაუგრძნობს ნიკო ნადირაშვილს მწუხარებაში, **დედის** გარდაცვალების გამო.




ასავალ დასავალის პარტნიორობით
მამული
რედაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭახიძე
EDITOR & PUBLISHER
MANUCHAR KATCHAKHIDZE
MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303
WWW.MAMULI.COM
mamuliusa@gmail.com
347-724-0770
საქართველოში „მამულს" წარმოადგენს საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი" ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით
გაზეთი ხელმოწერილია დასაბეჭდად 2011 წლის 17 აგვისტოს, აღმოსავლეთ ამერიკის დროით დილის 11 საათზე. შემდეგი ნომერი გამოვა 21 სექტემბერს.